

საქართველო

კატასტროფის რისკის შემცირების  
სისტემის ინსტიტუციური  
შესაძლებლობების შეფასების  
ანგარიში

სექტემბერი 2014



გამოცემულია გაეროს განვითარების  
პროგრამის მიერ

@ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2014  
ყველა უფლება დაცულია  
გამოცემულია საქართველოში

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს

## სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	1
ზოგადი მიმოხილვა.....	3
I. შესავალი: შესაძლებლობების შეფასების კონტექსტი და მიზანი.....	7
II. შესაძლებლობების შეფასების მეთოდოლოგია და პროცესი .....	9
1. მეთოდოლოგია.....	9
2. შემფასებელთა ჯგუფი.....	10
3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი .....	10
III. საქართველოში კატასტროფის რისკების მიმოხილვა .....	12
1. ბუნებრივი საფრთხეები და კატასტროფები .....	12
2. მოწყვლადობა .....	13
IV. ეროვნულ დონეზე კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასების შედეგები .....	16
HFA1. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 1: კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის პრიორიტეტად განსაზღვრის უზრუნველყოფა და მისი განხორციელებისთვის შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა .....	16
1. სახელმწიფოს როლი.....	16
2. კანონმდებლობა.....	17
2.1. კატასტროფის მართვის კანონმდებლობა .....	17
2.2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება .....	18
2.3. სექტორული კანონმდებლობა .....	19
3. პოლიტიკა, სტრატეგიები, პროგრამები .....	22
3.1. ეროვნული განვითარების სტრატეგია და პროგრამა .....	23
3.2. სექტორული პოლიტიკა, სტრატეგიები, პროგრამები.....	24
4. ინსტიტუციური მოწყობა და კოორდინაცია.....	26
4.1. სამთავრობო უწყებები .....	26
4.2. გაეროს სააგენტოები საქართველოში .....	32
4.3. სხვა დაინტერესებული მხარეები .....	35
5. ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსები .....	41
HFA1: რეკომენდაციები.....	43
HFA2. კატასტროფის რისკის შემცირების პრიორიტეტული მიმართულება 2: კატასტროფის რისკის განსაზღვრა, შეფასება და მონიტორინგი და ადრეული გაფრთხილების სისტემის გაძლიერება .....	45
1. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესაძლებლობები.....	45
2. ინფორმაციაზე წვდომა და გავრცელება .....	49
3. ადრეული გაფრთხილება .....	50
HFA2: რეკომენდაციები.....	51
HFA3. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 3: ცოდნის, ინოვაციებისა და განათლების გამოყენება ყველა დონეზე უსაფრთხოებისა და მდგრადობის კულტურის დასამკვიდრებლად .....	52
1. ფორმალური განათლების სისტემა .....	52
1.1. სკოლამდელი განათლება.....	52
1.2. დაწყებითი და საშუალო განათლება.....	53
1.3. მასწავლებელთა უნარების განვითარება.....	54

1.4. სკოლის უსაფრთხოება და კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებები სკოლებში.....	55
1.5. უმაღლესი განათლება.....	57
2. არაფორმალური განათლება .....	58
3. კვლევა და განვითარება .....	58
4. პროფესიული სწავლება .....	59
5. საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გააქტიურება.....	59
HFA3: რეკომენდაციები.....	61
HFA4. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 4: რისკის განმსაზღვრელი ფაქტორების შემცირება .....	63
1. კლიმატის ცვლილება და გარემოს მდგრადობა .....	64
2. ბუნებრივი და წყლის რესურსების მართვა.....	65
3. სოფლის მეურნეობა.....	66
4. მიწათსარგებლობა და ურბანული დაგეგმარება.....	68
5. ტექნოგენური საფრთხეები და საფრთხის შემცველი ღონისძიებების იდენტიფიცირება	70
6. ჯანდაცვა.....	70
7. სოციალური დაცვა.....	71
HFA4: რეკომენდაციები.....	73
HFA5. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 5: კატასტროფისთვის მზადყოფნა ყველა დონეზე ეფექტური რეაგირებისთვის .....	75
1. სახელმწიფოს როლი.....	75
2. კატასტროფისთვის მზადყოფნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესახებ არსებული კანონმდებლობა .....	75
3. ინსტიტუციური ჩარჩო და კოორდინაცია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს..	80
4. კომპეტენცია, ინსტრუმენტები და რესურსები საგანგებო რეაგირებისთვის .....	83
4.1. თემის მოხალისეთა ჯგუფები.....	84
4.2. სატელიტური გამოსახულების ინტერპრეტაცია და ანალიზი.....	84
4.3. რეაგირების გეგმები და გაუთვალისწინებელი სიტუაციების დაგეგმვა.....	85
4.4. სამოქალაქო-სამხედრო კოორდინაცია .....	85
4.5. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ღონისძიებები.....	86
4.6. ადრეული გაფრთხილების სისტემები (72/48/24).....	87
4.7. ინფორმაციის მართვის, მონიტორინგის და შეფასების სისტემები.....	88
4.8. საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება .....	88
4.9. კატასტროფის შემდგომი ზიანისა და ზარალის შეფასება .....	89
4.10. აღდგენა და რეაბილიტაცია .....	90
HFA5: რეკომენდაციები.....	92
გამოყენებული ლიტერატურა .....	95

## ტერმინთა განმარტება

ASB	მუშა სამარიტელთა კავშირი
CADRI	კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივა
CBRN	ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხე
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CVG	თემის მოხალისეთა ჯგუფები
DG ECHO	ევროკომისიის ჰუმანიტარული მისიის და სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალური დირექტორატი
DIPECHO	ევროკომისიის ჰუმანიტარული მისიის და სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალური დირექტორატის კატასტროფისთვის მზადების პროგრამა
DRM	კატასტროფის რისკის მართვა
DRR	კატასტროფის რისკის შემცირება
ENP	ევროპის სამეზობლო პოლიტიკა
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის და აგრარული განვითარებისთვის
EMSC	ხმელთაშუაზღვისპირეთის ევროპული სეისმოლოგიური ცენტრი
EU	ევროპის კავშირი
EWS	ადრეული გაფრთხილების სისტემა
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEOSTAT	სტატისტიკის ეროვნული სააგენტო
GHG	სათბურის გაზი
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
GRCS	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
HFA	ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა
IASC	სააგენტოთაშორისი ჰუმანიტარული საქმიანობის მუდმივი კომიტეტი
ICZM	სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვა
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IHR	ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები
INSARAG	საერთაშორისო ძებნისა და გადარჩენის მრჩეველთა ჯგუფი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISC	სეისმოლოგიის საერთაშორისო ცენტრი
JNA	საჭიროებათა ერთობლივი შეფასება
MCOF	მიგრაციული კრიზისის ოპერატიული ჩარჩო-პროგრამა
MISP	პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტი
OC	ოპერატიული ცენტრი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OSOCC	ოპერატიული კოორდინაციის ცენტრი
PFA	პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება
PPRD East	პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში
RDFG	ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“
RECC	კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი
SDC	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
TSA	მიზნობრივი სოციალური მხარდაჭერა

UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - გაერო
UNDAF	გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFCCC	გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩოკონვენცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
UNOCHA	გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისი
WASH	წყალი, სანიტარია და ჰიგიენა
WFP	მსოფლიოს სასურსათო პროგრამა
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

## ზოგადი მიმოხილვა

### კონტექსტი

საქართველოში სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი, მიწისძვრა, სეტყვა, ძლიერი წვიმები, გრიგალი და გვალვა), რასაც ახლავს რისკისა და მოწყვლადობის მაღალი დონე, ნეგატიურად მოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკაზე. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიის 70%-ზე მოხდა ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური ხასიათის სტიქიური მოვლენები; ამის შედეგად გამოწვეულმა ეკონომიკურმა დანაკარგმა 14 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.<sup>1</sup>

### ძირითადი დასკვნები

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კატასტროფის პრევენცია და კატასტროფისათვის მზადების აუცილებლობა თანდათანობით მოექცა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების სიაში. რამდენიმე სექტორში კატასტროფის რისკის შემცველი საკითხების მოგვარებაში გარკვეული წინსვლაც შეინიშნება, თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ მოქმედებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ტრადიციული მიდგომა. რისკის შემცირების კონცეფცია კი, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხი, ფაქტობრივად ახალი ფენომენია საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ქვეყანაში ნაკლებად აცნობიერებენ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ქვეყნის ეკონომიკურ და ადამიანის განვითარებაზე რისკების შემცირებისათვის გამოყოფილი ინვესტიციების სიმწირემ და არასათანადო დაგეგმვამ.

კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები საჭიროებენ შემდგომ განვითარებასა და განხორციელებას. სრულყოფილად არ მოქმედებს ინსტიტუციური მოწყობისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა კოორდინაციის მექანიზმები. მართალია, არსებობს გარკვეული ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური შესაძლებლობები, მაგრამ საჭიროა მათი უკეთ კოორდინირება და სისტემატიზაცია შესაბამის სექტორებს, მმართველობით დონეებსა და ინსტიტუტებს შორის. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მართვისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისთვის მიმართული ძალისხმევა მეტ რეგულირებას მოითხოვს ინსტიტუციური, საკანონმდებლო და პროგრამული განხორციელების დონეზე, ვინაიდან კლიმატთან და კატასტროფებთან დაკავშირებულ რისკებზე მუშაობა აღარ შეიძლება განყენებულად.

საერთო ჯამში, შეფასებამ გამოავლინა, რომ საქართველოს მთავრობას აქვს ნება და პოტენციალი კატასტროფებზე რეაგირების რეაქტიული მიდგომიდან კატასტროფის რისკის შემცირების პროაქტიულ პრაქტიკაზე გადავიდეს. როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს დაინტერესება, რომ არა მხოლოდ უკვე მომხდარ კატასტროფებზე ჰქონდეთ სათანადო რეაგირება, არამედ ქვეყნის განვითარების დაგეგმვის პროცესშიც გაითვალისწინონ კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ხელისუფლებამ პოზიციები უნდა განიმტკიცოს კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრით, სათანადო კანონმდებლობის შექმნით, შესაძლებლობების გაძლიერებითა და აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფით, რაც მიმართული იქნება არსებული რისკების

შემცირებაზე, ახალი რისკების წარმოქმნის თავიდან აცილებასა და კატასტროფებზე ეფექტიანად რეაგირებისთვის მზადყოფნაზე.

საქართველოში არ ხდება ეროვნული, ადგილობრივი და სექტორული განვითარების დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების თანმიმდევრული ინფორმირება სხვადასხვაგვარი საფრთხის შეფასების შედეგების შესახებ. არ არსებობს საფრთხეების რუკებზე დატანისა და რისკების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია, რომელსაც სპეციალური საკანონმდებლო ჩარჩოები დაარეგულირებდა. უპირატესობა კვლავ საფრთხეებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა და მათი რუკებზე დატანის პრაქტიკას ენიჭება, რაც სექტორულ დონეზე ან პროექტის ფარგლებში ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისა და რისკების ატლასი, არ ხდება მისი სათანადოდ პოპულარიზაცია და გამოყენება, არ არსებობს საქართველოში კატასტროფის რისკის ამსახველი ოფიციალური, დეტალური და განახლებადი აღწერილობა. როგორც ჩანს, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უკეთ უნდა გააცნობიერონ, რას წარმოადგენს საფრთხეები და რისკები და გაითვალისწინონ შესაბამისი ინფორმაცია დაგეგმარების პროცესში.

საერთო ჯამში, შეფასებამ აჩვენა, რომ საფრთხეებსა და რისკებთან დაკავშირებით არსებული მონაცემების კვალიოპტიმალურ გამოყენებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: პოტენციურ მომხმარებლებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია არსებული მონაცემთა ბაზების/პორტალის შესახებ; მონაცემები გაფანტულია ტექნიკურ ინსტიტუტებს შორის და არ ხდება მათი შეგროვება, სისტემატიზაცია, მოთხოვნებთან მისადაგება და რეგულარული განთავსება ერთ ცენტრალურ საცავში; რიგ შემთხვევებში მომხმარებლები ვერ ახერხებენ მონაცემების დროულად მოპოვებას ან არ ხდება მონაცემების მათთვის მიწოდება გამოსადეგი, გასაგები ან მოთხოვნების შესაბამისი ფორმით; ზოგიერთი რესპონდენტი ფიქრობს, რომ ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ არის საკმარისად ზუსტი, სანდო ან განახლებული.

რამდენიმე დაინტერესებული ორგანიზაცია ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის რისკების შემცირების საკითხებში სწავლებების ჩატარებისა და კატასტროფისთვის მზადების ღონისძიებების ორგანიზების კუთხით. კვლავაც აქტუალური რჩება ამ სახის ინიციატივებისადმი სისტემური მიდგომის გაძლიერების საკითხი. კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამები არ არის მრავალფეროვანი, მათი ხარისხი ძალიან დაბალია და ახალგაზრდებს სტიმული არა აქვთ ამ სპეციალიზირებული მიმართულებით გააგრძელონ სწავლა. ანალოგიურად, არ არსებობს კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული თანამშრომელთა განვითარების ინსტიტუციონალიზებული და რეგულარული პროფესიული ტრენინგები. საფრთხეებისა და რისკების შეფასებასთან დაკავშირებული ტრენინგები ძირითადად ტარდება გარე დაფინანსებით და საგანგებოდ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე; რესპონდენტთა უმრავლესობამ ამ საკითხებში ორგანიზაციებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების გათვითცნობიერების ხელშეშლელ მიზეზად თანამშრომელთა ხშირი როტაცია დაასახელა.

საქართველოში ბევრი სექტორული პოლიტიკა, პროგრამა და პროექტი ირიბად უწყობს ხელს რისკფაქტორების შემცირებას და მოსახლეობის გამძლეობის ზრდას, განსაკუთრებით - გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროებში.

მიუხედავად ამისა, კატასტროფის რისკის შემცირების საკითხი კარგად არ არის ინტეგრირებული ან შეტანილი სექტორულ პოლიტიკასა და პროგრამებში და მხოლოდ რამდენიმე ლოკალიზებული პროექტი ეწევა სპეციფიკურად რისკების შემცირებისკენ მიმართულ საქმიანობას.

ყოველთვის არ არის შედეგისმომცემი რისკის შემცირების საქმეში ჩართული სხვადასხვა ორგანიზაციისა და პროგრამაში მონაწილე მხარეების ინტერსექტორული კოორდინაცია. ასევე იგრძნობა ინსტიტუციური და ინდივიდუალური ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ნაკლებობა. ჩნდება სხვადასხვა პოლიტიკის დუბლირების რისკი, რადგან არ არსებობს კოორდინაცია და თანამშრომლობა სხვადასხვა სამინისტროს, ტექნიკურ სააგენტოებსა და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომელთა პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, მონიტორინგი და ანგარიშგება გაფანტულად ხდება.

საერთო ჯამში, საქართველოში კარგად არის განვითარებული კატასტროფისთვის მზადყოფნისა და რეაგირების სისტემა. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყებები კატასტროფისათვის მზადებასა და რეაგირებას იმ სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით ახდენენ, რომელიც შედგება მთელი რიგი კანონების, სამთავრობო გადაწყვეტილებებისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან, მათ შორისაა, ახალი კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (2014). შეფასებისას გამოვლინდა, რომ საგანგებო სიტუაციებისთვის მზადებისა და რეაგირების კოორდინაციის შესაძლებლობები ერთ-ერთი ის სფეროა, რომელიც უნდა გაუმჯობესდეს. კერძოდ, საჭიროა გაძლიერდეს და რეგულარული სახე მიიღოს დარგობრივ სამინისტროებსა და დეპარტამენტებს შორის ეფექტიანმა კოორდინაციამ. ასევე აუცილებელია ინკლუზიური, ერთობლივი და კარგად კონცენტრირებული მართვა, რათა ყველა ჩართული მხარე დაინტერესდეს საგანგებო სიტუაციებისათვის მზადებით და წახალისდეს ვალდებულებების აღება. ამასთან, საჭიროებათა შეფასების, ინფორმაციის მართვის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების, აგრეთვე ინკლუზიურად და პარტნიორულად მუშაობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია საერთო მეთოდებისა და შეთანხმებული პროცესების გაძლიერება, რათა საკუთარ საქმიანობაზე პასუხს აგებდეს ყველა ჩართული მხარე.

### **ანგარიშის შესახებ**

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირებასთან (DRR) დაკავშირებული შესაძლებლობების ძლიერი და სუსტი მხარეების სიდრმისეული ანალიზი, რომელიც ეფუძნება „კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივის“ (CADRI)<sup>2</sup> გაეროს წევრი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას. შეფასებაში წარმოდგენილი დასკვნები აგებულია ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამაში (HFA) განსაზღვრული მოქმედებების ხუთი პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით: კატასტროფის რისკის შემცირება, როგორც ეროვნული და ადგილობრივი პრიორიტეტი; რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და ადრეული გაფრთხილება; გამძლეობის კულტურის ჩამოსაყალიბებლად ცოდნის, ინოვაციური მიდგომებისა და ცნობიერების ამაღლების გამოყენება; რისკის განმსაზღვრელი ფაქტორების შემცირება; კატასტროფისათვის მზადების გაძლიერება, რათა რეაგირება იყოს ეფექტიანი.

ანალიზი ეფუძნება ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგებს, რომლებიც „კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივის (CADRI)“ კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასების კითხვარების გამოყენებით ჩატარდა. გამოიკითხა 58 ორგანიზაციის 130-ზე მეტი წარმომადგენელი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე (3 რეგიონი), მათ შორის - მთავრობისა და გაეროს ორგანიზაციების წარმომადგენლები, დონორები, არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და ეროვნულ დონეზე დაინტერესებული სხვა მხარეები. ინტერვიუების მონაცემების შევსება მოხდა მოცულობითი დოკუმენტაციის (კანონმდებლობა, სტრატეგიები, პოლიტიკა, სამოქმედო გეგმები, პროგრამებისა და პროექტების დოკუმენტები) ანალიზის შედეგად.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამაში (HFA) განსაზღვრულ ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებაში გამოვლენილი ხარვეზებისა და პრობლემების მოგვარებას. შემოთავაზებული ღონისძიებების დონე ითვალისწინებს ქვეყნის რეალურ პოტენციალს ამ ქმედებების სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში განსახორციელებლად. შემუშავებული რეკომენდაციები შექმნიან საფუძველს კატასტროფის რისკის შემცირების სფეროში შესაძლებლობების განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოსაყალიბებლად.

## I. შესავალი: შესაძლებლობების შეფასების კონტექსტი და მიზანი

საქართველო ხასიათდება ბუნებრივი კატასტროფის მაღალი სიხშირითა და რისკის დონეებით, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის როგორც ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, ისე ადამიანური რესურსების განვითარებას. საქართველოს მთავრობას გატარებული აქვს რიგი ღონისძიებების ქვეყანაში კატასტროფის რისკის შემცირების მიმართულებით. ღონისძიებები მიზნად ისახავდა კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სისტემის სამართლებრივ მოწყობას, კატასტროფისთვის მზადებისა და მასზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესებას ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე და სამომავლოდ განვითარების სტრატეგიებში, გეგმებსა და სამოქმედო ჩარჩოებში კატასტროფის რისკის შემცირების საჭიროების გათვალისწინებას.

მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფის რისკის შემცირება თანდათანობით ხდება მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ხოლო პროგრესი პრევენციის საკითხების კუთხით თვალსაჩინოა, ტრადიციული მიდგომები, რომლებიც ძირითადად საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაზეა ორიენტირებული და ნაკლებად - რისკების შემცირებაზე, კვლავაც მოქმედებს პოლიტიკასა და პრაქტიკაზე. ხელისუფლება აღიარებს გონივრული რჩევებისა და სახელმძღვანელო წესების აუცილებლობას ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის გასაძლიერებლად, რათა შესაძლებელი გახდეს გზამკვლევის შედგენა შესაძლებლობებში არსებული ხარვეზების დასაძლევად, განსაკუთრებით - რისკების პრევენციისა და შემცირების მიმართულებით.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მთავრობის სახელით თხოვნით მიმართა გაეროს სააგენტოთა ჯგუფს საქართველოში, დახმარება გაეწია საქართველოს ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებაში. გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა სთხოვა *კატასტროფის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივას* - სააგენტოთა შორის პარტნიორობას, რომელშიც შედიან გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი (UNOCHA), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), რომ ტექნიკური დახმარება გაეწია საქართველოში შესაძლებლობების შეფასების განხორციელებაში საქართველოს მთავრობისა და გაეროს სააგენტოთა ჯგუფისთვის. დღეისათვის, 17 ქვეყანაში გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, *კატასტროფის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივა* მხარს უჭერს გაეროს მუდმივ კოორდინატორებს, საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფსა და სხვადასხვა არსებულ მაკოორდინირებელ მექანიზმს კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების განვითარებაში, ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართულებითაც, რათა გაძლიერდეს მათი შესაძლებლობები და დაეხმარონ მთავრობებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომ შეიმუშაონ შესაძლებლობების განვითარების სამოქმედო ჩარჩოები<sup>3</sup>.

კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასება განხორციელდა 2014 წ. 10-21 მარტს, მთავრობისა და საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფის ხელმძღვანელობით. შეფასების მისიამ მუშაობის შედეგად წარმოადგინა *კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასების წინამდებარე ანგარიში*. ანგარიშში მოცემული ინფორმაცია

დაეხმარება საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას.


## II. შესაძლებლობების შეფასების მეთოდოლოგია და პროცესი

### 1. მეთოდოლოგია

შესაძლებლობების შეფასება „კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივის“ წევრმა გაეროს სააგენტოებმა გამოცდილ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განახორციელეს. შესაძლებლობების შეფასების მიზანია ქვეყანაში არსებული კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, საჭირო შესაძლებლობების განსაზღვრა და ამ შესაძლებლობების სათანადო დონის მისაღწევად რეკომენდაციების შემუშავება და წარმოდგენა.

„კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივის“ ფარგლებში კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასებისას ძირითადი აქცენტები გაკეთდა რისკების შემცირებისათვის არსებულ ეროვნულ და ადგილობრივ შესაძლებლობებზე; შეფასება განხორციელდა ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამაში გაწერილი ინდიკატორების გამოყენებით და შესაძლებლობების განვითარების ხუთი ტექნიკური სფეროს გათვალისწინებით, როგორცაა: პასუხისმგებლობა, ინსტიტუციური მოწყობა, კომპეტენციები, სამუშაო მეთოდები და რესურსები, ურთიერთობები (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი სურათი).

ჰიოგოს პრიორიტეტული მიმართულების ქმედება 1-ის კონტექსტში, შესაძლებლობების შეფასებისას ყურადღება გამახვილდა ეროვნულ პასუხისმგებლობაზე, ინსტიტუციურ მოწყობასა და კატასტროფის რისკის შემცირების სამართლებრივ ბაზაზე. ეს ყოველივე საფუძველს შეუქმნის კატასტროფის რისკის შემცირებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობების განვითარების პროცესის მდგრადობა. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის მე-2-მე-5 პრიორიტეტული მიმართულებების შემთხვევაში, შესაძლებლობათა შეფასებისას შესწავლილ იქნა ინსტიტუციურ მოწყობასთან კომპეტენციებთან, სამუშაო მეთოდებსა და რესურსებთან, ასევე კატასტროფის რისკის შემცირების კონტექსტში არსებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული შესაძლებლობები.



*The CADRI Disaster Risk Reduction Capacity Assessment Tool is structured according to the Hyogo Framework for Action (HFA) Priorities, and evaluates national capacities for DRR against a set of indicators related to five technical areas of capacity development*

ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის თითოეულ პრიორიტეტულ მიმართულებაში არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების აღმოსაფხვრელად შემუშავდა შესაძლებლობების განვითარების რეკომენდაციები. შემოთავაზებული ღონისძიების დონის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა ქვეყნის რეალური შესაძლებლობა, რომ შეძლოს ყოველივე სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში განახორციელოს.

## 2. შეფასებელთა ჯგუფი

კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობათა შეფასების ჯგუფში შედიოდნენ მთავრობის, გაეროს სააგენტოების (მსოფლიო და რეგიონულ დონეზე), საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენლები. შეფასების მისიას უძღვებოდა ჰაჩიმ ბადჯი, *“შესაძლებლობები - კატასტროფის რისკის შემცირების ინიციატივისთვის“* პროგრამის კოორდინატორი (UNDP).

შეფასების ჯგუფში შედიოდნენ: იონანა კრეიტარუ (UNDP ჟენევა), არმენ გრიგორიანი (UNDP ნიუ-იორკი), აშოტ სარგსიანი (OCHA – კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი), უტე სილვია ენდერლანინი (WHO – ევროპის რეგიონული ოფისი), ნატალია ზაქარეიშვილი (UNFPA საქართველო), ნინო ანთაძე (UNDP საქართველო), ნინო გვეტაძე (UNICEF საქართველო), ნინო მამულაშვილი (WHO საქართველო), ნინო შუმანია (IOM საქართველო), ია მირაზანაშვილი (FAO საქართველო), გიორგი გაფრინდაშვილი (გარემოს ეროვნული სააგენტო/გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო), ია ხუციშვილი (საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი/შინაგან საქმეთა სამინისტრო), ირმა გურგულიანი (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო), ოლგა შაშკინა (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო), შალვა ახვლედიანი (საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი/შინაგან საქმეთა სამინისტრო), ვახტანგ გლოველი (საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი/შინაგან საქმეთა სამინისტრო), კახა მამულაძე (GRCS), ნათია ფარულავა (ASB), ვანო გრიგოლაშვილი (RDFG/DRR ცენტრი).

## 3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი მოხდა რამდენიმე მეთოდური ინსტრუმენტის გამოყენებით.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, ჩატარებული „კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების ინიციატივის“ კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასების კითხვარებზე დაყრდნობით. შესაძლებლობების შეფასება ეფუძნებოდა კითხვარს, რომლის დახმარებითაც ჩატარდა ინტერვიუები მთავრობის წარმომადგენლებთან, გაეროს სააგენტოებთან, დონორებსა და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან:

- ცენტრალურ დონეზე – 37 ინტერვიუ ჩატარდა სამთავრობო უწყებებთან, დონორებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეებთან.
- ადგილობრივ დონეზე – 19 ინტერვიუ ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, წითელი ჯვრის წარმომადგენლებთან, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან.

- როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეებზე გამოიკითხა 58 ორგანიზაცია და 130 პირი.

**გასვლითი შეხვედრები.** მუნიციპალურ და თემის დონეზე ინტერვიუები ჩაატარა შეფასების სამმა ქვეჯგუფმა: თბილისში (ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლება); გურჯაანში, თელავსა და ყვარელში (კახეთის რეგიონი); ქუთაისში (იმერეთის რეგიონი); ამბროლაურში (რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონი) და ბათუმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

**დოკუმენტების ანალიზი** – დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების მონაცემების შევსება მოხდა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი მოცულობითი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგებით. ეს დოკუმენტაცია მოიცავდა: კანონმდებლობას, სტრატეგიებს, პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს, პროგრამებსა და პროექტებს.

**კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასების ანგარიშისთვის მზადება** - წინამდებარე ანგარიში შეფასების ჯგუფის წევრებმა წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე მოამზადეს. დამატებითი მონაცემებისა და კომენტარების მისაღებად ანგარიში წარედგინათ შეფასების პროცესში მონაწილე ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს. საბოლოო ანგარიშის დასამტკიცებლად ტარდება ეროვნული სემინარი. ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები საფუძველს შექმნის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას.



**სურათი 1.** საქართველოს ადმინისტრაციული რუკა, სადაც მითითებულია შესაძლებლობების შეფასების განხორციელების (10-21 მარტი, 2014) რეგიონები: თბილისი (დედაქალაქი, ცენტრალური და მუნიციპალური დონეები); გურჯაანი, თელავი, ყვარელი (კახეთის რეგიონი); ქუთაისი (იმერეთის რეგიონი); ამბროლაური (რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო-სვანეთის რეგიონი); ბათუმი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

### III. საქართველოში კატასტროფის რისკების მიმოხილვა

#### 1. ბუნებრივი საფრთხეები და კატასტროფები

საქართველო არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა, რომელიც მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, შავ ზღვასა (დასავლეთიდან) და კავკასიის მთებს (ჩრდილოეთიდან) შორის. მისი ტერიტორიის 80% მთიანია. აქ რეგულარულად ხდება წყალდიდობები, ქვათა ცვენა, მეწყერები და ზვავები, ძირითადად ქვეყნის მთიან ნაწილსა და მდინარეების გაყოლებაზე. ამ სტიქიურ მოვლენებს ძლიერი ზიანის მიყენება შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. გვალვებისა და ინტენსიური გამოყენების გამო ნიადაგი და ვეგეტაცია დეგრადაციის მიმართ მაღალი მგრძობელობით ხასიათდება.

საქართველო მიეკუთვნება საშუალოზე დაბალი შემოსავლების კატეგორიის ქვეყანების რიგს და ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით ის 75-ე ადგილზეა. 2004-2008 წლებში ქვეყანაში იყო ეკონომიკური ზრდა, თუმცა 2008 წლის რუსეთთან კონფლიქტმა და გლობალურმა კრიზისმა ეკონომიკური ზრდის შეჩერება გამოიწვია. 2010 და 2011 წლებში ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად აღორძინდა და ზრდის მაჩვენებელმა თითქმის კრიზისის წინა პერიოდში არსებულ დონეს მიაღწია. მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სიღარიბეში ცხოვრობს. სიღარიბის საფრთხის წინაშე დგანან სოფლებში შინამეურნეობები, რომლებსაც ბავშვიანი ქალები უძღვებიან.

საქართველო ალპურ-ჰიმალაიური კოლიზიური სარტყლის სეისმურად ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონში მდებარეობს. რეგიონის ისტორიული და ინსტრუმენტალური სეისმოლოგიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონის სეისმური აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს საშუალო დონედ. რეგიონში ადგილი ჰქონდა 7-ბალიან ძლიერ მიწისძვრებსა და მაკროსეისმოლოგიურ 9-ბალიან ინტენსივობას (MSK სკალა). ამგვარი მოვლენების განმეორებითი პერიოდი  $10^3$ - $10^4$  წლების თანმიმდევრობაა.

საქართველოში ასევე ხშირია წყალდიდობები, წყლის ყველაზე მაღალი დონე გაზაფხულსა და ზაფხულში ფიქსირდება, როდესაც თოვლი დნობას იწყებს. ეროვნული ტერიტორიის 50%-ზე მეტი ზვავასაშემ კერას წარმოადგენს, სადაც 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტია.<sup>4</sup>

კავკასიის მთისწინეთის მდინარეების ნალექიანობის მაღალი დონის გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალია მდინარეების ზეგავლენა ჰიდროლოგიაზე. ქვათაცვენა და ზვავები დიდ რისკს წარმოადგენენ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, მეწყერი, ღვარცოფი და ქვათაცვენა ანადგურებენ საირიგაციო სისტემებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და გზების ინფრასტრუქტურას. 1968-2009 წლებში გეოლოგიურმა საფრთხეებმა ქვეყნის დაახლოებით 70% და მოსახლეობის 65%-ზე მოახდინა უარყოფითი გავლენა.<sup>5</sup>

ყველაზე მეტად გვალვა ახასიათებს კახეთის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებს. კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში გვალვის 2000 წლის შემთხვევამ 696,000 ადამიანი დააზარალა და 200 მილიონია აშშ დოლარის<sup>6</sup> ოდენობის ეკონომიკური ზარალი გამოიწვია. ბოლო დროს საქართველოში გვალვების ციკლი 15-20 წლიდან 6 წლამდე შემცირდა. 1995-

2009 წლებში სოფლის მეურნეობისთვის გვალვით მიყენებულმა ზიანმა 400 მლნ. ლარის ეკონომიკური ზარალი გამოიწვია.<sup>7</sup>

კავკასიის ქედის ზონებში, კოლხეთის დაბლობის, იმერეთის, შიდა ქართლის, თბილისის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, ხშირია ძლიერი ქარი. 1995-2006 წლებში ძლიერი ქარების განმეორების შემთხვევები წელიწადში 1-დან 4-მდე მერყეობდა. 2007-2009 წლებში ძლიერი ქარების სიხშირე წელიწადში 6-12-ჯერ გაიზარდა.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედება საქართველოშიც ფიქსირდება, რაც ბუნებრივი საფრთხეების ექსტრემალური ხასიათით ვლინდება. მაღალი მთები, სანაპირო, ასევე ნახევარუდაბნოები საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში განსაკუთრებით მგრძობიარე არიან კლიმატის ცვლილების მიმართ.<sup>8</sup> კლიმატის ცვლილებების მეორე ეროვნული შეტყობინების კლიმატის ცვლილებების პროგნოზირების მოდელებმა აჩვენეს ექსტრემალური კლიმატური პირობების ზრდა, რაც გამოიხატება ნალექების უფრო მძიმე და არათანაბარ სეზონურ გადანაწილებაში.<sup>9</sup>

საქართველოზე კლიმატის ცვლილების მზარდი ზეგავლენის თვალხილული დადასტურებაა 2012 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ რეგიონებში დაფიქსირებული ძლიერი ქარები და სეტყვა. საშუალო დონის საფრთხემ არათანაზომიერი სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფა გამოიწვია: დაახლოებით 75,000 ადამიანი დაზარალდა და 202 მილიონი ლარის (123 მილიონი აშშ დოლარი) ღირებულების ეკონომიკური ზიანი დაფიქსირდა. დანაკარგი ზიანზე სამჯერ მეტი იყო და კერძო სექტორმა ათჯერ მეტი ფინანსური ზარალი განიცადა, ვიდრე საჯარო სექტორმა.

კლიმატის ცვლილებების მესამე ეროვნული შეტყობინების პირველადი დასკვნები მიუთითებენ ტემპერატურის მოსალოდნელ ზრდას 3,7 გრადუსი ცელსიუსით (1986-2010 წლებში წლიურ საშუალო ზრდასთან შედარებით). სვანეთის რეგიონში 250 მცინვარია, რომელთა გაქრობაც კავკასიის მთიანი სარტყელიდან 2150-2160 წლებისთვისაა ნავარაუდები, თუ გავითვალისწინებთ მცინვარების დნობის ამჟამინდელ ტემპსა და ტემპერატურის მზარდ დონეს.

## 2. მოწყვლადობა

საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყანაა, სადაც 2013 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3596,6 აშშ დოლარს შეადგენდა. ადამიანის განვითარების ინდექსით საქართველო 75-ე ადგილზეა (UNDP, 2012). ქვეყნის ეკონომიკის ძირითად სექტორებს ვაჭრობა, მრეწველობა, საჯარო ადმინისტრირება, ტრანსპორტი და კომუნიკაცია, და სოფლის მეურნეობა შეადგენენ.<sup>10</sup> ახლახან ტურიზმიც იქცა პრიორიტეტულ სექტორად. 2003-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკამ მკვეთრ ზრდას მიაღწია და მაჩვენებელმა საშუალოდ წლიური 6,1% შეადგინა. ეს ზრდა განაპირობა სტრუქტურულმა რეფორმამ, რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალის შემოდინებასა და ინვესტიციების მოზიდვას. რეფორმებმა ხელი შეუწვეს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, საჯარო ფინანსების გამდიდრებას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას. 2012 წ. ერთ სულ მოსახლეზე მშპ 920 აშშ დოლარიდან (2003 წ.) 3,500 აშშ დოლარამდე გაიზარდა.<sup>11</sup>

2012 წლის ბოლო კვარტლიდან ეკონომიკამ განვითარება შეანელა და 2013 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში მშპ-სთან მიმართებაში 1,7 %-იანი ზრდა დაფიქსირდა. არჩევნების შემდგომი პერიოდის პოლიტიკის გაურკვეველობამ და ბიუჯეტის შესრულების სისუსტემ ხელი შეუწყო ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის „მოვიცადოთ და ვნახოთ“ პოზიციის ჩამოყალიბებას, რაც აისახა ეკონომიკის ზრდაზე. მიუხედავად იმისა, რომ მონეტარულ და სავალუტო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი განვითარება არ ყოფილა, შიდა და გარე მდგრადობა შენარჩუნდა, რამაც 2014 წელს ხელი შეუწყო ეკონომიკის სწრაფ აღდგენას. მსოფლიო ბანკი საქართველოში 2014 წელს 6,3 %-იან ეკონომიკურ ზრდას ვარაუდობს. შეფასებები გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის კვლევაში „გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები 2014“.

გასულ წლებში დაფიქსირებული შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს. შეფასებები მერყეობს უკიდურესი სიღარიბის 10%-სა და 45%-ს შორის, იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება სიღარიბის ზღვარი. სოფელში სიღარიბის მაჩვენებლები (24,3%), ურბანულ მაჩვენებლებთან (17,6%) შედარებით, მაღალია და სხვაობის შემცირების ტენდენცია ფიქსირდებოდა, რომელიც 2008 წლის კრიზისის დროს შეწყდა. მსოფლიო ბანკის 2010 წლის ანგარიშის თანახმად, რეგიონების მიხედვით სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია კახეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში, ხოლო ყველაზე დაბალი - თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებლების გამოთვლა რეგიონების მიხედვით არ მომხდარა, ნათელია, რომ ეს უთანასწორობა თბილისში ბევრად მაღალია, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში.<sup>12</sup>

არსებული მტკიცებულებების თანახმად, მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფი განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაშია აქტივებსა და ძირითად მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ძალიან მცირე შესაძლებლობები აქვს. 1990 წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან ომისა და 2008 წ. საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შედეგად, საქართველოს 4,5 მილიონიანი მოსახლეობიდან 258,595 იძულებით გადაადგილებული პირი ჰყავს. ყველაზე კრიტიკული საკითხია შეუფერებელი საცხოვრებელი პირობები და უმუშევრობის მაღალი დონე.<sup>13</sup> გარდა ამისა, საქართველოში, სხვა ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, ბავშვები დგანან სიღარიბის ყველაზე მაღალი რისკის წინაშე. ბავშვიანი ოჯახები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე უშვილო და რაც მეტია ბავშვის რაოდენობა ოჯახში, მით მაღალია სიღარიბის რისკი (წყარო: UNICEF, ბავშვთა სიღარიბის შემცირება 2012). გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2012 წ. ჩატარებული კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევის თანახმად, 0-დან 16 წლამდე ასაკის 77,000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლები დანახარჯით და 200,000-ზე მეტი (ე.ი. საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა მეხუთედი) მოხმარების საშუალო მაჩვენებლის 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს, რაც დაახლოებით დღეში 2 აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოში, უმუშევრობა კვლავ რჩება სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად. საქართველოს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ინტენსიური კაპიტალით ხასიათდებოდა, უმუშევრობის შედარებით ნაკლებად მაღალ მაჩვენებელზე აისახა, რომელიც კრიზისის წინა პერიოდში 12-13 %-ზე რჩებოდა. უმუშევრობამ პიკს - 17 %-ს - კრიზისის პერიოდში, 2010 წელს, მიაღწია და შემდეგ, 2012 წელს, 15 %-ზე ჩამოვიდა. მუშახელის უმეტესობა - 55%-ზე მეტი - სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული (ძირითადად

თვითდასაქმებულები), მათი წვლილი 2013 წ. მშპ-ში მხოლოდ 9,3 %-ია. ისინი შინამეურნეობებზე დაფუძნებულ ფერმერულ საქმიანობას ეწევიან<sup>14</sup> და დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან.

## IV. ეროვნულ დონეზე კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასების შედეგები

### HFA1. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 1: კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის პრიორიტეტად განსაზღვრის უზრუნველყოფა და მისი განხორციელებისთვის შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა

#### 1. სახელმწიფოს როლი

საქართველოში ბუნებრივი საფრთხეები (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი, მიწისძვრა, სეტყვა, ძლიერი წვიმები, გრიგალი და გვალვა), რასაც თან ერთვის რისკისა და მოწყვლადობის ზრდის მნიშვნელოვანი ხარისხი, არსებითად უარყოფითად მოქმედებს ეროვნულ ეკონომიკაზე. საქართველოს მთავრობის მონაცემების მიხედვით, უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიის 70%-ზე იჩინა თავი ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური ხასიათის ბუნებრივმა საფრთხეებმა; ეკონომიკურმა დანაკარგმა 14 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

ამ კონტექსტში, მთავრობამ აიღო ვალდებულება გაამლიეროს კატასტროფის რისკის შემცირების სისტემა, გააუმჯობესოს კატასტროფისთვის მზადებისა და მასზე რეაგირების შესაძლებლობები ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე და უზრუნველყოს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხის გათვალისწინება განვითარების სტრატეგიებში, გეგმებსა და სამოქმედო ჩარჩოებში, როგორც ეს აღნიშნული იყო 2013 წლის<sup>15</sup> მაისში კატასტროფის რისკის შემცირების გლობალური პლატფორმის მე-4 სესიაზე საქართველოს დელეგაციის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფის რისკის შემცირების აუცილებლობა თანდათანობით მოექცა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების სიაში და სექტორულ დონეზე კატასტროფის რისკთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების თვალსაზრისით გარკვეული პროგრესიც შეინიშნება, ჯერ კიდევ გაბატონებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ტრადიციული მიდგომა და კატასტროფის რისკის შემცირების კონცეფცია, როგორც პირველ რიგში განვითარების საკითხი, ფაქტობრივად ახალი თემაა საქართველოს ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. ქვეყანაში ნაკლებად აცნობიერებენ, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკასა თუ ადამიანის განვითარებაზე რისკების შემცირების საქმეში ინვესტიციების სიმწირემ და არასათანადო დაგეგმვამ. არასაკმარისია კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები. ინსტიტუციური მოწყობისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა კოორდინაციის მექანიზმები სრულად არ ფუნქციონირებს და ნაკლებეფექტანია. გარკვეული ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური შესაძლებლობების არსებობის მიუხედავად, არ ხდება მათი სათანადოდ კოორდინირება და სისტემატიზაცია შესაბამის სექტორებს, მმართველობის დონეებსა და ინსტიტუტებს შორის. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკის შემცირებისა და კლიმატის ცვლილების ადაპტაციისათვის მიმართული ძალისხმევა მეტ რეგულირებას მოითხოვს ინსტიტუციურ, პოლიტიკისა და პროგრამული განხორციელების დონეზე, ვინაიდან კლიმატთან და კატასტროფებთან დაკავშირებული რისკების პრობლემებზე მუშაობა ცალ-ცალკე აღარ შეიძლება.

შეფასებამ გამოავლინა, რომ საქართველოს მთავრობას აქვს ნება და პოტენციალი კატასტროფებზე რეაგირების რეაქტიული მიდგომიდან კატასტროფის რისკის შემცირების პროაქტიულ პრაქტიკაზე გადავიდეს. როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს ინტერესი ახალი მიდგომის მიმართ - რომ არ კმარა მხოლოდ უკვე მომხდარ კატასტროფებზე რეაგირება და რომ რისკების შემცირების საკითხები ქვეყნის განვითარების დაგეგმვის პროცესშია გასათვალისწინებელი. ამრიგად, ქვეყნის ხელისუფლებამ პოზიციები უნდა განიმტკიცოს კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრით, შესაძლებლობების გაძლიერებითა და აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფით, რაც მიმართული იქნება არსებული რისკების შემცირებაზე, ახალი რისკების წარმოქმნის თავიდან აცილებასა და კატასტროფებზე ეფექტიანად რეაგირებისათვის მზადყოფნაზე.

## 2. კანონმდებლობა

### 2.1. კატასტროფის მართვის კანონმდებლობა

არსებული კანონმდებლობა თითქმის ექსკლუზიურად არეგულირებს კატასტროფის მართვას და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას. რამდენიმე სექტორული საკანონმდებლო აქტი და ზოგიერთი სექტორული პოლიტიკა და სტრატეგია მართლაც შეესაბამება რისკების შემცირებას. თუმცა საჭიროა ნორმატიული დოკუმენტები რისკების შემცირებისა და პრევენციის მიმართულელებით უფრო სრულყოფილად და დეტალურად იქნეს განახლებული და დამუშავებული. ანალოგიურად, ამჟამინდელ კანონმდებლობაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და დარეგულირებული კატასტროფის შემდგომი გრძელვადიანი აღდგენის საკითხები.

შეფასებამ გამოავლინა, რომ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამთავრობო დონეებს შორის (ცენტრალური, მუნიციპალური, ადგილობრივი) არსებობს კონსენსუსი საკანონმდებლო ჩარჩოებისა და შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის საჭიროების თაობაზე. ყველა თანხმდება, რომ აუცილებელია კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაინტერესებული მხარეების მანდატების, როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრა.

**ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ კანონმა (2007)** საქართველოში კატასტროფის მართვის ძირითადი სამართლებრივი ბაზა შექმნა. ის განსაზღვრავს თითოეული დარგობრივი სამინისტროს როლსა და პასუხისმგებლობას საგანგებო სიტუაციაში მოქმედებისთვის (მათ შორის, ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფის შემთხვევაში). ამჟამინდელი კანონის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია: ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის მიზნით საქმიანობის კოორდინაცია, ასევე საომარი მდგომარეობის პერიოდში სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფა.<sup>16</sup>

**კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (2014)** განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე. კანონში, როგორც დაუყოვნებელი

რეაგირების პირველი ეტაპის ქმედებები, განსაზღვრულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ფუნქციები და კომპეტენციები საგანგებო სიტუაციებისათვის მზადების, რეაგირების, პრევენციის და ადრეულ ეტაპზე აღდგენითი სამუშაოების ჩატარების საქმეში. კანონში წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვისა და ყველა დონეზე (ცენტრალური/ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) ცენტრალიზებული დირექტივების კონტროლის ერთიანი სისტემა. კანონის თანახმად, არსებული დეპარტამენტი (შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი) გარდაიქმნება სააგენტოდ (შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო), რომელიც დაექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს. ახალ კანონში ასევე განსაზღვრულია მუნიციპალური სახანძრო ბრიგადების (რომლებიც ამჟამად ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არიან) სამომავლოდ ცენტრალურ დონეზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაქვემდებარებაში გადასვლა.

კატასტროფებზე რეაგირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს დეტალური ანალიზი წარმოდგენილია ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის მე-5 პრიორიტეტულ მიმართულებაში.

## 2.2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს, და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.

ასოცირების შეთანხმების მიზნებია:

- ხელი შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას;
- უზრუნველყოს გაძლიერებული ჩარჩოს შექმნა საერთო ინტერესთა ყველა სფეროში გაღრმავებული პოლიტიკური დიალოგისთვის;
- ხელი შეუწყოს საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებასა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სტაბილურობას;
- ხელი შეუწყოს, დაიცვას და გააძლიეროს მშვიდობა და სტაბილურობა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;
- ხელი შეუწყოს თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას;
- გააძლიეროს თანამშრომლობა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში;
- მხარი დაუჭიროს საქართველოს ძალისხმევას, განავითაროს მისი ეკონომიკური პოტენციალი საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით;
- მიაღწიოს ევროკავშირის შიდა ბაზართან საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას;
- შექმნას პირობები საერთო ინტერესთა სხვა სფეროებში უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

მხარეებს შორის თანამშრომლობის სხვა სფეროები მოიცავს გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ქმედებებს, ჯანდაცვას, რეგიონულ განვითარებას, თანამშრომლობას საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე, სოფლის მეურნეობას და სოფლის

განვითარებას, თანამშრომლობას კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში, სამოქალაქო დაცვას. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველო იღებს ვალდებულებებს განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს.

ასოცირების შეთანხმებაში განსაზღვრულია თანამშრომლობის განვითარება ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფის პრევენციის, მისთვის მზადების და მასზე რეაგირების მიმართულებით. თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ მიზნებს: კატასტროფის რისკის შემცირების ფორმატში თანამშრომლობა ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა, ინსტიტუციური კავშირები და ადვოკატირება; ინფორმაცია, განათლება და კომუნიკაციები; საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ბუნებრივი კატასტროფის პრევენციის ან კატასტროფის ზემოქმედების შემცირებისაკენ; თანამშრომლობა კატასტროფის მართვის მიზნით კატასტროფის, საფრთხეებისა და რისკების შეფასების შესახებ საინფორმაციო ბაზის დასახვეწად; თანამშრომლობა გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე კატასტროფის ზემოქმედების შეფასების მიმართულებით.

### 2.3. სექტორული კანონმდებლობა

- **გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონი** მიიღეს 1996 წ. და გაუქმდა 2003 წ. ახლახან კანონი კვლავ შემოიღეს, თუმცა გარკვეული შეზღუდვები, ადგილობრივ დონეზე მისი აღსრულებისთვის საჭირო ცოდნისა და ტექნიკური შესაძლებლობების ნაკლებობიდან გამომდინარე, ხელს უშლის მის სრულ ამოქმედებას. აღნიშნული კანონის დაცვა მოეთხოვება ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს, მისი განხორციელება შეუძლია სამთავრობო ორგანიზაციებს<sup>17</sup>, კერძო ლიცენზირებულ კომპანიებს და კერძო არალიცენზირებული კომპანიებს. შემფასებლებმა არ იციან როგორ წარიმართა ლიცენზირების პროცესი და რა იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდგომ სახელმწიფო ვალდებულებას იღებს დაუახლოოს შესაბამისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს.<sup>18</sup>
- **კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ** არეგულირებს გარემოს დაცვის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და უზრუნველყოფს საქართველოს ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ლანდშაფტის დაცვასა და აღდგენას. კანონის 1-ლი მუხლი განსაზღვრავს საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, კატეგორიების შერჩევის და თითოეული დაცული ტერიტორიის დაარსებისა და ფუნქციონირების მიზნებს. პარაგრაფი „ე“ განსაზღვრავს იმ ტერიტორიების დაცვას, რომლებიც მდებარეობენ ეროზიულ, ღვარცოფის, წყალდიდობა-წყალმოვარდნის, ზვავის და მეწყრის აქტიური გავლენის ზონებში, აგრეთვე - ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ფორმირების, გადინებისა და განტვირთვის არელების დაცვას ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. გარდა ამისა, მე-20 მუხლის თანახმად, კატასტროფის რისკის მართვა დაცული ტერიტორიების შიგნით ხორციელდება კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დროებითი რეგულირების მექანიზმების საშუალებით. დაცული ტერიტორიების შესახებ კანონი სამართლებრივ

საფუძველს ქმნის დაცული ზონების კატეგორიების გამოსაყოფად (მათ შორის - დაცულ ტერიტორიაზე არსებული წყალსატევები). კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ არეგულირებს წყლებისა და წყალსატევების გამოყენებას სამელიორაციო მიზნებისთვის.

- **კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ** უზრუნველყოფს ველური ბუნების ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობის დაცვას, აღდგენას და გენეტიკური რესურსების შენარჩუნებას. კანონის მე-10 მუხლი შესაბამის სამთავრობო უწყებებს (ზუსტი ჩამონათვალი არ არის განსაზღვრული) ანიჭებს კატასტროფის, ეპიდემიებისა და სხვა მიზეზებით ველური ბუნების ბუნებრივი ჰაბიტატის გაუარესებული მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებას. საქართველომ ველური ბუნების შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან ჰარმონიზაციის ვალდებულება აიღო: დირექტივა 2009/147/EC გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ; დირექტივა 92/43/EC ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ.
- **სატყეო კოდექსი.** ტყის დაცვა, შენახვა, აღდგენა და გამოყენება რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის, სატყეო კოდექსის, გარემოს დაცვის შესახებ კანონის, ველური ბუნებისა და წყლის შესახებ კანონისა და საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით, რაზეც საქართველოს ხელი აქვს მოწერილი. სატყეო კოდექსი შესაბამის ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ადმინისტრაციებს ანიჭებს ტყის აღდგენის მანდატს ბუნებრივი კატასტროფით, ეპიდემიებითა და სხვა მიზეზებით გამოწვეული ზიანიდან. ცალკე თავი ეთმობა ტყის შენახვას, რომელიც განისაზღვრება როგორც ღონისძიებათა სისტემა, რაც გარდა სხვა ამოცანებისა, მიზნად ისახავს მიწის ნაყოფიერების ზრდას, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიებით დაზიანებული ნიადაგის შემცირებისგან პრევენციას, დატბორვის, ღვარცოფის, ზვავებისა და სხვა საფრთხეებისგან დაცვას. გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს ტყის შენახვის ღონისძიებებს.
- **კანონი წიაღის შესახებ.** საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღი სახელმწიფოს საკუთრებაა და მისი მართვა ხორციელდება მისი აღრიცხვის, ლიცენზირების, კონტროლისა და ზედამხედველობის საშუალებით. მინერალური რესურსების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას და რეგულირდება შემდეგი კანონებით: ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, ნავთობისა და გაზის შესახებ, წიაღის შესახებ, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტებით. წიაღის შესახებ კანონი კრძალავს ლიცენზიის გაცემას მდინარეთა კალაპოტებიდან და ზღვის სანაპიროდან ინერტული მასალების მოპოვებისათვის, თუ მასალის მოპოვება დაარღვევს მდინარის კალაპოტის ან ჰიდროტექნიკური ნაგებობის (კაშხალი, ხიდი, საყრდენი კედელი და ა.შ.) მდგრადობას. კანონი კრძალავს წიაღისეულის ამოღებას ჭალის ზედა ტერასებზე, მდინარის კალაპოტიდან 50 მეტრის ფარგლებში.
- **კანონი წყლის შესახებ** მიიღეს 1997 წ. და განსაზღვრავს წყალთან დაკავშირებული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, როგორცაა წყლის დაცვა და რაციონალური გამოყენება მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინებით, სასმელი წყლით მომარაგება, როგორც უპირველესი პრიორიტეტი, წყლის უარყოფითი

ზეგავლენისგან დაცვა და მდგრადობა, და წყლის უსაფრთხოების თვალსაზრისით სახელმწიფო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. კანონის II თავში წარმოდგენილია დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ წყლის მართვასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს ეროვნულ, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი მმართველობის დონეზე, რაც მოიცავს ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზიანებული წყლის ობიექტების აღდგენით სამუშაოებს. კანონის მე-14 მუხლის თანახმად, წყლის დაცვითი საქმიანობის დაგეგმვა ხორციელდება მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად - მდგრადი განვითარების სტრატეგია, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა, გარემოს დაცვის მართვის გეგმა და შესაბამისი კანონები და ნორმატიული აქტები. კანონი მოითხოვს წყლის დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებების ინტეგრირებას: მიწის გამოყენების ადგილობრივ გეგმებში, განსახლებისა და განვითარების გეგმებში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში, სექტორულ გეგმებში, დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში და ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმებში. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდგომ გარკვეული სახის საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება წყლის ხარისხის და წყლის რესურსების, მათ შორის, საზღვაო გარემოს მართვის სფეროში.<sup>19</sup>

- **ნიადაგის კონსერვაციის და ნაყოფიერების აღდგენა-გაუჯობების შესახებ კანონი, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლის შესახებ კანონი, ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონი და ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ კანონი** უზრუნველყოფს წყალთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტის რაციონალიზებას (მაგ. გარემოზე ზეგავლენის შეფასება). **ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი** აწესებს სანიტარიულ და ჰიგიენურ მოთხოვნებს, ნორმებსა და წესებს წყლის ხარისხთან დაკავშირებით.<sup>20</sup>
- **სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის შესახებ ახალი კოდექსის** პროექტი მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური და ტექნიკური დახმარებით. კანონში გაწერილია დებულებები სივრცით მოწყობასა და ურბანული განვითარების დაგეგმვის შესახებ, რაც დაეფუძნება ერთიან და სექტორულ (ლანდშაფტის დაცვა, სეისმურ ზონებად დაყოფა და ა.შ.) გეგმებს, ქვეყნის მასშტაბით/ავტონომიურ რესპუბლიკაში სივრცით მოწყობას, ურბანული განვითარების გეგმებს, დასახლებებში მშენებლობების ძირითად პრინციპებს, მიწის შეცვლას, ურბანული განვითარების ღონისძიებებს, სამშენებლო სამუშაოების რეგულაციებს, მიწის ნაკვეთების განვითარების რეგულაციებს, შენობების ხარისხის უზრუნველყოფას, სამშენებლო მასალების ხარისხის უზრუნველყოფას, მშენებლობაში ჩართულ მხარეებს, მშენებლობის ნებართვების გაცემის წესებს, მშენებლობის ზედამხედველობის წესებს, მშენებლობების ნებართვის გაცემის წინაპირობებს, შენობების კლასიფიცირებისა და მშენებლობის პრინციპებს, მშენებლობის შესახებ შეტყობინებასა და მშენებლობაზე სახელმწიფო კონტროლს.
- საქართველოში **ურბანული დაგეგმარება და სამშენებლო სამუშაოები** რეგულირდება კანონებით, როგორცაა: კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ, კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ, კანონი არქიტექტორული საქმიანობის შესახებ, კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ და სხვა კანონქვემდებარე აქტები და ბრძანებები. შენობებისა და

მშენებლობების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დამატებით რეგულაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იღებს.

- **საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ (2007)** მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობას, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობას და გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. ამ კანონის ძირითადი პრინციპებია პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციებისა და ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების მკაფიოდ გამიჯვნა და მათი მჭიდრო საინფორმაციო კოორდინაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა-აღსრულების დროს. კანონის მე-12 მუხლი განაზღვრავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიის უფლება-მოვალეობებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიისა და პანდემიის დროს, რომლის მართვის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს რეკომენდაციებისა და წინადადებების საფუძველზე, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<sup>21</sup>
- **კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ** უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების მინიჭებას, მათ განსახორციელებლად განსაზღვრავს სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. კანონის მიზანია გენდერული თანასწორობის დაცვა, თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა და დისკრიმინაციისგან დაცვა ისეთ სფეროებში, როგორცაა: შრომითი ურთიერთობები, განათლება და მეცნიერება, საინფორმაციო წყაროების ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა, თანაბარი საარჩევნო უფლებები. საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის მეორე სტრატეგია (2014-2016), რომელიც ასევე უზრუნველყოფს გენდერული ბალანსის დაცვას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას და გარემოს დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობით.

### **3. პოლიტიკა, სტრატეგიები, პროგრამები**

საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული პოლიტიკა თუ სტრატეგია არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ლოკალური პროექტის საფუძველზე ხელისუფლება მუშაობს მდინარის აუზის მართვის პოლიტიკის შემუშავებაზე, რაც მდინარე რიონის აუზისათვის UNDP-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის გამოცდილების გათვალისწინებით ხდება. პროექტის მიზანია ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება საფრთხეების მონიტორინგისა და წყალდიდობების რისკის შეფასების მიმართულებით, მდინარის ჭალის სპეციფიკური მიწის გამოყენების პოლიტიკის შემუშავება და მდ. რიონის აუზის მიმდებარე დასახლებებისთვის წყალდიდობისგან დაზღვევის სქემის შემუშავება.

### 3.1. ეროვნული განვითარების სტრატეგია და პროგრამა

- სამთავრობო პროგრამის - **გაერთიანებული საქართველო სიღარიბის გარეშე (2010)** - მიზანია საგრძნობ ეკონომიკურ ზრდასა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ორიენტირებული ეფექტიანი ღონისძიებების გატარება. პროგრამაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის სისტემას, ინსტიტუციური რეფორმის გატარებისა და ქმედითი ლიცენზირების სისტემის შექმნით, ასევე ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების გზით, ადრე აღნიშნული განცხადებების თანახმად“.
- მთავრობის **ძირითადი მონაცემები და მიმართულებები** განსაზღვრავს საქართველოს საშუალოვადიანი რეფორმის პროგრამას, არსებითად წარმოადგენს საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ ჩარჩოებს, ასევე ფისკალური რესურსების მიმართვის კუთხითაც, და ამ მიზნების მისაღწევად ცალკეული სექტორების სტრატეგიების აღწერას მოიცავს. ამ დოკუმენტის ბოლო ვერსია (2013-2016) კატასტროფის რისკის მართვის სფეროში განსაზღვრავს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს: კატასტროფის პროგნოზირებისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა; მიწის რესურსების მდგრადი გამოყენების მექანიზმების შექმნა ეროზიის შემცირებისა და გაუდაბნოების პრევენციის უზრუნველსაყოფად; შავი ზღვის სანაპიროსა და მდინარეების ნაპირების დაცვა და აღდგენა; გარემოსდაცვითი საკითხების სავალდებულო გათვალისწინება ურბანული განვითარებისა და სამშენებლოს საქმიანობის პროცესში.
- **რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია (2010-2017)** არის საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, ეფექტიან რეგიონულ მართვაზე, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებაზე, ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების, ბიზნესის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობასა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფაზე კონცენტრირებით. გარემოს დაცვის სფეროში პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრულია წყლის რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემების განვითარება; წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობა; შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა გლობალური და ადგილობრივი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზეგავლენისგან; განახლებადი ენერგორესურსების განვითარების ხელშეწყობა; მიწის რესურსების მართვისა და კატასტროფის რისკის მართვის სისტემების გაუმჯობესება. ამ უკანასკნელი პრიორიტეტის მიღწევა დაგეგმილია რისკის ზონებში მონიტორინგისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის (EWS) დანერგვით, რეაგირების გეგმების შემუშავებითა და შესაბამისი რისკების შემცირების ღონისძიებების განხორციელების დაგეგმვით, კატასტროფის შედეგად მიღებული სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასებით და რეგიონების მდგრადი განვითარების გეგმებსა და სამოქმედო გეგმებში მათი ინტეგრირებით.
- 2012 და 2013 წლებში მთავრობამ საქართველოს ყველა რეგიონისთვის მიიღო **რეგიონული განვითარების გეგმები**. გეგმები მოიცავს 2014-2021 წლებს. რეგიონული განვითარების მიზნები და პრიორიტეტები განისაზღვრა თითოეული რეგიონისთვის

განხორციელებული SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები, საფრთხეები) ანალიზის საფუძველზე, რაც სხვა სექტორებთან ერთად მოიცავდა კატასტროფის რისკის პროფილის შეფასებას, კატასტროფის რისკის შეფასების ანალიზსა და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის შესაძლებლობების შეფასებას. რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯია სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება მოქმედებების დეტალური ჩარჩოები, მონიტორინგისა და შეფასებების მექანიზმებისა და ინდიკატორების ჩათვლით.<sup>22</sup>

- **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია („საქართველო 2020“) 2014-2020 წლებისთვის** სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და შესაბამის ღონისძიებებს განსაზღვრავს: საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, საინვესტიციო რესურსების მობილიზება, ფინანსური შუამავლობის განვითარება.
- 2010 წელს საქართველოს მთავრობამ საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და სხვა ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით 2011-2015 წლებისთვის შეიმუშავა **გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის (UNDAF)**. გეგმა შეესაბამება **გაერთიანებული საქართველოს სიღარიბის გარეშე** პროგრამის ეროვნული განვითარების პრიორიტეტებს. UNDAF-ი ითვალისწინებს ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს და მოიცავს ერთ-ერთ შედეგს, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე კატასტროფის რისკისა და გარემოს დაცვის ეფექტიან მართვაზე.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 თებერვლის №164 დადგენილებით დამტკიცებული **„ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის“** მიზანია სტრატეგიულ დონეზე საქართველოს წინაშე მდგარი ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირება და მიღებული ზიანის შემსუბუქება. სტრატეგიის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ქვეყნის მასშტაბით ზემოჩამოთვლილი საფრთხეების წინააღმდეგ ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების მართვის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა პრევენცია, გამოვლენა, მზადყოფნა და რეაგირება.

### 3.2. სექტორული პოლიტიკა, სტრატეგიები, პროგრამები

- **საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2014-2020)** განსაზღვრავს მთავრობის ხედვას სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, რომელიც გულისხმობს სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეგიონების მდგრადი განვითარების გზით კონკურენტული გარემოს შექმნას, სასოფლო-სამეურნეო

წარმოების ზრდას, სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის აღმოფხვრას. იმის აღიარებით, რომ საქართველოს მოსახლეობის სურსათის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნიან გვალვები, გადაზიდვებთან დაკავშირებული შეფერხებები, საწვავის უკმარისობა ან ეკონომიკური არასტაბილურობა, ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად განსაზღვრულია უსაფრთხო და მაღალი კვებითი ღირებულების სურსათით მომარაგების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სტრატეგია ითვალისწინებს სოფლის მეურნეობისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს შორის თანამშრომლობას, რათა შემუშავდეს და განხორციელდეს პრევენციული და ადაპტირებადი ღონისძიებები კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული პოტენციური მავნე ზემოქმედების პრობლემის მოსაგვარებლად.

- **სექტორული პოლიტიკის კუთხით მთავრობისთვის გარემოს დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.** კატასტროფის რისკის შემცირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. **საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნულ სამოქმედო პროგრამაში (2012-2016)**, რომელიც შემუშავდა 2012 წ. ეროვნული კონსულტაციების შედეგად, სპეციალური თავი ეძღვნება კატასტროფებს. რიგით მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი პროგრამა (NEAP 2) ეყრდნობა გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმოხილვის (2010) შედეგებს და გარემოს მდგომარეობის ანგარიშს (2007-2009). მასში განსაზღვრულია სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც ადამიანური დანაკარგების და ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოსისტემაზე ნეგატიური ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირებას ისახავენ მიზნად. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ეკონომიკური დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას სამი მიმართულებით: ადრეული გაფრთხილების სისტემის გაუმჯობესება/მოდერნიზაცია; საქართველოს მდინარეთა აუზის მიმდებარე ტერიტორიებზე წყალდიდობებითა და წყალმოვარდნებით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენის პრევენცია/შემცირება; ცალკეული სახის სტიქიურ მოვლენებზე (სეტყვა, გვალვა, ზვავი) ხელოვნური ზემოქმედების საშუალებების აღდგენა; სამრეწველო ავარიებთან დაკავშირებული რისკის შემცირება. 2013 წლიდან მთავრობამ გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება გარემოსდაცვითი და კატასტროფის რისკის მართვის სფეროებში მონიტორინგის, პროგნოზირებისა და პრევენციის ღონისძიებების განსახორციელებლად. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური განყოფილება - ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია კატასტროფის რისკის შემცირებაზე, უწყებრივი საგანგებო დახმარების ფუნქციების ფარგლებში (ეროვნული რეაგირების გეგმის თანახმად). ჰიოგოს ჩარჩოპროგრამის ფარგლებში ეროვნული საკონტაქტო პირი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელია.
- **კლიმატის ცვლილების ეროვნულ პოლიტიკაში (2009)** კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია განისაზღვრა როგორც პრიორიტეტი, რომელიც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის (UNFCCC) მეორე ეროვნული შეტყობინების შედეგებს დაეფუძნა. **კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა** შემუშავების პროცესშია და მასში გაერთიანდება ადაპტაციის სტრატეგია, რომელიც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციისთვის (UNFCCC) **მესამე ეროვნული შეტყობინების** ფარგლებშია განსაზღვრული (ხორციელდება 2011 წლიდან). მესამე

ეროვნული შეტყობინება მოიცავს განახლებულ ინფორმაციას ადგილობრივი ვითარების, სათბურის გაზების გამოყოფის აღრიცხვის, კლიმატის ცვლილების შერბილების, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისთვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ; ასევე ასახავს ინფორმაციას საზოგადოებრივი ცნობიერების, განათლების, ტრენინგებისა და კვლევების შესახებ. დეცენტრალიზებულ დონეზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის კლიმატის ცვლილების სტრატეგია მომზადდა მესამე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში. სტრატეგია მოიცავს ინფორმაციას ეროვნულ კონტექსტში სათბურის გაზების გამოყოფის აღრიცხვის, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის და ცვლილებების შემსუბუქებისა და ცვალებადობისადმი ადაპტირების ღონისძიებებს. მეორე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში შემუშავებული მოდელების გამოყენებით სტრატეგიაში შეფასებულია უახლოეს დეკადაში მოსალოდნელი კლიმატის ცვლილებები. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ანალოგიური სტრატეგიების შემუშავება მიმდინარეობს სვანეთისა და კახეთის რეგიონებისთვის.

- ჯანდაცვის სექტორს განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხეების ადრეული გამოვლენის, შესაბამისი უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და მეთოდოლოგიური დახმარების საკითხებში. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგიის (2011-2015)<sup>23</sup> პრიორიტეტული ამოცანებია: დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის საფრთხეებისათვის მზადყოფნა და საპასუხო რეაგირება, რომელიც ასევე მოიცავს საგანგებო მდგომარეობებისა და კატასტროფებისთვის მზადებას (სტრატეგიული ინიციატივა 4.8)<sup>24</sup>. ჯანდაცვის სექტორში, სამთავრობო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით, ამ ამოცანის განხორციელებაში წამყვან როლს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ასრულებს.

#### 4. ინსტიტუციური მოწყობა და კოორდინაცია

##### 4.1. სამთავრობო უწყებები

კატასტროფის რისკის შემცირების ერთიანი ინსტიტუციური სისტემები გაფანტულია და გაუმჯობესებას საჭიროებს ეფექტიანი სექტორული კოორდინაციის მისაღწევად. რამდენიმე სახელმწიფო ორგანიზაციას აქვს რისკის შემცირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის ვალდებულება, რომელსაც კონკრეტულ სექტორში შესაბამისი პროგრამების განხორციელებით ასრულებს.

საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების კოორდინირება და შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა ხდება რამდენიმე მექანიზმის მეშვეობით - ესაა საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო (საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი) და რისკების შემცირების საკითხებში მოაზროვნეთა გუნდი (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არაფორმალური ფორუმი). მიუხედავად ამისა, შეფასებამ გამოავლინა, რომ ქვეყანაში არსებული მექანიზმები სრულად არ მოიცავს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების მთელ სპექტრს და ხდება მხოლოდ ფრაგმენტული დაფარვა (მაგ.: საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხები კარგად არის გაწერილი საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს დებულებაში/პრიორიტეტულ მიმართულებებში, თუმცა უფრო მკაფიოდ არის

ჩამოსაყალიბებელი კატასტროფის რისკის შემცირების კოორდინაციასთან დაკავშირებული მიმართულებები).<sup>25</sup> რაც შეეხება რისკების შემცირების საკითხებში მოაზროვნეთა გუნდს, მისი საქმიანობის ფორმატი შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით კატასტროფის რისკის შემცირების სფეროში ჩართული სამთავრობო, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლებს შორის.

ამრიგად, საჭიროა კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების უფრო მჭიდრო კოორდინაცია, ასევე სამუშაო გეგმის/პროგრამის შემუშავება ეფექტიანი და ანგარიშვალდებული კოორდინაციის უზრუნველყოფისთვის.

საქართველოში დღეისათვის კატასტროფის რისკის შემცირებასთან (პრევენცია), მზადყოფნასა და რეაგირებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს შემდეგი ინსტიტუციური სტრუქტურები ახორციელებენ:

- **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში** ახლახან შეიქმნა **ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის სამსახური**. სამსახურს ევალება მონაწილეობა მიიღოს შემდეგი მიმართულებების ხორცშესხმაში: სახელმწიფო სტრატეგია და პოლიტიკა, კატასტროფის რისკის შემცირების სპეციალური სახელმწიფო პროგრამები და ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვა; ასევე, კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული საქმიანობის ამსახველი მონაცემთა ბაზის შექმნა, საფრთხეების რუკების შექმნაში დახმარება და ადრეული გაფრთხილების სისტემის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა თავისი კომპეტენციების ფარგლებში. განყოფილების მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციების გზით კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული პლატფორმის ხელშეწყობა. ეს სამსახური რეგულარულად მასპინძლობს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებით დაინტერესებული მხარეების არაფორმალურ ფორუმს, რომელსაც **კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში მოაზროვნეთა გუნდს** უწოდებენ და სადაც ერთიანდებიან დაახლოებით 60 სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ფორუმი შეიქმნა 2009 წ. UNDP-ის პროექტის „კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ხელშეწყობით და 2012 წ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაეცა. 2012 წ. UNDP-ის დახმარებით შეიქმნა ინტერნეტმონაცემთა ბაზა *ვინ რას სად აკეთებს კატასტროფის რისკის შემცირების კუთხით საქართველოში*. შეხვედრების დროს მსჯელობენ, თუ რამდენად იყო შესაძლებელი კატასტროფის რისკის შემცირების მოაზროვნეთა გუნდს შეექმნა საფუძველი კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული პლატფორმის ჩამოყალიბებისთვის. იდეა არც უარყოფილია და არც რეალიზებული, ვინაიდან ვერ მოხერხდა ამგვარი საკოორდინაციო მექანიზმის შესახებ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება და ამიტომაც ჯერაც სააგენტოებს შორის კამათის საგანია.
- **შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში** ფუნქციონირებს კატასტროფის პრევენციისა და დაგეგმვის განყოფილება და **საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მუდმივმოქმედი სამდივნო** (როგორც დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები). კატასტროფის პრევენციისა და

დაგეგმვის განყოფილება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უშუალოდ ახდენს რისკის შემცირების, პრევენციისა და მზადყოფნის ღონისძიებების კოორდინაციას ქვეყნის მასშტაბით. საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, სტრატეგიის შემუშავება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: 1) მყარი ინსტიტუციური ბაზის პირობებში ორგანიზაციულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოებში საგანგებო სიტუაციების მართვა; 2) რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მონიტორინგი, ადრეული გაფრთხილება; 3) საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების შესახებ ცოდნის მართვა და განათლება; 4) საგანგებო სიტუაციების რისკის განმსაზღვრელი ფაქტორების შემცირება; 5) კატასტროფისათვის მზადების გაძლიერება საგანგებო სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირებისა და აღდგენისთვის. საბჭოში ფუნქციონირებს სამი მიმართულების სექცია: 1) ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილება და ზარალის შემცირება; 2) ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილება და ზარალის შემცირება; 3) ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის სფეროს ექსპერტთა კოორდინაცია.

- პრემიერ-მინისტრის № 38 დადგენილების შესაბამისად, 2014 წ. იანვარში შეიქმნა **სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო**, რომელიც პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება. საბჭო ჩამოყალიბდა ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვისას უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. საბჭო უფლებამოსილია მოამზადოს წინადადებები პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის საფრთხეების პრევენციისა და მათზე რეაგირების ღონისძიებების შესახებ. საბჭო ასევე ხელმძღვანელობს კრიზისული სიტუაციების ოპერატიული მართვის ცენტრს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გადადის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში. ცენტრი აღჭურვილია ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა აქტივითა და საშუალებებით. საბჭოს ეხმარება გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარული ტრენინგების, სემინარებისა და ტესტირების ჩატარებას და გაერთიანებულ სამეფოში არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, უმთავრესად უმაღლესი სტრატეგიული დონის საკითხებზე აქცენტირებით და ნაკლებად არის კონცენტრირებული ოპერაციულ საკითხებზე. ახლად შექმნილი საბჭო გეგმავს არსებული საფრთხეების შეფასების განახლებას, რომელიც ბუნებრივ საფრთხეებს განსაზღვრავს, როგორც ერთ-ერთ რისკს. რისკების შესწორებული მატრიცის საფუძველზე საბჭო განსაზღვრავს რისკების შემცირების სტრატეგიის შემუშავებისა და 4-წლიანი სტრატეგიული გეგმის განხორციელებისთვის საჭირო შესაძლებლობებსა და რესურსებს. საბჭო აღიარებს არსებული მექანიზმებისა და შესაძლებლობების დეტალური და სრულყოფილი შესწავლის საჭიროებას და გეგმავს საკანონმდებლო შესწორებების მომზადებას, რათა კრიზისის მართვის კუთხით მკაფიოდ განისაზღვროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების როლები და პასუხისმგებლობები.
- საბჭოს ფარგლებში შეიქმნა **კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრი**. კრიზისული სიტუაციის დროს (ეროვნული უსაფრთხოების დარღვევა, შიდაპოლიტიკური

დესტაბილიზაციის მცდელობა, ბუნებრივი კატასტროფა და სხვა კრიზისები) კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრი პირდაპირ დაექვემდებარება პრემიერ-მინისტრს. კრიზისების მართვის ცენტრის ფუნქციებია:

- მიმართოს პრემიერ-მინისტრს ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციის დროს, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ინტერესებს ან წარმოადგენს საშიშროებას;
- უზრუნველყოფს შესაბამისი გეგმების მომზადებას ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში, რაც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ეროვნულ ინტერესებს;
- კოორდინაციას უწევს პრევენციისა და რისკის შემცირების ღონისძიებებს კრიზისული სიტუაციის დასაძლევად სამთავრობო დონეზე;
- კოორდინაციას უწევს კრიზისული სიტუაციების დაძლევის გეგმების შემუშავებას სამთავრობო დონეზე;
- კრიზისული სიტუაციების დროს უზრუნველყოფს სამთავრობო უწყებების კოორდინირებულ საქმიანობას;
- ქმნის კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ბანკს.

- გარემოსა და ეროვნული რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი **გარემოს ეროვნული სააგენტოს** საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოდინამიკური და გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ლიცენზიების გაცემა და შესაბამისი სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. 2014 წლამდე გარემოს ეროვნულ სააგენტოს აფინანსებდა გარემოს დაცვის სამინისტრო. დღესდღეობით მისი დაფინანსების (ამაში შედის თანამშრომელთა ხელფასები) წყაროებია სააგენტოსა და ორგანიზაციებს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულებები, კერძო ორგანიზაციები, დონორები და ა.შ.
- კლიმატის ცვლილების რისკების მონიტორინგი გარემოს დაცვის სამინისტროს **კლიმატის ცვლილების განყოფილების** საქმიანობის სფეროა. განყოფილება ატარებს ეკონომიკის სექტორებსა და ეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასებას და ამზადებს შესაბამის პროგნოზებს; შეიმუშავებს მოწყვლადი ეკოსისტემებისა და ეკონომიკის სექტორების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნულ გეგმას; კოორდინაციას უწევს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის ფარგლებში, კლიმატის ცვლილების კომუნიკაციის შემუშავებას და უზრუნველყოფს სათბურის გაზების გამოყოფის აღრიცხვას.
- **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს** მართვის სფეროში შედის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, წყალმომარაგების სისტემების შემოღება, მეორადი და საერთაშორისო გზების ქსელების განვითარებასა და დაპროექტებაზე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და ამ მიმართულებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა. რეგიონული განვითარების სამინისტროს გზების დეპარტამენტი უშუალოდ აგებს პასუხს სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული გზების (7,000 კმ) შენახვაზე, რეაბილიტაციასა და მშენებლობაზე. გზების დეპარტამენტში შედის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, მათ შორის განყოფილებები, რომლებიც პასუხს აგებენ სამშენებლო საქმიანობის მონიტორინგზე, ასევე სანაპირო ზოლის დაცვაზე,

რეაბილიტაციასა და განვითარებაზე. რეგიონული განვითარების სამინისტროს მოვალეობაა მუნიციპალური დაგეგმვა რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად, სადაც ნაკლებად არის გათვალისწინებული კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები და რომელიც არ ეფუძნება რისკების შეფასებას. ამჟამად შემუშავების პროცესშია რეგიონული განვითარების პროგრამა 2015-2017 წლებისთვის, სადაც, როგორც სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, გათვალისწინებული იქნება კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები. ამ მიზნით სამინისტრო გეგმავს ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შექმნას, სადაც მოწვეული იქნებიან გარემოს ეროვნული სააგენტოსა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტები. რეგიონული განვითარების სამინისტრო აღიარებს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების რეგიონული განვითარების პროგრამაში ჩართვის მნიშვნელობას და პროგრამის შემუშავების პროცესში რისკების შემცირების კუთხით ტექნიკური ექსპერტიზისა და შესაძლებლობების განვითარებას მოითხოვს.

- 2014 წლის იანვარში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტში შეიქმნა **სტიქიების პრევენციისა და ოპერატიული რეაგირების სამმართველო**, რომლის ამოცანაა უზრუნველყოს კატასტროფების პრევენციის, ადრეული გაფრთხილების, რეაგირებისა და კატასტროფის შემდგომი რეაბილიტაციის საკითხების გათვალისწინება ინფრასტრუქტურის დაგეგმვასა და განვითარებაში. კომპეტენციის ფარგლებში სამმართველო შეიმუშავებს წინადადებებსა და პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებს; ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის პოლიტიკის წარმოებას, მეთოდის სრულყოფას და ცოდნის გაღრმავებას; საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას; ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ადრეული გაფრთხილების სისტემის გამოყენებას; კატასტროფებზე ეფექტურ რეაგირებას ინფრასტრუქტურის აღდგენა/რეაბილიტაციის კუთხით და კატასტროფის შემდგომი ინფრასტრუქტურული ზარალის შეფასებას; კატასტროფის პრევენციისა და რეაგირების საკითხების სისტემატურ განხილვას ინფრასტრუქტურის დეპარტამენტისა და სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან, სხვა სამთავრობო უწყებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა ექსპერტებთან ერთად; სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის თაობაზე შესაბამისი შუამდგომლობის მომზადებას კატასტროფის შედეგების სალიკვიდაციოდ და ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს.
- ურბანული დაგეგმარებასა და სამშენებლო საქმიანობის რეგულირებაზე პასუხს აგებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს **სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი**. დეპარტამენტის მოვალეობაში შედის სივრცითი და ურბანული დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის განვითარება, მუშაობის კოორდინაცია, მართვა და მონიტორინგი, ასევე ტექნიკური რეგულაციებისა და სამშენებლო კოდექსის შემუშავება. დეპარტამენტი აგრეთვე ჩართულია რეკრეაციულ ზონებში სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესში.

- სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრანტების საკითხებს არეგულირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვითა დეპარტამენტისთვის სამინისტროს მიერ მინიჭებულ მანდატში შედის სტიქიური უბედურებებით გამოწვეული მიგრაციის მართვის სისტემის შემუშავება, მიგრაციის პროცესების მონიტორინგი, სტიქიასაშიში რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება, ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება, ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნა.<sup>26</sup>
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებს სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სამსახური. ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტები არიან პასუხისმგებელი ჯანმრთელობის საფრთხეების პრევენციაზე, რასაც ისინი სპეციალურად შექმნილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრების მიერ ჩატარებული გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მონიტორინგის საშუალებით ახორციელებენ. ამასთან, დაავადებების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების პრევენციის, ეპიდემიოლოგიის, მზადებისა და რეაგირების სისტემის გასამდიერებლად საჭიროა მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებთან თანამშრომლობის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებს შორის ფუნქცია-ვალდებულებების მკაფიოდ გამიჯვნა.
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ამოცანაა საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პრევენციის გაუმჯობესება მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისათვის მზადებისა და დროული რეაგირების გზით. ცენტრი შეიმუშავებს ეროვნულ სტანდარტებს, სახელმძღვანელო რეკომენდაციებს (გაიდლაინებს), ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ახორციელებს ეპიდემიოლოგიას, იმუნიზაციის პროგრამას, ლაბორატორიულ სამუშაოებს, კვლევებს, უზრუნველყოფს კონსულტაციებს და რეაგირებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საგანგებო მდგომარეობებზე. ცენტრი რეაგირებს ეპიდემიოლოგიის, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებსა და ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ საფრთხეებზე (CBRN). ცენტრს აქვს რეგიონული მართვის 2 სამმართველო, 7 განყოფილება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის 64 მუნიციპალური ცენტრი (მათი დაფინანსება და ტრენინგები უზრუნველყო აშშ-ის მთავრობამ).
- საქართველომ ხელი მოაწერა „არჰუსის კონვენციას“ გარემოსდაცვით საკითხებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სამართლიანობის ხელმისაწვდომობის შესახებ. როგორც კონვენციის ხელმძღვანელმა ქვეყანამ, საქართველომ აიღო ვალდებულებები გარემოსდაცვითი ინფორმაციის (მათ შორის კატასტროფებთან დაკავშირებული) მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ მიწოდების შესახებ. სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ 2013 წელს ჩამოყალიბდა გარემოს დაცვისა

და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აარჰუსის ცენტრის რეორგანიზების საფუძველზე. ცენტრი შეიქმნა შემდეგი მიზნებით: გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამთავრობო, აკადემიურ, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორებთან თანამშრომლობის ორგანიზება და მართვა; გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოგროვება და სხვებისთვის გაზიარება; საქართველოში მიმდინარე და დასრულებული გარემოსდაცვითი პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება მონაცემთა ბაზის შექმნისა და მონაცემთა საჯაროობის უზრუნველსაყოფად. გარემოსდაცვით სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვება; გარემოსდაცვითი ბიბლიოთეკის შექმნა და ფუნქციონირება; გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა ვებგვერდისა და სხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით (ინტერნეტის საინფორმაციო ქსელი, მედია და სხვა); გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების მხარდაჭერა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში.

#### 4.2. გაეროს სააგენტოები საქართველოში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები სხვადასხვა პროგრამის საშუალებით აქტიურად ეხმარებიან საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ჩამოყალიბებაში:

- UNDP, კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის გაძლიერება საქართველოში (2008-2010; 468,471 აშშ დოლარი, დააფინანსა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SDC), გაეროს მუდმივი კოორდინატორის სამსახურმა და გაეროს განვითარების პროგრამამ). პროექტმა ხელი შეუწყო კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების ინტეგრირებას გაეროს განვითარების ხელშეწყობის გეგმასა (2011-2015) და UNDP-ის ქვეყნის პროგრამის 2011-2015 წწ.-ის შესაბამის დოკუმენტში, შეიქმნა კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში მოაზროვნეთა გუნდი.
- UNDP, კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის გაძლიერება საქართველოში (2011-2012; USD აშშ დოლარი, პროექტის მეორე ფაზა დააფინანსა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SDC)). ამ პროექტის დახმარებით კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები გათვალისწინებულ იქნა განვითარების პოლიტიკაში, პროგრამებსა და პრაქტიკაში და ადგილობრივ დონეზე პოპულარიზაცია გაეწია რისკების შემსუბუქებისა და კატასტროფისათვის მზადების პრაქტიკას.
- UNDP, 2012 წლის ბუნებრივ კატასტროფაზე მყისიერი რეაგირება საქართველოში (2012-2014; 144,011 აშშ დოლარი). მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობას დაეხმარნენ კატასტროფის შემდგომი საჭიროებების ერთობლივი შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში, რომელიც მიზნად ისახავდა კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში ძლიერი სეტყვით დაზარალებული ადგილების აღდგენითი და რეკონსტრუქციული სამუშაოების მონახაზის შემუშავებას. პროექტი დაეხმარა კატასტროფის შემდგომ მრავალსექტორულ საჭიროებათა შეფასების

განხორციელებას და აღდგენითი სამუშაოების ჩარჩოგეგმების შემუშავებას, ასევე საფუძველი ჩაუყარა აღდგენითი სამუშაოების დაწყებას სოფლის მეურნეობასა და კატასტროფის რისკის შემცირების სექტორებში.

- **UNDP, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების კლიმატისადმი მედეგი მართვის პრაქტიკა საქართველოს მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად (2012-2016; 5,060,000 აშშ დოლარი),** დააფინანსა ადაპტაციის ფონდმა და გაეროს განვითარების პროგრამამ. პროექტის მიზანია დაეხმაროს საქართველოს მთავრობასა და რიონის აუზის მოსახლეობას ადაპტირების მექანიზმების შემუშავებასა და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში. პროექტით უნდა მოხდეს მდინარის ჭალის (დატბორვის რისკის ქვეშ მყოფი რეგიონების) დაცვის პოლიტიკის შემუშავება, რაც საფუძვლად დაედება წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების მიმართ გრძელვადიანი მდგრადობის განვითარებას. პროექტის საქმიანობა რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მოწყვლადობის შესამცირებლად აგრეთვე მოიცავს წყალდიდობების მართვის კლიმატის მიმართ გამძლე პრაქტიკის შემუშავებასა და განხორციელებას; ასევე - ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნას მოსახლეობის მზადებისა და ადაპტირების შესაძლებლობების გასაძლიერებლად.
- **UNDP, სოფლის მდგრადი განვითარება და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა (2012-2015; 1,505,593 აშშ დოლარი.** დააფინანსა ფინეთის მთავრობამ). პროექტი ორიენტირებულია 2008 წ. კონფლიქტის დროს ტყეებში გაჩენილი ხანძრებით დაზარალებული სოფლების მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე, გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდასა და კატასტროფის რისკის შემცირებაზე. პროექტის საქმიანობა მოიცავს: მოსახლეობის ხელშეწყობას ისეთი შრომით მიიღოს შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს უსაფრთხოებას; შერჩეული ოჯახებისთვის, სკოლებისა და მუნიციპალური შენობებისთვის ალტერნატიული ენერგოსისტემებისა და ენერგოეფექტიანი წყაროების გამოყენებით პილოტური პროექტების განხორციელებას; არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების დანერგვას ეკოკლუბების, ეკობანაკებისა და მწვანე სკოლების აქციების ფარგლებში და მიზნობრივი მოსახლეობის კატასტროფის მიმართ მდგრადობის გაზრდას რისკების შემცირების ღონისძიებების გატარებისა და მოსახლეობის მზადების შესაძლებლობების გაზრდით.
- **UNDP, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციისთვის (UNFCCC) საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების მოსამზადებელი საქმიანობის ხელშეწყობა (2011-2014; 580,000 აშშ დოლარი).** საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება წარმოადგენს UNFCCC-ის მეორე ეროვნული შეტყობინების დროს განხორციელებული საქმიანობის გაგრძელებას.
- **UNICEF, კატასტროფის რისკის შემცირების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის დაუცველ თემებსა და ინსტიტუციებს შორის (2010-2013; 400,000 აშშ დოლარი საქართველოში** გამოყო DIPECHO-მ). ამ პროექტით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალება მიეცა განათლების სფეროში შეეტანა კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები. ამ საკითხების გათვალისწინება მოხდა ეროვნულ სასწავლო გეგმებსა და მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამებში. ასევე შესაძლებელი გახდა ინტერაქტიული სასწავლო მასალის შემუშავება და საქართველოს ბუნებრივი

საფრთხეებისადმი მიდრეკილ ზონებში არსებულ რამდენიმე სკოლაში კატასტროფის მართვის საპილოტე მოდელის განხორციელება. ამ პროექტის შედეგად განათლების სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კონსულტაციებით მთავარმა დაინტერესებულმა მხარეებმა დაგეგმეს და განახორციელეს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საქმიანობა, რამაც შესაძლებელი გახდა საქმიანობის დუბლირების თავიდან აცილება და მაღალი საფრთხის ზონებში არსებულ სკოლებსა და მოსახლეობაში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ამ პროექტის ფარგლებში რისკების შემცირების საკითხების საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის თაობაზე ორგანიზებულმა სემინარებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კატასტროფის რისკის შემცირების, მისი ძირითადი კონცეფციებისა და მიდგომების შესახებ განათლებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტების ცნობიერების ამაღლების საქმეში. უფრო დეტალურად იხ. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტულ მიმართულება 3.

- **FAO, საინფორმაციო სისტემების შექმნა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაუმჯობესებლად ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში (ENP), აღმოსავლეთ რეგიონი (2010-2013; 600,000 აშშ დოლარი, დააფინანსა ევროკავშირმა).** სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების შედგენა-განხორციელების გზით დახმარება გაუწია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის საკითხების გაუმჯობესების საქმეში. ეს შესაძლებელი გახდა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული სათანადო და საიმედო ინფორმაციის გენერირების, გაანალიზებისა და პოლიტიკასა და პროგრამებში გათვალისწინების ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერების გზით.
- **FAO, საარსებო საშუალებების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, თანადაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო პროგრამების განხორციელებით იძულებით გადაადგილებულ პირთა და შეზღუდულად დაბრუნებულთა დასახლებებში (2013-2014; 2,000,000 ევრო, დააფინანსა ევროკავშირმა).** FAO მიზნად ისახავს, საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სურსათის უსაფრთხოებისა და საარსებო საშუალებების გაუმჯობესებას, კერძოდ, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სურსათის წარმოებისა და შემოსავლების გენერირების შესაძლებლობების გაზრდას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში თანადაფინანსებით (თანაინვესტირებით) განხორციელებული პროგრამების საშუალებით.
- **FAO, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება: გაუმჯობესებული პოლიტიკის შემუშავება და სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება (კონტრიბუცია სოფლისა და აგრარული განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამისთვის (ENPARD). 2013- 2015; 1,200,000 ევრო, დააფინანსა ავსტრიის განვითარების სააგენტომ).** ამ პროექტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მაღალმთიან რაიონებში, განსაკუთრებით, კლიმატური თვალსაზრისით არახელსაყრელ რეგიონებში მცხოვრები ოჯახებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების მდგრადი მოდელების შემუშავება. 2013 წ. მაისში

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც გამიზნულია განავითაროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობები (2,000,000 ევრო). პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას გაუმჯობესებული პოლიტიკის შემუშავებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელების გზით. ამ პროექტის შედეგად საქართველოში უნდა გაიზარდოს სურსათის წარმოება და შემცირდეს სიღარიბე სოფლებში.

- **IOM, უწყებათაშორისი ფორუმი კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებზე** (2014), ორგანიზებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შიდა კატასტროფებზე რეაგირების ქსელის ხელშეწყობით. ფორუმის მიზანი იყო საქართველოს ყველა სამინისტროს, ასევე მთავრობათაშორისი, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მომზადებული მიგრაციული კრიზისის ოპერატიული ჩარჩოპროგრამის (MCOF)<sup>27</sup> გაცნობა, რომელიც წარმოადგენს თემში მომხდარი კატასტროფით გამოწვეული მიგრაციის მართვის ინსტრუმენტს. გარდა ამისა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფსა და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, აქტიურად არის ჩართული საქართველოში ერთობლივი ინიციატივების განხორციელებაში, მაგალითად, საჭიროებათა ერთობლივ შეფასებაში, რომელიც ჩატარდა 2012 წ. ივლისში კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ძლიერი სეტყვითა და წყალდიდობებით გამოწვეული შედეგების შესაფასებლად; ასევე პროექტის ფარგლებში მომზადდა ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის განხორციელებისთვის ქვეყნის მზადყოფნასთან დაკავშირებული ეროვნული ანგარიში.

#### 4.3. სხვა დაინტერესებული მხარეები

- **DIPECHO** - სამხრეთ კავკასიაში ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარებისა და სამოქალაქო დაცვის გენერალური დირექტორატის კატასტროფებისთვის მზადების პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი საფრთხის შემცველ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვებისა და მოსახლეობის კატასტროფებისადმი გამძლეობის გაზრდას და მოწყვლადობის შემცირებას. პროგრამა ხორციელდება ბუნებრივი საფრთხეებისადმი მიდრეკილ რეგიონებში და შესაბამისი ღონისძიებებით მოიცავს ადგილობრივ ინსტიტუციებსა და თემებს. პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბავშვებისა და ახალგაზრდების კატასტროფის რისკის შემცირების ინიციატივებში ჩართვას. პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ პარალელურად ხდება როგორც თემზე დაფუძნებული რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივი პოტენციელის გასაზრდელად, ასევე პოლიტიკის დონეზე თანამედროვე რისკის შემცირების მიდგომების ინტეგრირება (მაგ.: კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების ჩართვა ეროვნულ სასწავლო გეგმაში). პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება საქართველოში 2010 წელს დაიწყო. ამჟამად იწყება პროგრამის მესამე ფაზის განხორციელება, რომლის პოტენციური პარტნიორები იქნებიან გაეროს

ბავშვთა ფონდი, დანიის წითელი ჯვარი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ოქსფამი, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და მუშა სამართლებრივ კავშირში.

- **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება** წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობის წევრია. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება საქართველოს სახელმწიფომ ოფიციალურად აღიარა კანონის „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემების შესახებ“ (1997 წლის 2 ოქტომბერი) და კანონის „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ (1997 წლის 16 ოქტომბერი) მიღებით. საზოგადოება ფუნქციონირებს როგორც მოხალისეობრივი, ჰუმანიტარული, არასამთავრობო და დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც ჰუმანიტარულ მუშაობასთან დაკავშირებით საჯარო ხელისუფლების დამხმარე ფუნქცია აქვს და რომლის მანდატიც კატასტროფების დროს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობების კოორდინაციაა. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას მხარს უჭერს წითელი ჯვრის/წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაცია (რომელიც ქვეყანაში 1995 წლიდან მოქმედებს) და ხელს უწყობს საზოგადოების შესაძლებლობების განვითარებას, სამართლებრივი ბაზის გაძლიერებას, ადვოკატირებას, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესაძლებლობების უკეთესად წარმოჩენასა და კატასტროფებთან დაკავშირებული კანონის ამოქმედებას. 2 წლის მანძილზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას მხარი დაუჭირა კატასტროფების დროს გადაუდებელი დახმარების 5-მა სხვადასხვა ფონდმა, რომლებიც საქართველოში საგანგებო სიტუაციებში რეაგირებასთან დაკავშირებულ პროექტებზე მუშაობენ.
- **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხო ადგილობრივი თემების ჩამოყალიბების რეგიონალური პროგრამა** (რომელიც 2010 წლის მარტიდან 2013 წლის ნოემბერამდე მიმდინარეობდა). პროგრამა საქართველოსა და სომხეთის შერჩეულ რეგიონებში განახორციელეს წითელი ჯვრის ეროვნულმა საზოგადოებებმა, რომლებსაც მუშაობაში ეხმარებოდა დანიის წითელი ჯვარი, ავსტრიისა და ისლანდიის წითელი ჯვრის საზოგადოებების ერთობლივი თანადაფინანსებით. პროგრამის ამოცანა იყო სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის მოწყვლადობის შემცირება იმ ადგილებში, სადაც ეს ტენდენცია შეიმჩნევა და რომლებიც სტიქიური უბედურებების სიხშირით გამოირჩევიან. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა ადგილობრივი თემებისა და პარტნიორების ინფორმირებულობის, მზადებისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდას. პროგრამის კონკრეტული ამოცანა იყო საქართველოსა და სომხეთის მოწყვლადი თემების გამძლეობის გაძლიერება დაგეგმონ, მოამზადონ, შეამცირონ და უპასუხონ სტიქიურ უბედურებებს სომხური და ქართული წითელი ჯვრის საზოგადოებების კატასტროფის რისკის შემცირების მოდელის კონსოლიდაციითა და დამტკიცებით, რომელიც კონკრეტულ 7 შედეგს მოიაზრებს. პროგრამის მესამე ფაზა 2014 წლის მაისში დაიწყო.
- **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, უსაფრთხო და ძლიერი თემების ჩამოყალიბების პროგრამა** (2012 წლის დეკემბერი-2015 წლის ნოემბერი): დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ. პროექტის მიზანია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის

სოფლად მცხოვრები და ურბანული თემების მოწყვლადობის შემცირება სტიქიური და ტექნოგენური საფრთხეების მიმართ. საქართველოში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახორციელებს ამ პროექტს კახეთის რეგიონის თემებში, ახდენს კატასტროფებისათვის მზადების ჯგუფების ტრენინგს, აწყობს სიმულაციურ ვარჯიშებს, ეხმარება თემების ინფორმირებას კატასტროფის რისკების შესახებ და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ახორციელებს კატასტროფის რისკის შემცირების მცირემასშტაბიან პროექტებს.

- **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგანგებო სიტუაციებისათვის მზადებისა და რეაგირების პროგრამით**, რომელსაც მხარს უჭერს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), ჩამოყალიბდება მიმღები (საოპერაციო) ცენტრები სენაკში, ქუთაისში, გორსა და თბილისში. ამ ცენტრების ჩამოყალიბების ძირითადი მიზანი დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაა კატასტროფების შემდგომი 72 საათის განმავლობაში (მაგალითად, პირველადი დახმარება, ფსიქოსოციალური დახმარება, ოჯახის კავშირების აღდგენა და ა.შ.).
- **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, კლიმატის ფორუმი აღმოსავლეთში** – პროექტი დააფინანსა ევროკავშირმა და მისი მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერება. საქართველოში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციასთან დაკავშირებით არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ქსელი, რომელსაც კოორდინაციას საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება უწევს. მისი მიზანი კლიმატის ცვლილებებთან, გარემოსდაცვით და კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებთან დაკავშირებით ადვოკატირების შესაძლებლობების გაზრდა და ახალგაზრდებისა და თემის საქმიანობების ამ საკითხებში ჩართვაა. როგორც პროექტის ნაწილი, ქსელმა განახორციელა ეროვნული კლიმატის მოწყვლადობის შეფასება, რომელიც გამიზნულია ჯანმრთელობის საკითხებსა და წყლის რესურსებზე გადაწყვეტილებების მიმღებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას ადაპტაციის ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციები მიაწოდოს.
- **Oxfam** მუშაობს კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებების დაფინანსებაში მუნიციპალიტეტების თვითდაფინანსების წილის გაზრდაზე, მაგრამ სოფლებში საგანგებო სიტუაციებზე მომუშავე ჯგუფების კადრების სწრაფი ცვლა ამის განხორციელებას ართულებს. სოფლებში საგანგებო სიტუაციების ჯგუფებში მოხალისეები მუშაობენ, მათთვის არ არის გამოყოფილი ბიუჯეტი ან რაიმე წახალისება, მათთვის არ არსებობს სპეციალური სახელმწიფო სწავლება ან მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება, რის გამოც მათი მოტივაცია დაბალია. „ოქსფამი“ კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებს ასწავლის ქალებს აჭარაში, იქ, სადაც ადამიანები კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებით დაინტერესდნენ. აღინიშნა, რომ დეცენტრალიზების მეშვეობით (მუშაობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში) უფრო მარტივი აღმოჩნდა ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და მუნიციპალიტეტების დარწმუნება და მათზე ზეგავლენის მოხდენა, რომ საგანგებო რეაგირებისთვის გამოყოფილი თანხები მუნიციპალური განვითარების გეგმებთან ინტეგრირებულ კატასტროფის რისკის შემცირების პროგრამაზე დახარჯულიყო. წითელი ჯვრის მიერ ჩატარებულ პირველადი დახმარების და სახანძრო სწავლებაში შევიდა ჯანმრთელობის კომპონენტი. მოდელირებული საგანგებო სიტუაციების

სწავლება ჩატარდა თემის და სკოლების დონეზე, რომლებიც ერთობლივად დააფინანსეს „ოქსფამმა“ და მუნიციპალიტეტებმა.

- „გადავარჩინოთ ბავშვები“ (**Save the Children**) მუშა სამარიტელთა კავშირთან (**ASB**) ერთად მთავრობასთან მუშაობს კატასტროფის რისკის შემცირების მთელ რიგ ინიციატივებზე. ეს ინიციატივებია: კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკა და დაგეგმვა; თემზე დაფუძნებული და სკოლამდელ ასაკზე დაფუძნებული კატასტროფის რისკის შემცირება; შესაძლებლობების განვითარება და მედიასთან ურთიერთობა. **Save the Children** მუშაობს ბავშვებისთვის პრაქტიკული გადაწყვეტილებების შემუშავებაზე, თავის საგანმანათლებლო პროგრამებში იყენებს კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებულ მარტივ, პრაქტიკულ და არატექნიკურ ინფორმაციას. ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მარტივი და პრაქტიკული ფორმით მომზადება მისი ბავშვებისთვის გასაგებად მიწოდების შესაძლებლობას იძლევა.
- **PPRD East** (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა „პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“). პროგრამის მიზანია, რეგიონული თანამშრომლობის გზით პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა კატასტროფის პრევენციის, მისთვის მზადებისა და მასზე რეაგირების კუთხით. პროგრამა ხელს უწყობს რეგიონული რისკების ელექტრონული ატლასის შექმნას და მთავარ დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში. საქართველოში პროგრამის კოორდინაციას ახდენს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (**REC Caucasus**).
- ევროკავშირის „ტვინინგის“ პროექტი - „საქართველოში საგანგებო სიტუაციების დროს გარემოს და მოსახლეობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მხარდაჭერა“. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მისი ბიუჯეტი შეადგენს 800,000 ევროს. პროექტი მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: 1) საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისათვის რისკის რუკების მომზადებას და რეაგირების საშუალებების გაფართოება/განვითარებას; 2) საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების გაუმჯობესებას; 3) ეროვნულ დონეზე პრევენციული მოქმედებებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას; 4) შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერებას, რისკების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.
- **World Vision** ძირითადად საგანგებო სიტუაციებისათვის მზადების საკითხებზე მუშაობს თემებსა და სკოლებში, ასევე, საგანგებო გეგმების მომზადებაზე, ტექნიკის შეძენასა და სწავლებაზე. **World Vision** -ის მხარდაჭერით თემებმა შეიმუშავეს „თემის კატასტროფისათვის მზადების გეგმა“, რომელიც თემების თანადაფინანსებით განხორციელდა და ამჟამად, სუფთა წყალთან და კატასტროფის რისკის შემცირებასთან ერთად, ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. **World Vision** -მა ასევე ხელი შეუწყო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების და მხარდაჭერის

გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტებმა თავად განსაზღვრეს არსებული ხარვეზები და დაიწყეს შემდეგი ოთხი წლის დაგეგმვა.

- 2011 წ. ორგანიზაცია „მერსი ქორპს“ (**Mercy Corps**) განახორციელა პროექტი სამცხე-ჯავახეთში, რომელიც ითვალისწინებდა საგანგებო სიტუაციების მართვის რეგიონული სამსახურისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას და პირველად დახმარებაში ტრენინგის ორგანიზებას. საერთო ჯამში მოხდა 65,000 ლარამდე ღირებულების სამაშველო აღჭურვილობის, კარების, კომპიუტერებისა და მანქანების შეძენა-გადაცემა.
- ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (**RDFG**). კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრი შეიქმნა 2011 წ. ბუნებრივი საფრხეების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადობის გაძლიერებისა და ქვეყნის რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე კატასტროფის რისკის მართვაში კოორდინირებული და სისტემური მიდგომების განხორციელებით პრევენციული მიდგომის კულტურის დამკვიდრების მიზნით. კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრს განხორციელებული აქვს რამდენიმე პროექტი, რომლებიც მოიცავდა სკოლების ბაზაზე რისკების შემცირების საკითხებს, ადგილობრივი მოსახლეობის კატასტროფის მართვის შესაძლებლობების განვითარებასა და საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნული სისტემის გაძლიერებას. სკოლების ბაზაზე კატასტროფის რისკის შემცირების პროგრამის ფარგლებში კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრმა, როგორც DIPECHO-ს განმახორციელებელი ორგანიზაციების (კერძოდ, ACF, Oxfam და UNICEF) პარტნიორმა, 27 სკოლასთან იმუშავა სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებსა და აფხაზეთის გალის რაიონში. 33 თემის წარმომადგენელი იყო ჩართული კატასტროფის მართვის შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობ საქმიანობაში, რომელიც ცენტრმა აჭარის, ზემო სვანეთის რეგიონებსა და აფხაზეთის გალის რაიონში განახორციელა. კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის გაძლიერების ხელშემწყობის მიზნით. ცენტრი, როგორც საქართველოში საფრთხეების, მოწყვლადობისა და რისკების შეფასების ერთიანი მექანიზმების შემუშავების ერთ-ერთი ინიციატორი, აქტიურად მუშაობს და მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის სახელმძღვანელო წესების, სტანდარტებისა და მოდელის შექმნასა და შესწორებაში.
- კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (**CENN**) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1998 წელს დაარსდა და სპეციალიზებულია შემდეგ სფეროებში: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ინსტიტუციური გაძლიერება, გარემოსდაცვითი კვლევები და პოლიტიკა, რესურსების მართვა, შესაბამისობის მართვა, კომუნიკაცია და გარემო. CENN უზრუნველყოფს რეკომენდაციების გაცემას კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკის საკითხებზე, თემთან დაკავშირებული კატასტროფის შემსუბუქებაზე, რეაგირებისა და აღდგენის პროექტებზე და საგანმანათლებლო პროგრამებზე. პროექტი - ადგილობრივ დონეზე პრევენცია და აღდგენა (I ფაზა) - დაფინანსდა და განხორციელდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ,

პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის CENN-თან ერთად, რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების 6 მუნიციპალიტეტში. პროექტის მიზანია ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა და ბუნებრივი კატასტროფით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის შემცირება, ადგილობრივ დონეზე პრევენციისა და მზადების გაძლიერებისკენ მიმართული საქმიანობის ხელშეწყობით. 2012 წელს CENN-მა და გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ერთობლივად შეიმუშავეს საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი სტიქიური მოვლენებისა და რისკების ატლასი (იხ. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული ქმედება 2).

- **საქართველოს მწვანეთა მოძრაობა** არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ფართო სპექტრის გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაცია თავის მისიას ასრულებს კამპანიებისა და პროექტების, საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის, პოლიტიკის შემუშავებისა და ლობირების გზით. ორგანიზაცია ძირითადად მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა კლიმატის ცვლილების შემსუბუქება და ადაპტაცია, საქართველოში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ადვოკატირება; წყლის რესურსების დაცვა და წყლის რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის შემოღება; წყლის მომარაგება და სანიტარიული პირობები; ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ეკოსისტემების დაცვა, ტყეების გაჩვენასთან ბრძოლა და ტყის დაცვა; ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე მდგრადი განვითარების პრინციპების სამართლებრივი ინსტრუმენტების ლობირება და ადვოკატირება; განათლება, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებას (მასწავლებლებისთვის შემუშავდა „მწვანე სახელმძღვანელო“, ჩატარდა ტრენინგები მდგრადი ენერჯის განვითარებაზე, ორპუსის კონვენციაზე, ნარჩენების მართვაზე, გარემოს დაცვაზე); ორგანიზაციას აქვს მოხალისეთა ფართო ქსელი, რომელშიც გაერთიანებულია დაახლოებით 2000 წევრი და მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტს.
- **კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus)** არის დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც 1999 წელს ჩამოყალიბდა „გარემო ევროპული პროცესისათვის“ ჩარჩოს ფარგლებში აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მთავრობებისა და ევროკავშირის ერთიანი ძალისხმევით. ცენტრი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მხარს უჭერს კატასტროფის რისკის შემცირებაში კატასტროფის გამომწვევი ფაქტორების ანალიზითა და შემცირებით, ასევე კატასტროფებისათვის მზადებისა და ადრეული გაფრთხილების მექანიზმების გაუმჯობესების გზით, რაც ასევე შეამცირებს საფრთხეებისადმი დაუცველობას, მოსახლეობისა და ქონების მოწყვლადობას. 2011 წელს RECC-მა, როგორც კატასტროფის შემცირების გლობალური ქსელის წევრმა, ადგილობრივი დაინტერესებული პირების მობილიზაციის მეშვეობით შეაფასა ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის განხორციელებაში წინსვლა ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ინდიკატორის გამოყენებით, განსაზღვრა უპირატესი პრობლემები და ჩამოაყალიბა ადგილობრივი თანამშრომლობა. როგორც რეგიონალური პროექტის „აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ რეგიონში პრევენციის, მზაობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რეაგირების“ განმახორციელებელმა ორგანიზაციამ, RECC-მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რისკების შესახებ ცოდნის გაღრმავების საქმეში და რეგიონში არსებული რესურსების უკეთ მომზადებისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდაში პარტნიორი ქვეყნების პრევენციის,

მზადებისა და რეაგირების საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ოპერაციული სამოქალაქო თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებით.

## 5. ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსები

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებობს ტექნიკური უნარები და კომპეტენციები ისეთ სფეროებში, რომლებიც რისკების შემცირებას ემსახურება. ანალოგიურად, კატასტროფის მართვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ფართო ტექნიკური ექსპერტიზა და გამოცდილება დაგროვილი ცენტრალურ და დეცენტრალიზებულ დონეებზე. ასევე ქვეყნის სხვადასხვა სექტორში არსებობს გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკის, სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავების პოტენციალი. თუმცა ეს ძირითადად უფრო ცენტრალურ დონეზე გვხვდება და არა - დეცენტრალიზებულ დონეებზე (რეგიონული, მუნიციპალური, ადგილობრივი).

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სექტორში კონკრეტული ტექნიკური სფეროების შესახებ სპეციფიკური ცოდნა არსებობს, კატასტროფის რისკის შემცირების კონცეფციებისა და პრაქტიკის შესახებ ცოდნა და ინფორმირება საჭიროებს გაუმჯობესებას. ტექნიკური შესაძლებლობები, რომლებიც უკავშირდება პრევენციას, რისკების შემცირებას, რისკების შემსუბუქებას, იდენტიფიცირებას და შეფასებას, კატასტროფისთვის მზადებას, კლიმატის რისკის მართვას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებას, ძალიან სუსტია სხვადასხვა ორგანიზაციისა და სამთავრობო დონეებზე. ყველა მონაწილე მხარესთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად გაცნობიერებულია ის ფაქტი, რომ კატასტროფის რისკის შემცირება, უპირველეს ყოვლისა, განვითარების საკითხია, რომელიც ბევრად სცილდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ფარგლებს და სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინაციას საჭიროებს. რესპონდენტები აღიარებენ, რომ საჭიროა მთავრობის პასუხისმგებლობით განხორციელებული, ინკლუზიური და კოორდინირებული საქმიანობა, აუცილებელი ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებისა და კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებლად, თუ გვინდა, რომ კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული დღის წესრიგი ეფექტიანი იყოს.

ზოგიერთ სექტორში არასაკმარისი ადამიანური რესურსია; ხშირ შემთხვევაში ძალიან მწირია სპეციალიზებული განათლებისა და ტრენინგის მიღების წამახალისებელი ფაქტორები და ძალიან მაღალია კვალიფიციური თანამშრომლების გადინება.

რაც შეეხება საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფის ადამიანურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს, შეფასებამ გამოავლინა, რომ შეფასებაში მონაწილე ყველა სააგენტოს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების საკმაოდ დიდი ტექნიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები აქვს. განსაკუთრებით ეს ეხება კონკრეტულ სექტორულ ასპექტებს (განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.), მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გაეროს განვითარების პროგრამასა და გაეროს ბავშვთა ფონდს აქვს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებზე სამუშაო სრულგანაკვეთიანი შესაძლებლობები. გაეროს სხვა სააგენტოებს (მაგ., IOM, UNFPA, FAO, WHO), კატასტროფის რისკის შემცირების თვალსაზრისით, მხოლოდ საკონტაქტო პირები ჰყავთ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში. ზოგ შემთხვევაში, ტექნიკური შესაძლებლობები, რომლებიც საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფის ფარგლებში არსებობს, დაკავშირებულია პროექტებთან, ამიტომ ის ყოველთვის არ არის მდგრადი/პროგნოზირებადი გრძელვადიან პერსპექტივაში. რაც შეეხება გაეროს სხვადასხვა

სააგენტოში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული პროგრამების განხორციელებაზე გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს, უკვე განხორციელებული და მიმდინარე პროგრამების, პროექტებისა და ინიციატივების მიმოხილვა წარმოდგენილია ზემოთ, 4.2 ნაწილში.

თვალსაჩინოა მთავრობის აშკარა სურვილი, ფინანსური რესურსები გამოუყოს რისკების შემცირებაზე მომუშავე სექტორებს (როგორცაა გარემოსდაცვითი მდგრადობა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ა.შ.). თუმცა არ არსებობს იმის დადასტურება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში არის სპეციალური მუხლი კატასტროფის რისკის შემცირებაზე გამოყოფილი წლიური თანხებისთვის. არ ხდება სხვადასხვა სექტორისათვის გამოყოფილი რესურსების კოორდინაცია, პრიორიტეტებად გაწერა, სისტემატიზაცია და რეგულირება. ანალოგიურად, სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენითი სამუშაოებისთვის გამოყოფილი არ არის წლიური თანხები. კატასტროფებზე რეაგირებისთვის საჭირო თანხების გამოყოფა ხდება ფინანსთა სამინისტროსთვის სპეციალური მოთხოვნის წარდგენის შედეგად, რომელიც ეფუძნება ზარალისა და დანაკარგის შეფასებასა და ხარჯების კალკულაციას. ფინანსთა სამინისტროს თანახმად, დამატებითი ფონდების გამოყოფა საჭიროებს პარლამენტის დამტკიცებას. ფინანსთა სამინისტროს აქვს რეზერვების ფონდი რეგიონული განვითარებისთვის, რომლის სამი სფეროდან ერთ-ერთი არის კატასტროფებზე რეაგირება და ჰუმანიტარული დახმარება.

საერთაშორისო თანამშრომლობის პარტნიორები აფინანსებენ ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე პროგრამებს, პროექტებსა და ინიციატივებს. სამწუხაროდ, მათი ძალისხმევა არ არის კოორდინირებული და მთავრობას არა აქვს საერთო წარმოდგენა სხვადასხვა დონორის კონტრიბუციით სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა თემატურ საკითხზე, რისკების შემცირების კუთხით განხორციელებული განვითარების ხელშემწყობი დახმარების შესახებ. ამჟამად პრემიერ-მინისტრის აპარატის დაქვემდებარებაში იქმნება დონორთა კოორდინაციის საბჭო, რომელსაც შესწევს ძალა, რომ უზრუნველყოს ქვეყანაში დონორების მიერ დაფინანსებული საქმიანობის კოორდინაცია.

## HFA1: რეკომენდაციები

1. გაძლიერდეს კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკური ვალდებულება, პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება გადაწყვეტილების მიმღები და კანონშემოქმედი პირების გააქტიურების გზით, რათა მათ მხარი დაუჭირონ კატასტროფის რისკის შემცირებისთვის სხვადასხვა სექტორიდან რესურსების გამოყოფას და გაძლიერდეს ამ სფეროს ადგილობრივი ხელმძღვანელობა /მფლობელობა. ცენტრალურ და სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის შეიქმნას კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ინფორმირების რეგულარული პროგრამა.
2. გაიზარდოს და ნათლად ჩამოყალიბდეს ადგილობრივი და რეგიონული სამთავრობო სტრუქტურების პასუხისმგებლობები კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში.
3. განხორციელდეს კატასტროფის რისკის შემცირების კუთხით მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს და კანონქვემდებარე აქტების შესრულება და/ან სრულყოფა, რაც გაითვალისწინებს კატასტროფის რისკის შემცირების ყველა ელემენტს, მათ შორის პრევენციას, სექტორული განვითარების გეგმების შედგენისას რისკების სავალდებულო განსაზღვრას, რისკების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს, რეაგირებისთვის მზადყოფნას და კატასტროფის შემდგომ რეაბილიტაციას, სხვადასხვა უწყებისთვის მკაფიოდ გაწერილი ფუნქციებითა და ვალდებულებებით.
4. შემუშავდეს კატასტროფის რისკის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკა, კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა. ამ პროცესში აუცილებელია პოლიტიკის, სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის არსებულ პოლიტიკასთან და გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგ.: გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია (ან პირიქით, თუ დაგეგმილია, ამ უკანასკნელის განახლება/შედგენა).
5. გამოიყოს მინიმუმ ერთი მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც იქნება ძირითადი საკონტაქტო პირი მუნიციპალიტეტებში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებით [არ იგულისხმება უკვე არსებული რეაგირებაზე პასუხისმგებელი უწყება]. განისაზღვროს ამ პოზიციის მინიმალური კვალიფიკაცია და კომპეტენციები (მოთხოვნების დეტალიზაცია). სამუშაო აღწერილობით ნათლად განისაზღვროს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში მუნიციპალიტეტის ძირითადი საკონტაქტო პირის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების კოორდინაცია მუნიციპალიტეტის დონეზე და ცნობიერების ამაღლების კუთხით.
6. სახელმწიფო და სექტორულ დაგეგმვაში ჩართული თანამშრომლები უზრუნველყოფილი იყვნენ ტექნიკური მხარდაჭერით, ინსტრუმენტებითა და რესურსებით, რათა მოხდეს კატასტროფის რისკის შემცირების ინტეგრირება განვითარების სათანადო სახელმწიფო პროგრამებსა და ჩარჩოპროექტებში, როგორცაა რეგიონული განვითარების პროგრამა (2015-2017), 2020 წ. ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, გაეროს შემდგომი გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის და სექტორული პროგრამები და გეგმები.

7. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კატასტროფის რისკის შემცირების საკოორდინაციო მექანიზმი საერთაშორისო დონეზე განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან (მაგ.: ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამა), რათა ხელი შეეწყოს სხვადასხვა სექტორსა და დაწესებულებას (სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციები, აკადემიური წრეები და სხვ.) შორის კოორდინაციას, სახელმწიფოს დიალოგს კატასტროფის რისკის შემცირების პრიორიტეტებზე, კატასტროფის რისკის შემცირების ინტეგრირებას სახელმწიფო და სექტორული განვითარების პროგრამებში და ინფორმირებულობის დონის ზრდას, კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა სექტორსა და სამთავრობო დონეზე. მოხდეს შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფა.
8. მოხდეს რესურსების მოძიება, რათა განისაზღვროს კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობები, როგორც პირდაპირი დაფინანსებით, ასევე სექტორების და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

## HFA2. კატასტროფის რისკის შემცირების პრიორიტეტული მიმართულება 2: კატასტროფის რისკის განსაზღვრა, შეფასება და მონიტორინგი და ადრეული გაფრთხილების სისტემის გაძლიერება

### 1. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესაძლებლობები

სხვადასხვა სექტორის ტექნიკური უწყებები უზრუნველყოფენ საფრთხის კონტროლსა და რუკაზე დატანას კონკრეტული სექტორისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიით (ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეები, გეოლოგიური საფრთხეები, სეისმური საფრთხეები, ეპიდემიები). კონკრეტული პროექტების და პროგრამების, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე, მომზადებისა და განხორციელებისთვის არსებობს საფრთხისაგან დაცვის შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგია. არ არსებობს სპეციალურად შემუშავებული სამართლებრივი ჩარჩოთი დარეგულირებული ერთიანი საფრთხეების რუკაზე დატანისა და რისკების შეფასების მეთოდოლოგია. შედეგად, უპირატესობა ენიჭება საფრთხის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და რუკაზე დატანას (რასაც შეცდომით უწოდებენ „რისკების შეფასებას“), რაც ხორციელდება სექტორების ან პროექტების საშუალებით.

საერთო ჯამში, კვლევამ დაადგინა, რომ არსებული მონაცემების ოპტიმალურზე დაბალ დონეზე გამოყენებას იწვევს რამდენიმე ფაქტორი: პოტენციური მომხმარებლები არ ფლობენ ინფორმაციას არსებული მონაცემთა კრებულებისა და მონაცემთა ბაზების/პორტალების შესახებ; მონაცემები გაბნეულია ტექნიკურ დაწესებულებებში და არ არის ერთად თავმოყრილი, სისტემატიზებული, მოთხოვნებზე მორგებული და მუდმივად განახლებული ერთ ცენტრალურ საცავში; კონკრეტულ შემთხვევებში მომხმარებლებს მონაცემები არ მიეწოდებათ დროულად ან გამოსადეგად, გასაგები და მათ მოთხოვნებზე მორგებული ფორმით; კონკრეტულ პირებს უჩნდებათ ეჭვი, რომ არსებულ მონაცემებს აკლია სიზუსტე, საიმედოობა და არ არის განახლებული.

რამდენადაც საქართველოში არ არსებობს საქართველოს სახელმწიფო რისკების განახლებული და დეტალური ოფიციალური აღწერა, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა (CENN) და გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2012 წელს ერთობლივად შეიმუშავეს საქართველოს ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების ატლასი. მისი შემუშავება მოხდა პროექტის „საქართველოში ბუნებრივი საფრთხეების რისკების შემცირების ინსტიტუციური მოწყობა“ ფარგლებში, რომელიც კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა (CENN) და ჰოლანდიის ტვენტეს უნივერსიტეტის გეოინფორმაციის მეცნიერებისა და მიწაზე დაკვირვების ფაკულტეტმა (ITC) განახორციელეს 2009-2012 წლებში, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამის დაფინანსებით. რისკების ატლასი ხელმისაწვდომია, როგორც ინტერნეტში (საქართველოს ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების გეოპორტალი),<sup>28</sup> ისე ცალკეული გამოცემების სახით.<sup>29</sup> რისკების ატლასში შესულია რუკები და განმარტებითი ტექსტური მასალა არსებულ ბუნებრივ საფრთხეებზე, მათ ზემოქმედებაზე, სუსტ მხარეებსა და საქართველოში არსებულ რისკებზე. ატლასში ასევე წარმოდგენილია ქვეყნის ბუნებრივ და ადამიანურ პირობებთან დაკავშირებული ძირითადი რუკები. რუკებზე ნაჩვენებია სხვადასხვა სახის სუსტი მხარეები (ფიზიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური) და საქართველოს ტერიტორიისათვის დამახასიათებელი რისკები. შეფასებამ გამოავლინა,

რომ საჭიროა ატლასის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე და ატლასის პერიოდული განახლება.

მართალია, გარემოს ეროვნულ სააგენტოს შეუძლია საფრთხეებისა და რისკების უმეტესობის საფრთხეების რუკაზე დატანა და რისკების შეფასება, მაგრამ ისეთი სპეციალიზებული უწყებები, როგორცაა გეოფიზიკის ინსტიტუტი და დედამიწის მოძრაობის ინსტიტუტი, მართვის სხვა სტრუქტურას ექვემდებარებიან და ამგვარ უწყებებს არაფერი ავალდებულებთ, რომ გააერთიანონ საკუთარი მეთოდოლოგიები და გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია. მაგალითად, მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტროს ევალუა სეტყვის საწინააღმდეგო ზომების მიღება ქვემეხების გამოყენებით, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მხრიდან არ ხდება ინფორმაციის რეგულარული გაზიარება.

გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სასურველია უკეთ ესმოდეთ საფრთხეებისა და რისკების კონცეფციები და მათი გამოყენების მეთოდები. გაურკვეველია სახელმწიფო უწყებების როლი და პასუხისმგებლობა საფრთხეების რუკაზე დატანის და რისკების შეფასების კუთხით. საქართველოში არსებულ ბუნებრივ საფრთხეებზე მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება და გავრცელება ევალუაბათ შემდეგ დაწესებულებებს:

- **გარემოს ეროვნული სააგენტო** რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ჰყავს 343 თანამშრომელი, ვალდებულია მოამზადოს ნორმატიული და საინფორმაციო დოკუმენტები, პროგნოზები, საფრთხილებები არსებული და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოდინამიკური პროცესების, გეოლოგიური გარემოს საინჟინრო გეოეკოლოგიური პირობებისა და გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ; უზრუნველყოს ტერიტორიის მუდმივად აღნიშვნა რუკაზე, რისკის ზონებად დაყოფა და სანაპირო ზოლის მოვლენების პროგნოზირება; საინჟინრო საქმიანობით მართოს სანაპიროს ფორმირების პროცესი; შექმნას გარემოს დაცვითი მონაცემთა ბაზები, მეტამონაცემები და უზრუნველყოს მისი ორგანიზაციული მართვა. გარემოს ეროვნული სააგენტო დაყოფილია ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის, გარემოს დაბინძურების მონიტორინგისა და ლიცენზიების გაცემის დეპარტამენტებად.
- **ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტს**, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით 197 თანამშრომელი ჰყავს (60 თანამშრომელი თბილისში, დანარჩენები გადანაწილებულნი არიან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოთხ რაიონში), პირველ რიგში ევალუა სადამკვირვებლო სადგურებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების შეკრება და გავრცელება (მათ შორის ხანმოკლე და საშუალოვადიანი ამინდის პროგნოზები, ზაფხულის წყალდიდობის პარამეტრებისა და წყლის დებეტის გათვლა), ჰიდრომეტეოროლოგიური რისკების შესახებ ადრეული გაფრთხილება და პროგნოზირება (მაგ.: მოკლე ხანში გაკეთებული სპეციალური პროგნოზები და გაფრთხილება ზვავსაშიშროების შესახებ).
- **გეოლოგიის დეპარტამენტს** ჰყავს 44 თანამშრომელი. მას ძირითადად ევალუა: სახიფათო გეოლოგიური რისკის ზონების რუკების შემუშავება (მასშტაბით 1:50000); საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) მუდმივი მონიტორინგი და პროგნოზი; სახიფათო რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის რეკომენდაციების მიცემა და დასახლებაში გეოლოგიური

პროცესების უკიდურესი გააქტიურების შემთხვევაში დაუყოვნებელი ზომების მისაღებად სათანადო დასკვნების მომზადება; ყველანაირი მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური, საინჟინრო-გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური კვლევების ჩატარება; საქართველოს ტერიტორიის დაყოფა ზონებად სტიქიური გეოლოგიური პროცესების სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით; დიდი ინდუსტრიული ობიექტების პროექტების საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური შეფასება, რათა განისაზღვროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო სამრეწველო მიზნებისთვის გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ჰიდროგეოლოგიური დასკვნების მომზადებაში მონაწილეობა; მიწისქვეშა მტკნარი წყლების მონიტორინგი; სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეულ ობიექტებზე გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება; სახელმწიფო გეოლოგიური ფონდების მართვა და სასარგებლო წიაღისეულის ბალანსის წარმოება.

- **გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის** ძირითად ვალდებულებებში შედის სხვადასხვა ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული გარემოს დაბინძურების ხარისხის განსაზღვრა; მონაცემთა შეკრებისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება; სახელმწიფო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეკოლოგიური ვითარების ზეგავლენის შეფასების პროცესში მონაწილეობის მიღება (გარემოს ეროვნული სააგენტოს დეპარტამენტების მანდატებში/მარეგულირებელ ნორმებში არ არის მოცემული არანაირი მინიშნება/სტანდარტი, რომელიც განმარტავს ტერმინს „კომპეტენციის ფარგლები“); მონაწილეობა ეკოლოგიური რისკების შეფასებაში.
- **სანაპირო ზოლის მონიტორინგსა და დაცვაზე** მომუშავე გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალური ჯგუფი 2011 წელს დაიშალა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (საგზაო დეპარტამენტში შეიქმნა ახალი განყოფილება). ამჟამად გარემოს ეროვნულ სააგენტოში მხოლოდ 8 ადამიანს ევალება სანაპირო ზონებში ინფრასტრუქტურული განვითარების დაგეგმვისთვის პროგნოზის გაკეთება, მონიტორინგი და რეკომენდაციების გაცემა.
- სეისმური მონაცემების შეკრებასა და დამუშავებას უზრუნველყოფს **ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმური მონიტორინგის ცენტრი**. ცენტრს აქვს საკუთარი სეისმური მონიტორინგის ქსელი (25 სადგური). ცენტრის მოვალეობებში შედის: სეისმური მონაცემების დამუშავება და მიწისძვრების კატალოგების შექმნა; მიწისძვრის პარამეტრების დროსა და სივრცეში (მაგალითად, ადგილის) სწრაფი დადგენა (ჰიპოცენტრი, ეპიცენტრი, სიმძლავრე, ინტენსივობა); მონაცემთა გაცვლა მონაცემთა საერთაშორისო ცენტრებთან, როგორებიცაა ხმელთაშუაზღვისპირეთის ევროპული სეისმოლოგიური ცენტრი (EMSC), სეისმოლოგიის საერთაშორისო ცენტრი (ISC) და განახლებული ინფორმაციის სწრაფი მიწოდება ვებგვერდის მეშვეობით იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საგანგებო სიტუაციებზე არიან პასუხისმგებელი. ვებ-გვერდის მისამართია: <http://seismo.iliauni.edu.ge>.

ინსტიტუტისათვის სეისმოლოგიური ინფორმაციის შეკვეთა ფასიანია. ინსტიტუტი იძლევა მონაცემებს არა რისკების შესახებ, არამედ მხოლოდ საფრთხეების შესახებ.

- საქართველოში არსებული საფრთხეების მსგავს ან იგივე სახის რუკას შეიმუშავებს **გეოფიზიკის ინსტიტუტი**, რომელმაც ასევე შეიმუშავა კატასტროფისადმი მდგრადობის დეფიციტის ინდექსი. მოხდა საფრთხისა და რისკის, ასევე საფრთხეებისა და რისკების რუკებზე ურთიერთშენაცვლების გამოყენებაზე დაკვირვება. გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საქართველოში საჭიროა არსებობდეს რისკების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია. გეოფიზიკის ინსტიტუტმა ასევე განაცხადა, რომ მათ საქართველოს სეისმური ზონების რუკა შექმნეს 1999 წელს, ხოლო ეკონომიკის სამინისტრომ იგი 2010 წელს დაამტკიცა. მართალია, სხვადასხვა ზონაში სხვადასხვანაირი სამშენებლო ნორმები მოითხოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის დაცული იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც მოვინახულეთ.
- **შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი** გარემოს ეროვნული სააგენტოდან იღებს კონკრეტულ საფრთხეებთან დაკავშირებულ (სეისმურის გარდა) საფრთხეების რუკებს, ხოლო სეისმური საფრთხეების რუკებს - გეოფიზიკის ინსტიტუტიდან. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) რუკებს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი შეიმუშავებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან (მათ შორის კადასტრი) და სხვა ზემოხსენებული წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ასევე არ არსებობს საფრთხეების რუკის შედგენისა და რისკების განსაზღვრისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები. მაგალითად, სსრკ-ის დაშლის შემდეგ 400 ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო სადგურიდან მხოლოდ 40 ფუნქციონირებს, რომელთა ნაწილი ან უკანასკნელ პერიოდში განახლდა, ან დონორის დაფინანსებით შეიქმნა. ამის შედეგად ხდება ნაკლებად სანდო გრძელვადიანი ამინდის პროგნოზის გაკეთება და მუშავდება მხოლოდ მოკლევადიანი, 6-საათიანი პროგნოზი მოსალოდნელი სახიფათო მოვლენების შესახებ, კონკრეტული ადგილმდებარეობის განსაზღვრის გარეშე. 2000 წლიდან არ გაკეთებულა გეოლოგიური საფრთხეების ხანგრძლივი პერიოდის პროგნოზი მაშინ, როდესაც წინა პროგნოზი მოიცავდა 20-წლიან პერიოდს. ასევე სახელმწიფო დონეზე არ ხდება კლიმატის ცვლილების მოდელირების სრულად ფუნქციონირება.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, საქართველომ უნდა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო ინსტრუმენტებთან, რაც ხელს შეწყობს წყალდიდობის რისკის შეფასებისა და მართვის გაუმჯობესებას. შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4-დან 9 წლის განმავლობაში დირექტივა No 2007/60/EC-ის შემდეგი დებულებები უნდა განხორციელდეს: ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა; წყალდიდობების შესახებ წინასწარი შეფასების გაკეთება; წყალდიდობის საფრთხეების რუკებისა და წყალდიდობის რისკების რუკების მომზადება; წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების შეიმუშავება.

## 2. ინფორმაციაზე წვდომა და გავრცელება

გეოპორტალზე განთავსებული საფრთხეების მონაცემთა ბაზა საშუალებას აძლევს მომხმარებელს გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფის შესახებ. შესაძლებელია მონაცემთა ბაზის წერტილების სახით წარმოდგენა, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ანალიზი გაუკეთოს სხვადასხვა სახის მოვლენის განაწილებას რეგიონების ან დროის მიხედვით და შემდეგ შეიმუშაოს რუკა რამდენიმე მოვლენის ადგილმდებარეობის აღნიშვნით. ამასთან, კვლევამ დაადგინა, რომ პორტალს არ იცნობენ, არ გამოიყენებენ და ხშირად არც მიმართავენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. სხვადასხვა დაწესებულებაში კონკრეტულ საფრთხეებთან დაკავშირებით (სეისმოლოგია, გეოლოგია, ჰიდრომეტეოროლოგია) სხვა მონაცემთა ბაზები არსებობს, მაგრამ ეს მონაცემები არ არის სრულად გადაყვანილი ციფრულ ფორმატში და, შესაბამისად, არ არის ინტერნეტში ხელმისაწვდომი.

სხვადასხვა დაწესებულების მიერ საფრთხეებისა და რისკების შესახებ შეკრებილი მონაცემების უმეტესობა „ხელმისაწვდომია“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხდება მათი სისტემატურად და ოფიციალურად გავრცელება. ინფორმაცია ასევე არ არის მორგებული საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნებს. მაგალითად, არ ხდება შენობების ტექნიკური მდგომარეობის და შესაბამისი ტექნიკური პასპორტების ფართოდ გავრცელება და გამოყენება მშენებლობისა და მონიტორინგის მიზნით. არსებულ მონაცემებზე წვდომას ასევე ართულებს მონაცემების შეუსაბამობის პრობლემა.

კატასტროფის რისკის შეფასებასა და შემცირებაში დიდი როლი ენიჭება საწყის მონაცემთა ბაზებზე (პირველადი ინფორმაცია მოვლენის შესახებ, იქნება ეს ინსტრუმენტული თუ აღწერილობითი ჩანაწერები, ბიულეტენები, კატალოგები) ხელმისაწვდომობას. ნებისმიერი საერთაშორისო თუ ეროვნული პროექტის შედეგად მიღებული პირველადი მასალები და შესაბამისი კატალოგები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის, თუმცა, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ამ მხირვ პრობლემებია სახელმწიფო დაწესებულებებში, რაც ხელს უშლის და მომავალშიც შეუშლის მეცნიერების განვითარებას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორცაა კატასტროფის რისკის შეფასება.

გარემოს ეროვნული სააგენტო გამოსცემს ყოველწლიურ ბიულეტენს (საინფორმაციო ბიულეტენი საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და მომდევნო წლისათვის პროგნოზის შესახებ), რომელიც ეგზავნებათ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ბიულეტენში, რომელიც საჯაროდაც ხელმისაწვდომია, ასახულია მონიტორინგისა და სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების პერიოდში კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია საშიში გეოლოგიური პროცესების შესახებ. მონიტორინგის სივრცეში მოხვედრილი დასახლებული პუნქტების და საინჟინრო ობიექტების ტერიტორიაზე გავრცელებული საშიში გეოლოგიური პროცესების შესახებ. მასში შედის მუნიციპალიტეტების მიხედვით განაწილებული ინფორმაცია კონკრეტული ბუნებრივი კატასტროფისკენ მიდრეკილი სახიფათო რაიონების შესახებ, მოკლევადიანი პროგნოზებით და საშიში გეოლოგიური პროცესებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების სათანადო პრევენციული ღონისძიებების დასახვით. ბიულეტენს ახლავს რუკები, სადაც ასახულია ყველა სახის გეოლოგიური პროცესი და გეოლოგიური საფრთხის გააქტიურების სარისკო უბნები. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი ბიულეტენში არსებული

ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს დამატებით რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს. თუ განსაზღვრულ პრობლემებზე საჭიროა სასწრაფო რეაგირება, შესაბამისი თანხების გამოყოფა ხდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან. ამჟამად მიმდინარე სახიფათო გეოლოგიურ მოვლენებზე არსებული ინფორმაცია მოიცავს გასული 50 წლის პერიოდს.

ჰიდრომეტეოროლოგიისა და გეოლოგიის დეპარტამენტები ისევ განაგრძობენ რეგიონებში მონაცემების ფურცელზე ჩაწერას, რაც შემდეგ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გადაჰყავს ციფრულ ფორმატში, ცენტრალურ დონეზე, თუმცა ეს ხდება მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს.

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტთან თანამშრომლობით, გამოსცემს და ავრცელებს ამინდის რეგულარულ პროგნოზებს და ინფორმაციას/პროგნოზს ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფის შესახებ. გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი ასევე ყოველთვიურად გამოსცემს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის საინფორმაციო ცნობარს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და ასევე ეგზავნება დაინტერესებულ მხარეებს. გარემოს ეროვნული სააგენტო ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში ასევე თანამშრომლობს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (GEOSTAT) და მათ შორის ხდება ინფორმაციის/მონაცემების რეგულარული გაცვლა, ერთმანეთთან შეთანხმებული კლასიფიკატორების მიხედვით.

### **3. ადრეული გაფრთხილება**

რაც შეეხება ადრეულ გაფრთხილებას, სხვადასხვა დაწესებულებას აქვს სათანადო ტექნიკური საშუალებები სხვადასხვა სახის განვითარებულ ტენდენციებზე კვლევების ჩასატარებლად. ამ დაწესებულებების უმრავლესობას აქვს წვდომა საერთაშორისო მონაცემებზე და შეუძლიათ გაცვალონ ინფორმაცია სხვადასხვა რისკის ელემენტებზე, რაც სავარაუდოდ გავლენას იქონიებს ქვეყანაზე. ამავე დროს დონორების მხრიდანაც არის გარკვეული დაინტერესება, რომ უზრუნველყონ ისინი სათანადო ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით საჭირო ინფორმაციაზე წვდომისთვის და ჩატარდეს რისკების ტენდენციების კვლევები.

სამწუხაროდ, არ ხდება ტექნიკური ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების გასაგები ფორმით გაზიარება სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, რაც საფუძველს შეუქმნიდა კონკრეტულ სექტორში განვითარების გრძელვადიან ინვესტიციებთან დაკავშირებით ინფორმაციაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებას. ადრეული გაფრთხილების ფორმით გაცემული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ზედმეტად ტექნიკური შინაარსისაა.

## HFA2: რეკომენდაციები

1. შეიქმნას და დაინერგოს ქვეყნის მასშტაბით ერთიანი, სხვადასხვა კატასტროფის რისკის მაჩვენებელი რუკა, რისკების განსაზღვრის, რისკების შეფასებისა და რისკების მონიტორინგის მეთოდოლოგია, ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამა, ტექნიკა და დანადგარები. გაკონტროლდეს, რომ ეს პროცესი დაფუძნებული იყოს ქვეყანაში ან რეგიონში არსებულ წარმატებულ პრაქტიკაზე და დაემყაროს არსებულ გამოცდილ მეთოდოლოგიას, ტექნიკას, თანამედროვე დანადგარებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას. სისტემატურად მოხდეს სახიფათო უბნების მონიტორინგი.
2. საქართველოს ყველა რაიონში ჩატარდეს სათანადო რისკების შეფასება, რათა შეიქმნას ეროვნული რისკების ყოვლისმომცველი და ერთიანი აღწერილობა. რისკების აღწერილობა გამოყენებული უნდა იყოს სახელმძღვანელოდ ცენტრალური, ადგილობრივი და სექტორული განვითარების პროცესებში რისკების შესახებ ინფორმაციაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებისთვის. მონაცემების და ინფორმაციის შენახვა და განახლება უნდა მოხდეს ერთ ცენტრალურ საცავში/ეროვნული კატასტროფის რისკის ობსერვატორიაში (რომელიც დაეფუძნება, მაგალითად, გეოპორტალს). დაინერგოს ისეთი პროცედურები და მარეგულირებელი ნორმები, რაც უზრუნველყოფს ყველა დონეზე ყველა სათანადო დაინტერესებული მხარის საცავის/ობსერვატორიის თავისუფალ წვდომას.
3. დაწესდეს ინფორმაციის სისტემატური და სავალდებულო გაცვლის პროტოკოლი საფრთხეებისა და რისკების მონაცემების შემქმნელებსა და საბოლოო მომხმარებელს შორის. ეს უნდა მოიცავდეს მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციის, სხვადასხვა ნაწილად დაყოფისა და მოთხოვნებზე მორგების უზრუნველყოფას, რათა ინფორმაცია გასაგები და გამოსადეგი იყოს ტექნიკური განათლების არმქონე გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის. ბუნებრივი საშიშროებების შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის გასაჯაროების ვალდებულება მოგვარდეს კანონმდებლობის დონეზე.
4. გადაიხედოს/შემუშავდეს რაიონების და მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმები, რისკებზე ზუსტი ინფორმაციის საფუძველზე.
5. შეიქმნას სხვადასხვა საფრთხის შესახებ ადრეული გაფრთხილების სისტემა, რათა ხელისუფლებას გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისას აუწყონ განვითარებული ტენდენციების შესახებ. ჩამოყალიბდეს კატასტროფის (და კლიმატური) რისკების შესახებ ინფორმაციის სისტემატური გავრცელების მექანიზმი რადიოს, ტელევიზიის და სხვა სახის წინასწარი გაფრთხილების სისტემების საშუალებით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საქართველოს წითელი ჯვრის მეშვეობით, რათა საზოგადოება ინფორმირებული იყოს მოსალოდნელი რისკის თაობაზე, იცოდეს რა პრევენციული და მოსამზადებელი ზომების მიღებაა შესაძლებელი. უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების დაკავშირება წინასწარი გაფრთხილების სისტემებთან.

### **HFA3. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 3: ცოდნის, ინოვაციებისა და განათლების გამოყენება ყველა დონეზე უსაფრთხოებისა და მდგრადობის კულტურის დასამკვიდრებლად**

#### **1. ფორმალური განათლების სისტემა**

საქართველოში მთელი რიგი უწყებები ატარებენ კატასტროფის რისკის შემცირების საგანმანათლებლო ღონისძიებებს სკოლებსა და ბაღებში, როგორც მასწავლებლებისა და მოსწავლეების მომზადების, ისე კატასტროფისათვის მომზადების მიზნით (მაგ.: სკოლებისა და ბაღებისთვის დახმარების გაწევა კატასტროფის მართვის გეგმების შემუშავებაში, ძირითადი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შეძენაში და ა.შ.). 2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით დააარსა კატასტროფის რისკის შემცირების განათლების სააგენტოთაშორისო საკოორდინაციო ჯგუფი, რათა მოეხდინა რისკის შემცირების ღონისძიებების კოორდინირება, ცნობიერების ამაღლება და კატასტროფის რისკის პრევენცია. ჯგუფის შეხვედრები ეწყობოდა UNICEF-ის კატასტროფისთვის მზადყოფნის (DIPECHO) პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან დანამშრომლობით. დღესდღეობით საქართველოში განათლების სფეროში კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებების ზედრადი ტენდენციის ფონზე, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაგრძელდეს რეგულარული საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზება.

#### **1.1. სკოლამდელი განათლება**

კანონი ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობაში, რაც გამოიხატება სკოლამდელი განათლების კურიკულუმის, მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტისა და ტრენინგ-პროგრამების შემუშავების გზით. სამინისტრო ასევე აქტიურად მონაწილეობს სკოლამდელი განათლების კანონის შემუშავების პროცესში. ამ მიზნით, 2012 წლის დეკემბერში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტში შეიქმნა სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველო. ამ სამმართველოს ევალება შეიმუშაოს და დაამტკიცოს სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმა და დაეხმაროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მის განხორციელებაში. ამჟამად UNICEF ეხმარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიაში და სკოლამდელი განათლების კანონისა და კურიკულუმის შემუშავებაში.

მართალია, ამჟამად არსებულ სკოლამდელ სასწავლო პროგრამასა და მეთოდურ სახელმძღვანელოებში შესული მასალის ელემენტები კონკრეტულ ასაკზე მორგებულ უსაფრთხოების ზომებს მოიცავს, კატასტროფის რისკის შემცირება, როგორც ასეთი, ამ დოკუმენტებში არ არის შესული. შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით Save the Children-ისა და ASB-ის მიერ კატასტროფისთვის მზადყოფნის (DIPECHO) პროგრამის ფარგლებში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის შემუშავებული და პილოტირებული კატასტროფის რისკის შემცირების

ინკლუზიური სასწავლო მასალები შეიძლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩართოს სკოლამდელ სასწავლო პროგრამაში, რომელიც ახლა დამუშავების ეტაპზეა.

## 1.2. დაწყებითი და საშუალო განათლება

UNICEF-DIPECHO პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა კატასტროფის რისკის შემცირების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვაზე. კატასტროფის რისკის შემცირების სწავლება შეიტანეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში IV და VIII კლასის საგანში „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ და V-IX კლასების სავალდებულო „სადამრიგებლო საათის“ პროგრამაში. „სამოქალაქო თავდაცვის და უსაფრთხოების“ საგანი შესაბამის კლასებში ისწავლება კვირაში ერთი საათი ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. რაც შეეხება „სადამრიგებლო“ პროგრამას, დამრიგებლებმა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში კვირაში მინიმუმ ერთი საათი უნდა დაუთმონ კატასტროფის რისკის შემცირების სწავლებას ინტერაქტიული მეთოდებით. ზემოხსენებული კატასტროფის რისკის შემცირების სასწავლო პროგრამა შემუშავდა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით, სხვადასხვა სათანადო სექტორის სპეციალისტებთან გამართული ინტენსიური კონსულტაციების შედეგად.

ამასთანავე, ფორმალური სასწავლო პროცესის მხარდაჭერისა და სასწავლო პროგრამაში უკეთ დანერგვის მიზნით 2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა UNICEF-ის მხარდაჭერით დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის შექმნა კატასტროფის რისკის შემცირების ელექტრონული თამაში, რომელიც მოიცავს ხუთ თემატურ სფეროს (მეწყერი, მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა/წყალმოვარდნა და ქარიშხალი). ინფორმაცია ახალი ელექტრონული თამაშის შესახებ სამინისტრომ გაავრცელა შესაბამისი საგანმანათლებლო რესურს ცენტრების მეშვეობით და პრეზენტაციის დროს, სადაც მოწვეული იყვნენ მასწავლებლები და მოსწავლეები სხვადასხვა რეგიონებიდან. ელექტრონული თამაში ასევე ატვირთულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე [www.buki.ge](http://www.buki.ge). თუმცა, ზემოაღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, შემთხვევითი, არაპირდაპირი მონიტორინგის (მათ შორის ამ კვლევის) შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, განსაკუთრებით რეგიონებში, უმეტესად არ არიან ინფორმირებული ამ სასწავლო რესურსის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები ამჟამად ოფიციალურად ჩართულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, არ ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ძირითად სასწავლო საგნებში საკლასო მონიტორინგის სისტემის შექმნაზე, ასევე იგეგმება ქვეყნის მასშტაბით სკოლებში კატასტროფის რისკის შემცირების სწავლების ხარისხისა და პერიოდულობის შემოწმება. ამ პროცესის არაფორმალური მონიტორინგის შედეგად, კახეთში, აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში ვიზიტების დროს გამოვლინდა, რომ კატასტროფის რისკის შემცირების სწავლება სკოლებში ძალიან იშვიათია.

ახლახან გამოკითხულმა ადგილობრივმა გამგებლებმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებმა და მუნიციპალიტეტის კატასტროფის მართვის სამსახურებმა არ იცოდნენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლებში უნდა

ისწავლებოდეს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები. კვლავ პრობლემად რჩება ცალკეულ პროექტებიდან ამ კუთხით სისტემურ მიდგომაზე გადასვლა.

განათლების სისტემის კონსოლიდირებული სტრატეგია 2014-2024, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, ამ ეტაპზე შემუშავების პროცესშია. სტრატეგია ეყრდნობა კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებისადმი სისტემურ მიდგომას განათლების ყველა დონეზე: სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული და უმაღლესი განათლება. აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე მოხდება შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ასევე მოიცავს კონკრეტულ რისკის შემცირების ზომებსა და მითითებებს სკოლებისათვის. ასევე მოხდება „საგანგებო სიტუაციებში განათლების უზრუნველყოფის“ კონცეფციის შემოღება, რათა უზრუნველყოფილ იქნას საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში ბავშვებისთვის უწყვეტი სწავლება/განათლება.

### 1.3. მასწავლებელთა უნარების განვითარება

UNICEF-ს მიერ მხარდაჭერილი „განათლებაში კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების ინტეგრირების“ პროგრამის ფარგლებში, რომლის შედეგადაც მოხდა რისკის შემცირების საკითხების შეტანა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, 2013 წელს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა პროექტი, რომელიც ხელს უწყობდა ახალ სასწავლო გეგმაში არსებული კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების ეფექტურ სწავლებას.

მასწავლებლების უნარების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით, UNICEF-DIPECHO პროგრამის მეორე ფაზაში შემუშავდა სპეციალური 20-საათიანი ტრენინგ-ტრენინგის და მასწავლებელთა ტრენინგის პროგრამა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ; პროგრამის პილოტირება მოხდა 2013 წლის დეკემბერში. ამასთანავე, ჩამოყალიბდა საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად მომზადებული 5 ძირითადი ტრენინგის განმეორებადი ჯგუფი.

20 საათიანი ტრენინგ-მოდული, რომელიც შეიქმნა V-IX კლასის დამრიგებელთათვის და IV და VIII კლასის „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების“ საგნის მასწავლებელთათვის, მოიცავს შემდეგ თემატურ მიმართულებებს:

- რეგიონისთვის და საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი საფრთხეები;
- განათლების სისტემის როლი კატასტროფის რისკის შემცირების საკითხში;
- სწავლების ინტერაქტიული მეთოდები;
- არსებული კატასტროფის რისკის შემცირების საგანმანათლებლო მასალების მიმოხილვა;
- კატასტროფის რისკის შემცირების ძირითადი კონცეფციები: საფრთხე, მოწყვლადობა, რისკი, პრევენცია, რისკის შერბილება/მიტიგაცია, მზადყოფნა, ა.შ.;
- კატასტროფის გამომწვევი მიზეზები და შედეგები;
- ქვევის წესები კატასტროფამდე, კატასტროფის დროს და მის შემდეგ;
- მასწავლებლების როლი კატასტროფის რისკის შემცირებაში.

2014 წლის სექტემბრიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი შესთავაზებს მასწავლებლებს ამ ტრენინგ პროგრამას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციისა და უნარების გაზრდას კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების სწავლებაში, ბავშვზე ორიენტირებული ინტერაქტიულ სწავლების მეთოდებით. დაინტერესებულ საჯარო სკოლის მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ დარეგისტრირდნენ ცენტრის ვებ-საიტზე და გაიარონ ეს ტრენინგი უფასოდ.

ამასთანავე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაბეჭდა და ქვეყნის მასშტაბით ყველა, 2,084 საჯარო სკოლაში დაარიგა დამრიგებლის სახელმძღვანელო „კატასტროფის რისკის შემცირების სწავლება ინტერაქტიული მეთოდებით“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა 2011 წელს მოამზადეს დაახლოებით 3,000 „სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოების“ საგნის სწავლებაზე პასუხისმგებელი მასწავლებელი.

#### 1.4. სკოლის უსაფრთხოება და კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებები სკოლებში

საქართველოში სკოლაში კატასტროფის რისკის მართვას შემდეგი კანონმდებლობა განსაზღვრავს: საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ (8 ივნისი, 2007 წ.); „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა“ (პრეზიდენტის ბრძანებულება №415, 26 აგვისტო, 2008 წ.); „საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №28/ნ, 20 აპრილი, 2010 წ.). ზემოხსენებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა რამდენიმე წლის წინ შეიმუშავა სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები/ნიმუშები სკოლებისთვის კატასტროფებზე რეაგირების ჯგუფების (შტაბების) შესაქმნელად, საევაკუაციო გეგმების მოსამზადებლად და სკოლის კატასტროფისთვის მზადების ღონისძიებების ორგანიზების მიზნით. ახლახანს გაეროს ბავშვთა ფონდისა და ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის დახმარებით შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა მოახდინა არსებული მითითებების გადახედვა/მეთოდოლოგიის დახვეწა. ამ ეტაპზე საჭიროა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოახდინოს ამ მოდელის ყველა სკოლისთვის ოფიციალურად შემოღება.

სახელმწიფოს საკანონმდებლო ჩარჩო წარმოადგენს საფუძველს, რომელსაც სკოლებმა უსაფრთხოების ძირითადი ზომები, მათ შორის, ევაკუაციის უზრუნველყოფა და სკოლის კატასტროფისთვის მზადყოფნის გეგმები უნდა შეუსაბამონ. თუმცა ძალიან მცირე რაოდენობის სკოლები შეესაბამება ამ მარეგულირებელ ნორმებს და სკოლების უმრავლესობას ან არ აქვს სკოლის კატასტროფისთვის მზადყოფნის გეგმა ან ეს გეგმები მოძველებულია და არ მოქმედებს. უმეტეს შემთხვევაში, თუკი არსებობს კიდეც, კატასტროფისთვის მზადყოფნის გეგმები და ევაკუაციის მარშრუტები არ არის მორგებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე. იგივე შეიძლება ითქვას სკოლის/სკოლამდელი აღზრდის შენობების უსაფრთხოებაზე. ასევე არ ჩატარებულა სკოლების ერთიანი უსაფრთხოების შეფასება, რომლის საფუძველზეც შემდეგ მოხდებოდა სასწავლო შენობის რეკონსტრუქცია/მოდერნიზაცია. ზოგ შემთხვევაში ხდება არსებული გეგმების განახლება არასამთავრობო ორგანიზაციების ან საქართველოს წითელი ჯვრის საპილოტე პროგრამებით. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტების დასრულების შემდეგ

ადგილობრივი ხელისუფლება ან საზოგადოება ნაკლებად ცდილობს განაგრძოს დაწყებული საქმე და გამოიყენოს ეს გეგმები.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით საქართველოს 600 სკოლაში წყლის ხარისხის, სანიტარიული ნორმების და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სკოლების 70%-ს სკოლის შენობაში არ აქვთ წყალმომარაგების სისტემები, სოფლის სკოლების 85%-ში წყლის ობიექტი სკოლის შენობის გარეთ მდებარეობს და შემოწმებული სკოლებიდან მხოლოდ 35%-ს აქვს სანიტარიული წერტილები შენობაში. შენობის გარეთ მდებარე სველ წერტილებამდე მანძილი 10-200 მეტრია. 2013 წ. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შემუშავდა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) სტანდარტები სკოლებისთვის, ასევე მასწავლებლების სახელმძღვანელო, თუმცა წყლისა და სანიტარიული სისტემების მარეგულირებელი ნაწილი ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია მთავრობას. ასევე შემუშავდა WASH მონიტორინგის ჩარჩო, რომელიც უნდა ჩაერთოს სასწავლო წლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) 2014 წლიდან.

ქვეყნის მასშტაბით გამოყენებული მოძველებული სამშენებლო კოდექსები კიდევ უფრო ამძიმებს სკოლის უსაფრთხოების საქმეს. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების თანახმად, სააგენტო დაიწყებს კატასტროფის რისკის შემცირების მახასიათებლების გათვალისწინებით სკოლების ახალ სამშენებლო სტანდარტებზე მუშაობას, მას შემდეგ რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაასრულებს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ახალი ეროვნული სამშენებლო კოდექსის შემოღებას (2014 წლის ბოლოს).

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო 2009 წელს შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურაში და მის მოვალეობაში შედის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განათლების ხარისხის კონტროლი, აგრეთვე სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლების თანახმად, მდგრადი, სხვადასხვა მოსალოდნელ საფრთხეზე გათვლილი სტანდარტების შემუშავებისა და სკოლების სარეკონსტრუქციო გეგმების შედგენის პროცესში სააგენტოს დასჭირდება შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა/ექსპერტიზა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მთავარი პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პირველ რიგში გულისხმობს მოსწავლეების და საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფუნქციებს ასრულებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განთავსებული მანდატურები. 2011 წლიდან სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურსა და შსს აკადემიას შორის

გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე მანდატურების გადამზადება ხდება სხვადასხვა პროგრამებით, რაც მათ ეხმარება უკეთ გააცნობიერონ კრიტიკული სიტუაციები და მიიღონ შესაბამისი ზომები საგანგებო სიტუაციების დროს. არსებული შეთანხმების ფარგლებში შემუშავდა ტრენინგ-პროგრამა „საგანგებო სიტუაციებისათვის მანდატურების მომზადება“<sup>30</sup>.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური მნიშვნელოვან როლს თამაშობს და კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უსაფრთხო სკოლის პროექტის ის მიმართულება, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში კატასტროფის რისკების შესამცირებლად კონკრეტული ზომების მიღებაზე.

### 1.5. უმაღლესი განათლება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი გვთავაზობს ისეთ სასწავლო საგნებს, როგორცაა ჰიდრომეტეოროლოგია, ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, კარტოგრაფია/გეოინფორმატიკა და გეოეკოლოგია, როგორც ურთიერთგადამკვეთ სფეროებს. კერძო აგრარულ უნივერსიტეტს აქვს აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ახალი კადრების შერჩევის საფუძველს ქმნის. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ისწავლება საგანგებო სიტუაციების მართვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხები, პროექტირება, გეოფიზიკა და სეისმოლოგია, აგრეთვე ჰიდრომელიორაცია. საგანგებო სიტუაციების მართვა ისწავლება საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამითაც.

2012 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობდა სამაგისტრო პროგრამას *ფსიქიკური ჯანმრთელობა*. ამ პროგრამის ფარგლებში ისწავლება კურსი “კატასტროფათა მართვა”. იგი მოიცავს სწავლების 35 საათს და დამოუკიდებელი სწავლების 115 საათს. კურსში ჩართულია ისეთი საკითხები, როგორცაა: სტიქიური და ტექნოგენური კატასტროფების განმაპირობებელი სისტემები, დაინტერესებული პირების/მხარეების ანალიზი, საჭიროებათა და რესურსების შეფასება, რომელიც აუცილებელია კატასტროფების, კრიზისის მართვისათვის; უწყებათაშორისი მუდმივი კომიტეტის გაიდლაინები, მულტიდისციპლინური მიდგომა კატასტროფების მართვისადმი, ადრეული გაფრთხილება ბავშვების, მოზარდებისა და მოხუცებისთვის, პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება და სხვა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო სკოლა მსურველებს სთავაზობს რამდენიმე საგნის შესწავლას, რომლებიც კატასტროფასთან და განსაკუთრებით კატასტროფის რისკის შემცირებასთან არის დაკავშირებული.

სამწუხაროდ, საერთო ჯამში, სპეციალიზებული სადოქტორო და სამაგისტრო განათლების ხარისხი ჯერჯერობით საკმაოდ დაბალია, ასევე დაბალია ახალგაზრდების ინტერესი შეისწავლონ არსებული პროგრამები. მაგალითად, ამჟამად მხოლოდ 5 სტუდენტი სწავლობს გეოლოგიას.

განათლების სისტემაში არ არსებობს სისტემური მიდგომა/კოორდინაცია. მხოლოდ იშვიათად თუ წაიკითხავენ ლექციებს განათლების ეროვნული სააგენტოს (NEA) მიერ

მოწვეული სპეციალისტები, ასევე არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამების/ სასწავლო გეგმების განვითარება.

არ არსებობს კატასტროფების მართვის ან კატასტროფის რისკის შემცირების სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამა.

## **2. არაფორმალური განათლება**

2010 წლიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ხელს უწყობს საქართველოს ადგილობრივ თემებში კატასტროფისათვის მზადებისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ არაფორმალურ განათლებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი რესურსცენტრების მეშვეობით 10 სამიზნე თემში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ სკოლის მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგები ოჯახში საგენგებო სიტუაციებისათვის მზადების შესახებ (წითელი ჯვრის ინსტრუმენტი). შემდგომ ამგვარი ტრენინგები მასწავლებლებმა ჩაუტარეს სკოლის მოსწავლეებს, რაც მიზნად ისახავდა მოსწავლეების ოჯახის წევრების, ნათესავებისა და მეზობლების ინფორმირებას კატასტროფისთვის მზადების აუცილებლობის შესახებ.

## **3. კვლევა და განვითარება**

2010-2011 წწ. რეფორმის შედეგად სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები დაუკავშირდნენ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს. რეფორმის მიზანი იყო სამეცნიერო ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში, რაც გააძლიერებს სამეცნიერო კვლევების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს გამოყენებითი მეცნიერების განვითარებას.

დედამიწის მეცნიერების ინსტიტუტი ატარებს კვლევას ქვეყანაში და რეგიონში არსებულ სეისმურ რისკებზე. მას ჰყავს 20 სპეციალისტისაგან შემდგარი გუნდი და აქვს კონკრეტული მიზანი - საქმიანობაში ჩართოს ახალგაზრდა მეცნიერები, ილიას უნივერსიტეტისა და სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები. უნივერსიტეტის თანამშრომლებმა თავის კვლევას საფუძვლად დაუდეს საქართველოს უმაღლესი განათლების უწყებებში, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, გამოყენებული რეგულარული სასწავლო პრაქტიკა.

მ. ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი მონაწილეობდა სეისმური საშიშროების შეფასებასთან დაკავშირებულ ორ დიდ საერთაშორისო პროექტში (NATO და Global Earthquake Model). შესაბამისად მოხდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სეისმური საფრთხის რუკის განახლება ახალი მონაცემებისა და თანამედროვე პროგრამების გამოყენებით.

სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო დაფინანსება ხდება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით, რომელსაც ევალება მეცნიერების განვითარებისთვის გამიზნული ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის საშუალებით.

ამჟამად საქართველოში არსებობს ორი სამეცნიერო აკადემია: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო აკადემია და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ორივე

სასწავლებელი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია. უკანასკნელი დაარსა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014 წ. და ეყოლება 121 თანამშრომელი თბილისსა და ქვეყნის სამ სხვა რეგიონში. ასევე აღინიშნა, რომ ახლახან გაუქმდა სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტი. შეფასებისას ბევრმა რესპონდენტმა გაუსვა ხაზი, რომ მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში განსაზღვრულია თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროებში თანამშრომლობას.

#### **4. პროფესიული სწავლება**

გამოკითხული სასწავლებლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ფორმალურად არ ხდება კადრების განვითარება და პროფესიული მომზადება კატასტროფის რისკის შემცირების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ საგანი შემოღებულია და ინსტიტუციური თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც რეგულარულად ფინანსდება. საქართველოში არ ტარდება რისკის შეფასების სწავლების პროგრამა, ხოლო საფრთხის განსაზღვრისა და რუკაზე დატანის სწავლებას გარე წყაროები აფინანსებენ, ისიც - კონკრეტულ დროსა და კონკრეტული საჭიროების გამო. გამოკითხულთა უმრავლესობამ ცნობიერების ამაღლებისთვის ხელშემშლელ ფაქტორად უწყებების თანამშრომელთა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ხშირი ცვლა დაასახელა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არის მიწათსარგებლობის დაგეგმვის სპეციალური დეპარტამენტი. დეპარტამენტის მოვალეობაში შედის ახალი სტანდარტების შემუშავება და გავრცელება, რომელიც იგზავნება ფოსტით და საჭიროების შემთხვევაში ვრცელდება შესაბამისი საველე სწავლების საშუალებით. აღინიშნა, რომ რესურსების არქონა არის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ვერ ხერხდება 64 მუნიციპალიტეტსა და ცენტრალურ დონეზე შესაბამის დარგობრივ სამინისტროებში პროფესიული სწავლების ჩატარება. ამასთან, სამინისტროს აქვს საკუთარი თანამშრომლების სწავლებისთვის გამოყოფილი სპეციალური ბიუჯეტი, თუმცა პროფესიული განვითარების სწავლების უმეტესობა ტარდება დონორების მიერ გამოყოფილი გარე დაფინანსებით და ზოგადად ეს პროცესი არ არის სისტემატიზირებული.

გეოფიზიკის ინსტიტუტი ახალ თანამშრომლებს ძირითადად ტექნიკური უნივერსიტეტიდან იღებს და არ აქვს თანამშრომლების განვითარების სპეციალური პროფესიული პროგრამა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სწავლებების ჩატარების მიზნით 2013 წელს ყველა მუნიციპალიტეტში გახსნა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრები. ყოველ ცენტრში არის 4-6 სპეციალისტი. სწავლების სიხშირე და სასწავლო პროგრამა განსხვავებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.

#### **5. საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გააქტიურება**

საერთო ჯამში, კატასტროფის რისკის შემცირებაზე საზოგადოების ინფორმირება ხდება იშვიათად და არარეგულარულად. უმეტესად კატასტროფის რისკის შემცირებაზე

საზოგადოების ინფორმირების ინიციატივები დამატებითი საბიუჯეტო პროგრამებიდან და გარე წყაროებიდან ფინანსდება. ადრე არსებობდა ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემა ძირითადი რისკებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ, მაგრამ გადაცემის არაეფექტიანობის გამო მისი ჩვენება შეწყდა. გარდა ამისა, არც ამ გადაცემის ეფექტიანობის განსაზღვრის რაიმე კრიტერიუმი გამოვლენილა (მაყურებელთა რაოდენობა, გამოკითხვები, ზემოქმედების მაჩვენებელი და ა.შ.).

კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გათვითცნობიერების დაბალი დონის ძირითადი მიზეზი არის რეგულარული საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების უქონლობა, თანამშრომლების ხშირი ცვლა და რესურსების არქონა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ცოდნის დონე კატასტროფის რისკის შემცირებასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირზე, საკვების დაცვაზე, ნათესებისა და ნარგავების დივერსიფიკაციაზე, კლიმატის ცვლილებებზე და ა.შ. საჭიროებს გაუმჯობესებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუნიციპალიტეტის დონეზე გადაწყვეტილებების მიმღები პირების გათვითცნობიერებას, რადგანაც, როგორც ამბობენ, მუნიციპალიტეტებში ცოდნის დონე დედაქალაქთან შედარებით გაცილებით უფრო დაბალია.

### HFA3: რეკომენდაციები

1. გაძლიერდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაძლებლობები კატასტროფის რისკის შემცირებისა და კატასტროფისთვის მზადების სასწავლო პროგრამების განხორციელების რეგულარული მონიტორინგისთვის და ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდეს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში მასწავლებლების მომზადება.
2. მოხდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შესაძლებლობების განვითარება, რათა მან შეძლოს საფრთხეების შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერების მხარდაჭერა, შესაბამისი სპეციალისტებისა და სამიზნე ჯგუფების ტრენინგი/გადამზადება (საჯარო მოსამსახურეები, მათ შორის მოსამართლეები, ჟურნალისტები, ბიზნესსფეროების წარმომადგენლები და ა.შ.), ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მხარდაჭერა.
3. მოხდეს კატასტროფის რისკის შემცირების საკითხების ინტეგრირება საქართველოში არსებულ სკოლამდელი განათლების სასწავლო პროგრამაში და გაკონტროლდეს მისი განხორციელება.
4. კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები შევიდეს მასწავლებელთა და სკოლამდელი განათლების აღმზრდელთა მოსამზადებელ სწავლებაში; რეგიონებში, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე სკოლის დირექტორებსა და სასწავლო დაწესებულების მართვაზე პასუხისმგებელ ტექნიკურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ადგილზე ჩაუტარდეთ კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებზე სწავლება.
5. გაძლიერდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაძლებლობები ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულარული ღონისძიებებისა და საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზების კუთხით, რათა მოხდეს კატასტროფის რისკის შემცირების სფეროში არსებული წარმატებული მეთოდების, საშუალებებისა და მასალების გაცვლა და გავრცელება.
6. მოხდეს კატასტროფის რისკის შემცირება/მართვისა და კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების და/ან მოდულების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ხარისხისთვის) შექმნის შესაძლებლობების განხილვა, განსაკუთრებით ერთნაირი პროგრამების მქონე სხვადასხვა უნივერსიტეტის გამოცდილების შეჯერებით.
7. სხვადასხვა ტექნიკურ სასწავლებელთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით სახელმწიფო მოხელეებისთვის, ხელისუფლების ყველა დონეზე, შემუშავდეს განვითარებისა და პროფესიული რეგულარული სწავლების პროგრამები. დაიგეგმოს და ჩატარდეს სხვადასხვა სასწავლო პროგრამები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, სადაც ყურადღება გამახვილდება კატასტროფის რისკის შემცირების პროცესებში ქალთა მონაწილეობაზე.

8. მედიასთან თანამშრომლობით შემუშავდეს და განხორციელდეს საზოგადოების რისკებისა და საფრთხეების შესახებ ინფორმირების სისტემატური კამპანიები სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებულ პირთა და განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით; აქვე იგულისხმება „საერთაშორისო დღეების“ აღნიშვნაც (მაგ.:კატასტროფის შემცირების საერთაშორისო დღე, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე და სხვ.). კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები შევიდეს გარემოს მდგრადობისა და დაცვის, კლიმატის ცვლილებების, წყლის რესურსების მართვის, და ა.შ. სააგიტაციო კამპანიებში და გამოიყოს დაფინანსება მცირემასშტაბიანი არასტრუქტურული შემარბილებელი ღონისძიებებისთვის.
9. დახმარება გაეწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას საზოგადოებისთვის სამიზნე ინფორმაციის, მათ შორის ადრეული გაფრთხილებისა და ინფორმაციის მიწოდებისა და თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებაში, ამასთან უზრუნველყოფილი იყოს მედიაში რისკების შემცირებისა და მზადების საკითხების სათანადოდ გაშუქება.
10. წახალისდეს ახალგაზრდობის მონაწილეობა კატასტროფის რისკის შემცირების ინიციატივებში, სკოლებში არსებული არაფორმალური ახალგაზრდული ჯგუფებისა და ქსელების შესაძლებლობების განვითარებით. მოხდეს მითითებების მიცემა, თუ როგორ შეიძლება კატასტროფის რისკის შემცირების ინტეგრირება საკუთარ საქმიანობაში (აქ შედის დამატებითი სასწავლო პროგრამები/აქტივობები, ოჯახებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვა, ადგილობრივი და რეგიონული ბანაკების მოწყობა და ა.შ.); მოხდეს ბავშვზე ორიენტირებული კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებების გატარება და სკოლებსა და საზოგადოებაში ამ კუთხით ბავშვების აზრის გათვალისწინება.

#### HFA4. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 4: რისკის განმსაზღვრელი ფაქტორების შემცირება

საქართველოში ძირითადი რისკის განმსაზღვრელი ფაქტორების შემცირებას და საზოგადოების მოქნილობის განვითარებას ბევრი სექტორული წესი, პროგრამა და პროექტი უწყობს ხელს არაპირდაპირ, განსაკუთრებით გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და ბუნებრივი რესურსების მართვის და სხვა სფეროებში. სექტორული პოლიტიკის ჩარჩოპროგრამებში კატასტროფის რისკის შემცირება არ არის მკაფიოდ ინტეგრირებული ან მოხსენიებული და მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი და განსხვავებული პროგრამის მიზანი იყო კონკრეტულად რისკების შემცირების ღონისძიებები. რისკების შემცირების ხელშეწყობ პროგრამებში მონაწილე სხვადასხვა დაწესებულებასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის დარგთაშორისი კოორდინაცია ყოველთვის ეფექტიანი არ არის, არ არსებობს სათანადო დონეზე განსაზღვრული ინსტიტუციური და ინდივიდუალური ფუნქციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. სხვადასხვა სამინისტროს, ტექნიკურ სააგენტოს და სხვა ეროვნულ დაინტერესებულ მხარეს შორის კოორდინაციის და თანამშრომლობის არარსებობის გამო ჩნდება სხვადასხვა წესის დუბლირების საშიშროება, რაც შემდეგ იქცევა არაორგანიზებულად განხორციელებულ და გაკონტროლებულ პროექტებად და პროგრამებად.

ძირითად რისკფაქტორებში ყველაზე პრობლემური საკითხი არის მიწათსარგებლობის დაგეგმვის პრაქტიკის, განსაკუთრებით კი, ურბანული დაგეგმარების სათანადო მართვა, რეგულირება და კონტროლი. 2009 წელს მოხდა დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის გადახედვა; თუმცა, ამ დროს საფუძვლად არ გამოუყენებიათ რისკების რუკაზე დატანისა და გეოლოგიური და ჰიდროლოგიური მახასიათებლების შეფასება, რასაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ურბანიზაციის პროცესში. საბჭოთა ეპოქიდან გადმოყოლილი სამშენებლო კოდექსები და მარეგულირებელი ნორმები კვლავ მოქმედებს საქართველოში. 2013 წელს მთავრობამ მიიღო განკარგულება, რომლითაც აღიარებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD)- ქვეყნებში მიღებულ ტექნიკურ ნორმებს. ასეა თუ ისე, მთავრობა განაგრძობს მუშაობას ერთიანი ეროვნული სამშენებლო ნორმების შემუშავების მიმართულებით, მათ შორის აღმასრულებელი, მონიტორინგის და კონტროლის მექანიზმების დანერგვაზე.

სივრცითი დაგეგმარების პროცესი დეცენტრალიზებულია: ცენტრალურ ხელისუფლებას ევალება ქვეყნის მასშტაბით სივრცითი ტერიტორიული გეგმების შემუშავება, მუნიციპალიტეტების ვალდებულებებში კი შედის საკუთარი სივრცულ-ტერიტორიული გეგმების შემუშავება. მუნიციპალიტეტები სამშენებლო ნებართვებს გასცემენ სავალდებულო გეოლოგიურ, სეისმურ, გეომორფოლოგიურ და სხვა სახის კვლევებზე დაყრდნობით. ამ კვლევების ჩატარება შეუძლიათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კომპანიებს, რისი შედეგაცაა სახიფათო მშენებლობები და აღდგენითი სამუშაოების აუცილებლობა.

კვლევამ დაადგინა, რომ როგორც დედაქალაქის, ისე მუნიციპალურ დონეზე (მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში) თანამედროვე და ერთიანი ეროვნული მიწათსარგებლობისა და სივრცითი დაგეგმვის წესების, კანონებისა და ნორმების არარსებობას ერთვის არასათანადო ადამიანური და ტექნიკური რესურსები და არასათანადო დაფინანსება.

## 1. კლიმატის ცვლილება და გარემოს მდგრადობა

გაეროს კლიმატის ცვლილების კონვენციის მეორე ეროვნული შეტყობინების თანახმად, საქართველოში ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა მზარდი ტენდენცია როგორც ჰაერის საშუალო წლიურ ტემპერატურაში, ისე წლიურ ნალექიანობაში. ტემპერატურისა და ნალექიანობის მაჩვენებელი დასავლეთ საქართველოში მერყეობს 0,2-0,4°C და 8-13% შორის მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში შესაბამისი მაჩვენებლები არის 0,6°C და 6%. საქართველოს სანაპირო ზოლზე ზემოქმედებს სხვადასხვა გეოფიზიკური პროცესი (ტექტონური ბიძგები, ზღვის დონის მატება, მოქცევითი ტალღები, წყალდიდობა, წყალქვეშა დინებები, მდინარეების სედიმენტაცია და ა.შ.), რომელთა ნაწილსაც აძლიერებს მიმდინარე კლიმატური ცვლილებები.

კლიმატის ცვლილების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტში (2009), რომელიც შეიქმნა კლიმატის მეორე ეროვნული შეტყობინების შედეგების საფუძველზე, კლიმატის ცვლილების ადაპტაცია აღიარებულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად. კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ეროვნული გეგმა დამუშავების პროცესშია და მოხდება მისი გაერთიანება გაეროს კლიმატის ცვლილების კონვენციის მესამე ეროვნული შეტყობინების (UNFCCC) ადაპტაციის სტრატეგიასთან (რომელიც 2011 წლიდან მიმდინარეობს). დეცენტრალიზებულ დონეზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კლიმატური ცვლილების სტრატეგია მომზადდა მესამე ეროვნული შეტყობინების ჩარჩოპროგრამის ფარგლებში.

მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის პროგრამაში ასევე ჩართულია ინფორმაცია კლიმატის ცვლილებების ადაპტაციისა და მიტიგაციის (შერბილების) ზომების შესახებ.

რაც შეეხება კლიმატის ცვლილების მოდელირებას, მეორე ეროვნულ შეტყობინებაში ცვლილებების ელემენტების პროგნოზირებისთვის გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი: რეგიონული კლიმატური მოდელი PRECIS (გაფართოებით 25კმ x 25კმ) და სტატისტიკური პროგრამა MAGICC/SCENGEN (გაფართოებით 600კმ x 600კმ). პროცესი მიმდინარეობდა ონლაინრეჟიმში ჰედლის ცენტრიდან, ქართულმა მხარემ B2 გლობალური სოციალურ-ეკონომიკური სცენარისთვის ორი მოდელი გამოიყენა. სხვა სცენარებისთვის აზერბაიჯანსა და სომხეთში გამოყენებული იყო სხვა მოდელები, შედეგები გადაიგზავნა საქართველოში.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაში ხაზგასმულია კლიმატის ცვლილების ადაპტაციის, კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების, კვლევისა და განვითარების და კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაციის შესახებ თანამშრომლობის მექანიზმების მნიშვნელობა. თანამშრომლობის ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, მომზადდება და განხორციელდება „ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (NAPA); „დაბალი ემისიების განვითარების სტრატეგია“ (LEDS), „ეროვნულ დონეზე მისაღები შემარბილებელი ზომების“ ჩათვლით; ტექნოლოგიების საჭიროების შეფასების საფუძველზე - ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობი ღონისძიებები; ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებებისა და ფტორშემცველ სათბურის გაზებთან დაკავშირებული ღონისძიებები. საქართველომ უნდა განახორციელოს კლიმატთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის რეგულაციებთან: ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს (EC) N 842/2006 რეგულაცია ზოგიერთი ფტორირებული სათბურის გაზების შესახებ და ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს (EC) N1005/2009 რეგულაცია ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ.

ასოცირების ხელშეკრულებაში მოცემულია ევროკავშირის კანონმდებლობისა და საერთაშორისო ინსტრუმენტების ჩამონათვალი, რომელთაგანაც საქართველომ უნდა მოახდინოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია შემდეგი მიმართულებით: გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება, ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი და წყლის რესურსების, მათ შორის, საზღვაო გარემოს მართვა, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები, ქიმიური ნივთიერებების მართვა.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ახორციელებს პროგრამას „დავასუფთაოთ საქართველო“, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში ნარჩენების განკარგვის პრობლემას საზოგადოების ინფორმირების კამპანიებით, ნერგავს 3R-სისტემებს და თანამედროვე მეთოდებს, ასუფთავებს მდინარეებსა და მდინარეების ნაპირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. შემუშავდა ცხელი წერტილების ინტერაქტიული რუკები/წყლის რესურსების საკადასტრო ნახაზები. ძირითადი საფრთხეები, რაზეც მუშაობს მწვანეთა მოძრაობა, არის: წყალდიდობები, მეწყერები და ტყის ხანძრები. მოძრაობის დირექტორის ნინო ჩხობაძის თანახმად, მართალია, არსებობს მცირე პრობლემები კანონმდებლობასთან დაკავშირებით, თუმცა მთავარ სირთულეს წარმოადგენს მწირი შესაძლებლობები (კადრების ხშირი ცვლა). ასევე უნდა გაძლიერდეს კოორდინაცია და ინფორმაციის მიმოცვლა.

## 2. ბუნებრივი და წყლის რესურსების მართვა

ზოგადად, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და, განსაკუთრებით, წყლის რესურსების მართვას სისტემატურად სჭირდება რესურსები რათა მოხდეს არსებული სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განახლება, ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება და პოლიტიკისა და მიდგომების ხელახლა განსაზღვრა.

საქართველოში წყლის რესურსების მართვა რეგულირდება გარემოს დაცვითი კანონმდებლობით, კანონით წყლის შესახებ, კანონით საჯარო ჯანდაცვის შესახებ, კანონით ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვა საკანონმდებლო აქტებით (იხ. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 1).

წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის თანახმად, იცვლება წყალდიდობის ტრადიციული რაიონები და იზრდება ზომით, მოცულობითა და სიხშირით. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას არ აქვს სისტემური მიდგომა წყალდიდობის ცვალებად ხასიათსა და მასშტაბებზე რეაგირებისთვის. საჭიროა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მონაწილეობით წყლის მართვის რეგიონული მიდგომის შემუშავება, რადგანაც წყალდიდობა არ არის იზოლირებული ფენომენი. მტკვარ-არაქსის მდინარეების აუზის საქართველო-სომხეთის ერთობლივი სანაპიროს მართვის წარმატებული პროექტი მისაბამი მაგალითია.

კავკასიის რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა (RECC) შეიმუშავა კახეთის რაიონის მიწის დეგრადაციის ატლასი (მასშტაბი 1:200000). მოსალოდნელია, რომ გარემოს გლობალური ფონდი (GEF) PPRD East-თან (პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში) ერთად

ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს მსგავსი ატლასის შემუშავებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ნიადაგის ეროზიის საკითხების მოსაგვარებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა შეიმუშავა სახელმწიფო პროგრამა, ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე მდინარის ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები.

სანაპირო ზოლის განვითარება საქართველოში არ ეფუძნება სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის (ICZM) კონცეფციას. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სანაპირო ზოლის განვითარების გენერალური გეგმა და არ ხდება სისტემატური მონიტორინგი და პროგნოზირება.

### 3. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ის გახლავთ სოფლის მოსახლეობის ფინანსური და არაფინანსური შემოსავლის მთავარი წყარო. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სამუშაო ძალის 52% დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში, საიდანაც 83% თვითდასაქმებულია<sup>31</sup>. საქართველოში არსებობენ ორი ტიპის ფერმერები: მცირემასშტაბიანი ან საარსებო მინიმუმის ფერმერები, რომლებიც უზარმაზარ უმრავლესობას შეადგენენ და ბაზარზე ორიენტირებულ ინვესტორებზე მომუშავე ფერმერები. მაშინ, როდესაც მსხვილ ფერმერებს აქვთ სათანადო რესურსები, გამოცდილება და შესაძლებლობა დაიცვან თავი სხვადასხვა რისკისგან, წვრილი ფერმერები შეზღუდული ცოდნისა და შესაძლებლობების გამო უფრო ადვილად ზიანდებიან ბუნებრივი კატასტროფებისა და ცხოველების დაავადებების გამო. 2013 წ. სოფლის მეურნეობის სექტორმა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9,3% შეადგინა.<sup>32</sup> სექტორი ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით, მაღალი სეგმენტაციითა და ფინანსების არქონით, ცუდად განვითარებული ფასეულობათა ჯაჭვით და სურსათის უვნებლობის პრობლემებით. საქართველოს არასათანადო სარწყავი სისტემა დამატებითი სისუსტეა სოფლის მეურნეობის სფეროში. არსებული საირიგაციო სისტემა საჭიროებს რეგულარულ შეკეთებას და სისტემის სწორ მართვას.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ის უწყებაა, რომელსაც ევალება სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კონტროლი. სამინისტროს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამინისტროს ადგილობრვ ტერიტორიულ უწყებებში, უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ფერმერების სპეციალიზებულ მომსახურებას. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ასევე კრებენ ინფორმაციას ადგილობრივ დონეზე სოფლის მეურნეობისა და სასოფლო ღონისძიებებზე.

USAID-ის მხარდაჭერით სამინისტროში ახალ ტექნოლოგიების დასაუფლებლად მიმდინარეობს თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარების პროგრამები.

2014 წ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩამოაყალიბა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელმაც გრძელვადიანი პროგნოზები უნდა გააკეთოს ნათესების დივერსიფიკაციის, კლიმატის ცვლილებების, გაუდაბნოებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ცენტრს საქართველოს 3 რეგიონში 121 თანამშრომელი ეყოლება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-93 05.05.2014 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია "ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამა", რაც ასევე ემსახურება ნიადაგის ხარისხობრივი გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებას.

შპს საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია უზრუნველყოფს სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების ფუნქციონირებას, მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესების და სასურსათო უსაფრთხოების მიზნით. გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის 2030 წლისათვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები მოიცავს: კლიმატის ცვლილების გავლენის შემცირებას ძველი წყალსაცავების რეაბილიტაციისა და ახალის მშენებლობის მეშვეობით, რაც ზაფხულში წყალნაკლებობის დროს სარწყავი წყლის მარაგების არსებობის საშუალებას იძლევა; გაუდაბნობის წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელება ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მიზნით; წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის რაც მოიცავს ასევე წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვას, მათ შორის ტრანსპარენტობის თანამშრომლობას; სასურსათო უსაფრთხოების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა და ინოვაციის წახალისება.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გააუმჯობესა სასურსათო უსაფრთხოება, სათანადო წესებისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით. ამის მიღწევა მოხერხდა სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემუშავების, გაანალიზების, გადაცემისა და ფართოდ გავრცელების შესაძლებლობების წესებად და პროგრამებად გარდაქმნით. 2013 წ. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება“ განხორციელება. პროექტის მიზანია გაუმჯობესდეს საქართველოში აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობა და სოფლად შემცირდეს სიღარიბის დონე.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კიდევ ერთი პროგრამა კონცენტრირებული იყო სასურსათო უსაფრთხოებისა და საქართველოს იძულებით გადაადგილებული პირების საარსებო საშუალებების გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით - საკვების წარმოების და იძულებით გადაადგილებული პირების შემოსავლის გამომუშავების გაზრდაზე სოფლის მეურნეობაში ხარჯების განაწილებით.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში თანამშრომლობა განსაზღვრულია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაში. კერძოდ, მხარეებს შორის თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის საკითხებზე ურთიერთგაგების ხელშეწყობას; ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პოლიტიკის დაგეგმვა, შეფასება, განხორციელება და ცხოვრებაში გატარება, ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; სოფლის განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას; სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შორის ინფორმაციის გავრცელებასა და

ფერმერთა მომსახურების ცენტრების განვითარების ხელშეწყობას; საკითხების ჰარმონიზაციისაკენ სწრაფვას საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რომლის წევრიც ორივე მხარეა და სხვა.

საქართველოში ფერმერებს ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიები აგროდაზღვევას 1996 წლიდან სთავაზობენ. თუმცა, დაბალმა სადაზღვევო კულტურამ, აგრო-ბიზნეს კომპანიებში დაბალი რისკის მართვის სტანდარტებმა, სტატისტიკური ინფორმაციის სიმწირემ და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის არარსებობამ უარყოფითი გავლენა იქონია აგროდაზღვევის სფეროს განვითარებასა და ზოგადად, სოფლის მეურნეობის სექტორზე.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გლეხები და ფერმერები შეძლებენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაზღვევას – დაზღვევა შეეხება ისეთ სტიქიებს, როგორცაა სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა. პროგრამის ფარგლებში დააზღვევენ მხოლოდ ისეთ ნაკვეთებს, რომლებზეც წარდგენილია საკადასტრო კოდი, აზომვითი ნახაზი ან GPS კოორდინატები.

პირველ ეტაპზე აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა იმუშავებს საპილოტე სქემით, რომელიც, პირველ წელს დააფინანსებს ფერმერთა სადაზღვევო პრემიუმის ნაწილს (სადაზღვევო პაკეტის ღირებულების 70%-დან 95%-მდე სახელმწიფო გადაიხდის), დანარჩენს კი დაფარავს ფერმერი. ამ ექსპერიმენტული პროგრამის შედეგებმა უნდა მისცეს შესაძლებლობა მთავრობა შექმნას ეროვნული აგროდაზღვევის საკანონმდებლო ბაზა.

#### **4. მიწათსარგებლობა და ურბანული დაგეგმარება**

ურბანული დაგეგმარების პროცესი დეცენტრალიზებულია. ცენტრალურ ხელისუფლებას ევალება ქვეყნის მასშტაბით სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო სფეროში პოლიტიკის შემუშავება, გატარება, კოორდინაცია, მართვა და მონიტორინგის განხორციელება.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს ევალება დედაქალაქის განვითარების გეგმების შემუშავება, კვლევის ჩატარება და მშენებლობის ნებართვების გაცემა ქალაქის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისათვის. დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა<sup>33</sup> 1974 წლის შემდეგ პირველად 2009 წელს განახლდა და დაეფუძნა არსებულ ინფორმაციას, არსებული გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ მახასიათებლებს, ძირითადად მცირე მიწისზედა და მიწისქვეშა მდინარეებთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინების გარეშე, თუმცა ამას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ურბანიზაციის პროცესში. 2010-2012 წწ. ილიას უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრმა შეიმუშავა თბილისის სეისმოტექტონური მოდელი და ამ პროცესის დასრულების შემდეგ თბილისის არქიტექტურის სამსახური გეგმავს დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის სათანადოდ განახლებას.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლების თანახმად, ამჟამად დედაქალაქის განვითარების გენერალურ გეგმას ძირითადად აკლია ენდოგენური და ეგზოგენური (ზედაპირული) ფაქტორების სწორი ანალიზი. სახიფათო ზონების განსაზღვრა არ არის თბილისის არქიტექტურის სამსახურის პირდაპირი მოვალეობა. თუმცა, თბილისის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებმა ჩაატარეს დეტალური კვლევა, სადაც აღწერეს თბილისის მდინარეების ქსელი და მისი გავლენა ურბანიზაციის მაფორმირებელ

პროცესებზე. დედაქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაში ჰიდროლოგიური საფრთხეების რუკის ინტეგრირების შემდეგ აღმოჩნდა, რომ გარკვეული საცხოვრებელი რაიონები აშენებულია სახიფათო ზონებში. ამჟამად არ არის სათანადო რესურსები გამოყოფილი ამ დასახლებული ზონების დეტალური აღწერისა და, საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, მოსახლეობის სხვა ადგილას გადასახლებისთვის. ახლა თბილისში დაგეგმილ საჯარო და კერძო მშენებლობებზე ნებართვების გაცემისას უკვე ხდება ჰიდროლოგიური საფრთხეების რუკის გათვალისწინება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების შესახებ“ შესულია ურბანული განვითარებისა და მშენებლობის პარამეტრები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დასახლებულ პუნქტებში სამშენებლო ნებართვების გაცემისას.

საქართველოში არ არსებობს სამშენებლო კოდექსი. 2013 წ. მთავრობამ მიიღო დირექტივა, რომელიც OECD-ის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური ნორმების საქართველოში გამოყენების საშუალებას იძლევა. ამრიგად, თუ სამშენებლო პროექტი შეესაბამება ამ ქვეყნებიდან რომელიმეს სამშენებლო ნორმებს, სამშენებლო ნებართვის გაცემა შესაძლებელია. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელსაც 2014 წ. 27 ივნისს მოეწერა ხელი, მოითხოვს მიწათსარგებლობის სტანდარტების ევროპის სტანდარტიზაციის ბიუროს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ არსებობს ახალი სამთავრობო უწყების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

სამშენებლო ნებართვებს გასცემენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, რომლებიც ასევე ატარებენ მონიტორინგს. შეფასების ჯგუფების მიერ მონახულეზულ რამდენიმე მუნიციპალიტეტში გამოვლინდა მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური უნარებისა და პროფესიონალიზმის დეფიციტი. სისტემატიზებული მონიტორინგისა და კონტროლის არარსებობის ფონზე ხშირია უკანონო მშენებლობები და განახლება/რეკონსტრუქციები. სამშენებლო ნებართვები ემყარება გეოლოგიურ, სეისმოლოგიურ, გეომორფოლოგიურ და სხვა სახის კვლევებს. მშენებლობის ნებართვის აღების ვალდებულებას ექვემდებარება დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის ფაქტორის მქონე შენობა-ნაგებობის მშენებლობა (II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობი). ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. IV და V კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობის დროს და შემდეგ ხორციელდება ტექნიკური ექსპერტიზა რაც მოიცავს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ექსპერტიზასაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (V კლასი) მშენებლობის ნებართვის გასცემს და აკონტროლებს სანებართვო პირობების შესრულებას და იღებს ექსპლოატაციაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო. სააგენტო ასევე ახორციელებს ტექნიკურ ინსპექტირებას მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ელექტრონული საკადასტრო სისტემა თავს უყრის ინფორმაციას რეგიონების მიხედვით მიწის ნაკვეთებისა და საკუთრებების შესახებ, თუმცა არ არის მონაცემები ნიადაგების ტიპების, სიმაღლეების და საფრთხეების შესახებ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) ჩამოყალიბებაზე, რაც ევროკავშირის მოთხოვნაა (ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივა INSPIRE-2007/2/EC), რომელსაც ის წევრ ქვეყნებს უყენებს. INSPIRE დირექტივა ითვალისწინებს გეოინფორმაციული სფეროს, საკანონმდებლო ბაზისა და ადმინისტრაციული საკითხების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. NSDI იძლევა გეოსივრცითი ინფორმაციის ეფექტურად გამოყენებისა და გაზიარების საშუალებას, რაც გაამარტივებს და ეფექტურს გახდის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ლოჯისტიკის, მათ შორის საგანგებო სიტუაციების მართვის რეგულირებას.

## **5. ტექნოგენური საფრთხეები და საფრთხის შემცველი ღონისძიებების იდენტიფიცირება**

ინდუსტრიული ნაგებობები, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც აწარმოებენ და ამუშავებენ ნავთობპროდუქტებს, ქიმიურ, პლასტიკატის, მინერალურ და სამშენებლო მასალებს, მეტალურგიულ და სამთო-მოპოვებით პროდუქციას, საფრთხეს წარმოადგენენ უბედური შემთხვევებისა თუ გაჟონვების დროს. გარკვეული რაოდენობის საწარმოები, სადაც იწარმოებოდა ან გამოიყენებოდა ნავთობპროდუქტები და სხვადასხვა ქიმიური მასალები, მიტოვებულია, რადგან ადგილზე ან საერთოდ არ არსებობდა ან შეზღუდული იყო უსაფრთხოების ზომები. საწარმოო ნარჩენები ხშირად ქარხნების ტერიტორიაზე ინახება შესაბამისი კონტროლისა და მეთვალყურეობის გარეშე. ამ ტერიტორიებიდან დაბინძურების საფრთხე არსებობს, რაც შესაძლოა გაიზარდოს სტიქიური მოვლენებისა და ანთროპოგენური საქმიანობების შედეგად.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მუშაობს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის - “ინდუსტრიული უბედური შემთხვევების ტრანსსასაზღვრო ეფექტები” - რატიფიცირებაზე/მიერთებაზე. ამ კონვენციის რატიფიცირება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას ეროვნულ დონეზე დანერგოს საწარმოო უბედური შემთხვევების პრევენციის თანამედროვე მეთოდოლოგიები და გაზარდოს თანამშრომლობა საწარმოო უბედური შემთხვევების ტრანსსასაზღვრო შედეგებთან დაკავშირებით.<sup>34</sup>

## **6. ჯანდაცვა**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კოორდინირებას უწევს დაავადებათა პრევენციასა და გარემო ფაქტორების საზიანო ზემოქმედებისგან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, ამასთან გარკვეული ფუნქციები აკისრია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს. ამ ცენტრს ევლება საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საგანგებო შემთხვევების აღმოჩენა-დადგენა და ეპიდაფეთქებების პრევენციის და/ან მართვის მიზნით სხვადასხვა უწყებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (IHR) თანახმად კი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საერთაშორისო

მნიშვნელობის საგანგებო მდგომარეობის აღმოჩენისას ვალდებულია დროულად მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებს.<sup>35</sup>

ცენტრს აქვს დაავადებების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა, რომელიც 64 მუნიციპალიტეტს მოიცავს და ახორციელებს 74 დაავადებაზე ეპიდზედამხედველობას. ცენტრი უშუალოდ არ მუშაობს თემების დონეზე, თუმცა თემში არსებული სამედიცინო სამსახურების პერსონალს ტრენინგებს უტარებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ჯანდაცვის საკითხების პოპულარიზაცია, დაავადებების ზედამხედველობა და იმუნიზაცია, მონიტორინგი, ჰიგიენური სტანდარტები და საგანგებო ეპიდემიოლოგიური სიტუაციებისათვის მზადება. ჰიგიენურ და ჯანდაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება. დაავადებათა კონტროლის ცენტრი მონაწილეობს ჰიგიენური ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებაში და მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევს სხვადასხვა უწყების სამედიცინო სამსახურებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარებული პროგრამის - „უსაფრთხო საავადმყოფოების“ - ფარგლებში სახელმწიფო ექსპერტების ჯგუფმა შეაფასა კატასტროფის საშიშროების რაიონებში არსებული 17 საავადმყოფოს არასტრუქტურული და ფუნქციური უსაფრთხოება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიეცა რეკომენდაციები, რამაც გარკვეული წინსვლა განაპირობა. შემოწმებული საავადმყოფოების უმრავლესობა მოგვიანებით დაიხურა და ხელახლა აშენდა ექსპერტების ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. გასული ხუთი წლის განმავლობაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩატარდა გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მომზადება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს სამინისტროს სისტემის და ჯანდაცვის სფეროს შესაბამისი ძალებისა და საშუალებების მობილიზებას, საგანგებო სიტუაციების შემთხვევებში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით. დამტკიცებულია „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დარგობრივი რეაგირების გეგმა“, რომელიც მოიცავს ბუნებრივი, ტექნოგენური და სხვა სახის საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის და რეაგირების ღონისძიებებს. აღნიშნული გეგმის განახლება ხდება ორ წელიწადში ერთხელ.

საგანგებო სიტუაციებში ჯანდაცვაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტეტული მიმართულება 5.

## 7. სოციალური დაცვა

სოციალური მომსახურების სააგენტო ატარებს მთელ რიგ სახელმწიფო სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს, რომელთა მიზანია საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველი ჯგუფებისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. სააგენტო არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება,

ჯანმრთელობის დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ზრუნვა და მეურვეობა.

კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული ინდიკატორების გათვალისწინება არ ხდება დაუცველობის შეფასებისას და დახმარების სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გაცემისას (მაგ.: ოჯახები, რომელიც ღარიბებიც არიან და იმავდროულად ცხოვრობენ განსაკუთრებით მაღალი საფრთხის რაიონებში, არ იღებენ არანაირ დამატებით დახმარებას, გარდა სოციალური დახმარებისა).

სახალხო დამცველის სამსახურის საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ 2012 წლის ანგარიშის თანახმად, სკოლა-ინტერნატების თანამშრომლები და ბენეფიციარები არ ფლობენ პრაქტიკულად არანაირ ინფორმაციას კატასტროფით გამოწვეული საფრთხეების და კატასტროფის რისკის პრევენციისა და შემცირების ზომების შესახებ. დაწესებულებების უმრავლესობას არ აქვს ევაკუაციის გეგმა ან მათი ევაკუაციის გეგმები მოძველებულია. თანამშრომლებსა და ბენეფიციარებს არასდროს გაუვლიათ თეორიული და/ან პრაქტიკული მომზადება ამ საკითხებში. თანამშრომლების უმრავლესობა ვერ ასხვავებს ხანძრის და მიწისძვრის შემთხვევაში მისაღებ ზომებს. თანამშრომლებმა არ იციან, თუ როგორ ან რა საშუალებებით უნდა გააფრთხილონ ბენეფიციარები (ადამიანები მხედველობის დარღვევით, ეტლით ან სხვა დამხმარე საშუალებებით გადაადგილებული პირები, სმენის პრობლემების მქონე პირები, შეზღუდული გადაადგილების ან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები) კატასტროფის შემთხვევაში, თუ როგორ, რა პროცედურების დაცვით, თანმიმდევრობით ან საშუალებით უნდა მოხდეს მათი ევაკუაცია შენობიდან. დაწესებულებების უმრავლესობა (ექვსიდან ოთხი სკოლა-ინტერნატი) არ არის აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით.<sup>36</sup> მსგავსი მდგომარეობა გამოვლინდა 2013 წელს სახალხო დამცველის ოფისის მიერ ჩატარებული ჩვილ ბავშვთა სახლების<sup>37</sup> მონიტორინგის შედეგადაც.<sup>38</sup>

## HFA4: რეკომენდაციები

1. გადაიხედოს დარგობრივი განვითარების გეგმები და პროგრამები (სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების მართვა, წყლის რესურსების მართვა, სანაპირო ზოლის მართვა და სხვ.), რათა განისაზღვროს მათი როლი რისკფაქტორების შემცირებაში და მათი განხორციელების დონე. შეძლებისდაგვარად ისე განხორციელდეს პროგრამების გარდაქმნა, რომ უფრო კარგად მოხდეს რისკ-ფაქტორების შემცირება.
2. სავალდებულო გახდეს კატასტროფის რისკის შემცირებისა და გარემოზე ზემოქმედების საკითხების გათვალისწინება სივრცითი და ურბანული დაგეგმარების გეგმების დამტკიცებამდე; კატასტროფის რისკის შემცირების საკითხები ჩართულ იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებებში; კატასტროფის პრევენციისა და შემცირების ზომები შევიდეს ლიცენზირებაში.
3. გაეწიოს ტექნიკური მხარდაჭერა სექტორული გეგმების შემდგენელებს, რომ დაგეგმვის პროცესში ჩართონ კატასტროფის რისკის შემცირების ელემენტები და სხვადასხვა წამყვანი სამინისტროსა და ტექნიკური სააგენტოს ტექნიკური პერსონალისთვის შემუშავებულ იქნას კატასტროფის რისკის შემცირების, როგორც განვითარებისა და სექტორული დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტის, რეგულარული სასწავლო პროგრამები.
4. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების პროგრამა ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და თემებისთვის, რომელიც გააცნობს მათ კატასტროფის რისკებსა და დაუცველ ჯგუფებზე (მაგ.: იძულებით გადაადგილებული პირებზე) ამ რისკების ზემოქმედების შედეგებს, რაც ასევე გააძლიერებს მათ შესაძლებლობებს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი რისკის შემცირების გეგმების შედგენის პროცესში.
5. უზრუნველყოფილ იქნას კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის დაკავშირება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნულ პოლიტიკასთან, სტრატეგიებთან და სამოქმედო გეგმასთან. მოხდეს ქვეყანაში კლიმატის ცვლილებისა და რისკების შემცირების ღონისძიებების უკეთესი კოორდინირება, კონსოლიდირება და ანგარიშგება, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.
6. უზრუნველყოფილ იქნეს უფრო მჭიდრო კავშირი წყლის რესურსების მართვის პროგრამებთან და ზოგადად განვითარების დაგეგმვასთან.
7. შემუშავდეს და რეგულარულად განახლდეს მდინარეების ჭალების მართვის პოლიტიკა, წყალდიდობის რისკის მართვის გეგმები (მაგ.: არსებულ საპილოტე პროექტებზე დაყრდნობით, როგორცაა მდინარე რიონის აუზის პროექტი); გაძლიერდეს და შეკეთდეს წყალდიდობის შემამსუბუქებელი ინფრასტრუქტურა იმ რაიონებში, სადაც დიდია განმეორებითი წყალდიდობისა და წყალმოვარდნის რისკი.
8. დაინერგოს კონკრეტულ კატასტროფებზე გათვლილი მოქმედი და ერთიანი სამშენებლო ნორმები და ლიცენზიების გაცემის პროცედურები და გაეცნოს დარგობრივ

სამინისტროებს, რეგონულ და მუნიციპალურ ორგანოებს (მაგ.: ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად). გაკონტროლდეს, რომ სამშენებლო ნებართვებზე პასუხისმგებელ ორგანოებს ჰქონდეთ საჭირო ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად, თავისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფარგლებში სამშენებლო ღონისძიებების სათანადო მონიტორინგისა და კონტროლის განსახორციელებლად.

9. ჩატარდეს კრიტიკული შენობების, მათ შორის სკოლების, საავადმყოფოების და სხვა საჯარო შენობების სტრუქტურული უსაფრთხოებისა და ტექნიკური მდგომარეობის დეტალური კვლევა, განისაზღვროს საჭირო გამაგრების ზომები და დაინერგოს რეგულარული მონიტორინგის კანონიერი ვალდებულება.
10. მხარი დაეჭიროს კატასტროფის რისკის მართვის სასკოლო მოდელის შემუშავებას და დანერგვას, სხვადასხვა კატასტროფის გამძლე მდგრადი სამშენებლო კოდექსებისა და სტანდარტების შემუშავებასა და გამოყენებას სკოლების მშენებლობის/რეკონსტრუქციისთვის არსებული სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე დაინერგოს სტანდარტებთან თავსებადობის მაკონტროლებელი მექანიზმები; უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო სასკოლო გარემო, აქვე იგულისხმება სასწავლო დაწესებულებისთვის შესაბამისი ადგილმდებარეობის შერჩევა და მისი აშენება, ქვეყნის მასშტაბით სკოლის უსაფრთხოების კვლევების ჩატარება და სკოლის უსაფრთხოების ინდიკატორების შეტანა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS).
11. დახმარება გაეწიოს წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და ნორმების შემუშავებას სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში და გაუმჯობესდეს წყლის მიწოდება და სანიტარიული ინფრასტრუქტურა სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში, განსაკუთრებით, სოფლებსა და მთიან რეგიონებში.
12. გაიზარდოს კერძო სექტორის (მათ შორის სადაზღვევო კომპანიების) მონაწილეობა კატასტროფის და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების შემცირების ღონისძიებებში და ხელი შეეწყოს საჯარო/კერძო პარტნიორობას.

## HFA5. ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის პრიორიტერული მიმართულება 5: კატასტროფისთვის მზადყოფნა ყველა დონეზე ეფექტური რეაგირებისთვის

### 1. სახელმწიფოს როლი

კატასტროფის რისკის მართვის სისტემის ანალიზმა ზოგადად აჩვენა, რომ ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოს სხვა პრიორიტეტულ სფეროებთან შედარებით ყველაზე განვითარებულია მზადებისა და რეაგირების დანერგვა და მართვა. კატასტროფის რეაგირების სისტემა ემყარება მრავალ კანონსა და რეგულაციას და მას საფუძვლად უდევს ცენტრალურ, მუნიციპალიტეტის და ადგილობრივ დონეებზე დეცენტრალიზებული ინსტიტუციური ჩარჩო. ხელისუფლებამ ძალისხმევა დახარჯა რეაგირების სტრუქტურებისა და პერსონალის შესაძლებლობების განვითარებაზე, მათ შორის, საგანგებო რეაგირების მართვის ერთეულებში არსებული ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მხარდაჭერასა და განახლებაზე (პროფესიული სწავლება, აღჭურვილობა, საგანგებო მარაგები, თავშესაფარი, ტრანსპორტი და საკომუნიკაციო საშუალებები), ასევე რეაგირების მართვის და კოორდინირების პროცედურების სრულყოფასა და გამოყენებაზე.

შეფასებაში განსაზღვრულია სახელმწიფო მზადყოფნისა და რეაგირების არაერთი გამოწვევა, კერძოდ: მიმდინარე რისკების გათვალისწინებით ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი რეაგირების რეგულარული განახლების კარგი მექანიზმისა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების არარსებობა; ინფორმაციის მენეჯმენტის და კრიზისის კომუნიკაციის არასათანადო შესაძლებლობები; სხვადასხვა რისკვაქტორების შესახებ წინასწარი გაფრთხილების სისტემების არქონა. საგანგებო რეაგირების სისტემის დეცენტრალიზება აფერხებს ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურებს შორის მარტივ კომუნიკაციას. ფინანსური დეცენტრალიზება - სხვადასხვა დონის სტრუქტურები დაფინანსების სხვადასხვა წყაროებზეა დამოკიდებული, ხოლო ადგილობრივი მომსახურების დიდი ნაწილი დამოკიდებულია ადგილობრივი ბიუჯეტის შეზღუდულ სახსრებზე, რაც ასევე ართულებს მდგომარეობას.

შეფასებამ აგრეთვე აჩვენა, რომ ძალზე შეზღუდულია ინფორმირება, რეაბილიტაციის დაგეგმვა კატასტროფის წინ და რეაბილიტაციის შესაძლებლობები კატასტროფის შემდგომ. ქვეყანაში არ გამოიყენება კატასტროფის შემდგომი საჭიროების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია, ამის ნაცვლად არსებობს ერთგვარი აღწერის მეთოდი, რომელიც არასისტემურ დაკვირვებას ემყარება, მაგ., დაზიანებული სტრუქტურების (ძირითადად საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის) განსაზღვრა.

### 2. კატასტროფისთვის მზადყოფნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესახებ არსებული კანონმდებლობა

რიგი კანონები, სამთავრობო გადაწყვეტილებები და სხვა ნორმატიული აქტები შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის კატასტროფისათვის მზადებისა და მასზე რეაგირების ფუნქციების იურიდიულ ბაზას ქმნიან.

**კატასტროფის მართვასთან** დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, რამდენიმე კანონითა და განკარგულებით, ბრძანებებით და დებულებებით, რომლებიც 1993-2014 წლებშია მიღებული, მაგალითად:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ კანონი (რომელიც გაუქმდა 2014 წ. 12 ივნისის ამოქმედებული კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საფუძველზე);
- პრეზიდენტის ბრძანებულება ბუნებრივ და ტექნოგენურ საგანგებო სიტუაციაზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- პრემიერ-მინისტრის ბრძანებულება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შექმნის შესახებ;
- ეროვნული რეაგირების გეგმა;
- საქართველოს კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის №68 დადგენილება „საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (არეგულირებს საგანგებო სიტუაციების იდენტიფიცირებისა და კოდიფიცირების წესს პრევენციის მიზნით);
- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის № 69 დადგენილება „საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 2 სექტემბრის №707 ბრძანებულება „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ (განსაზღვრავს საქართველოში მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციებს პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით);
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანება „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“, (არეგულირებს საქართველოში მოსალოდნელი ხანძრების პრევენციის უზრუნველყოფას);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის 28/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (არეგულირებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრევენციისა და მზადყოფნის უზრუნველყოფას);
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, (არეგულირებს მომეტებული საფრთხის შემცველ სამრეწველო ობიექტებზე პრევენციისა და მზადყოფნის უზრუნველყოფას);
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე; აღნიშნული რეგლამენტი მოქმედებს 2002 წლიდან მაშინდელი მშენებლობის მინისტრის ბრძანების სახით, იგი არეგულირებს სამშენებლო პროექტირების სფეროში საგანგებო სიტუაციების სტრუქტურული პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფას;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 თებერვლის №164 დადგენილება „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ (შექმნა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული

და ბირთვული რისკების შემცირების სფეროში ეროვნული სტრატეგია, ასევე არეგულირებს ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფას).

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №38 დადგენილება „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ (აღნიშნულმა საბჭომ ჩაანაცვლა 2008 წელს შექმნილი „საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისია“, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს.
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ;
- კანონქვემდებარე აქტები: კანონი წყლის შესახებ; გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ; დაცული ტერიტორიების შესახებ; ტყის მართვის შესახებ; წიაღისეულის შესახებ; ტყის ხანძარზე რეაგირების გეგმა; ქიმიური და ბირთვული უსაფრთხოების შესახებ; გენმოდიფიცირების შესახებ; და ბიომრავალფეროვნების შესახებ;
- კანონები და კოდექსები, რომლებიც არეგულირებენ სამშენებლო საქმიანობას, სივრცით და ურბანულ დაგეგმარებას, მიწის დაცვის/აღდგენის ღონისძიებებს;
- საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოს დაცვის სააგენტოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკანონმდებლო აქტები.

ახალი კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (2014) წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში მარეგულირებელ ჩარჩოკანონს. იგი შეიმუშავეს TWINNING-ისა („საქართველოში საგანგებო სიტუაციების დროს გარემოს და მოსახლეობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მხარდაჭერა“) და PPRD East-ის („პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“) პროექტების ფარგლებში, რომლებიც განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოს ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმებთან დაახლოების მიზნით; ასევე - ევროპელი ექსპერტებისა და სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICDO) რეკომენდაციების გათვალისწინებით და წამყვანი ევროპული ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების, გამოცდილების შესწავლისა და გათვალისწინების საფუძველზე.

ახალ კანონში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებს. კანონში ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ფუნქციები და კომპეტენციები საგანგებო სიტუაციების მართვის მზადების, რეაგირების, პრევენციისა და ადრეულ ეტაპზე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისას, როგორც დაუყოვნებელი რეაგირების პროცესის ნაწილი. კანონში წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვისა და ყველა დონეზე (ცენტრალური/ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) ცენტრალიზებული დირექტივების კონტროლის ერთიანი სისტემა. კანონის თანახმად, არსებული დეპარტამენტი (შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი) გარდაიქმნება სააგენტოდ (შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო), რომელიც დაექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს. ახალ კანონში ასევე განსაზღვრულია სამომავლოდ მუნიციპალური სახანძრო ბრიგადების (რომლებიც ამჟამად

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კომპეტენციაში შედიან) ცენტრალურ დონეზე - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაქვემდებარებაში - გადასვლა. ახალ კანონში ლაპარაკია პრემიერ-მინისტრის აპარატის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოზე, როგორც უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე კრიზისების მართვაზე მთავარ პასუხისმგებელ ორგანოზე, რომელმაც სათანადო კონსულტაციები უნდა გაუწიოს პრემიერ-მინისტრს და საჭიროების შესაბამისად აამოქმედოს და მართოს კრიზისების მართვის ცენტრები (დამატებითი დეტალები იხ. ქვემოთ, მე-3 ნაწილში). თუმცა, სხვადასხვა დონეზე (ეროვნული, რეგიონული და მუნიციპალური) სახელმწიფო უწყებების განსაზღვრული როლების თანახმად, მომავალი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო კოორდინაციას გაუწევს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებს ეროვნულ დონეზე (მუხლი 13). ამავე დროს, იგი, როგორც სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო“, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას და სამოქალაქო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას (მუხლი 5. პუნქტი 8).

ახალი კანონი უდავოდ პოზიტიური ნაბიჯია მოსახლეობის უსაფრთხოებასა და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული რამდენიმე კანონის გაერთიანებისთვის, რაც, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადებისა და რეაგირების უფრო ეფექტიანი მართვის შედეგად, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა. ისეთი ასპექტების დარეგულირება კი, როგორებიცაა რისკების შემცირება, შეფასება და რისკების შემცირების ინტეგრირება სექტორული განვითარების გეგმებსა და პროგრამებში, განსაზღვრულია შესაბამისი კანონით მისაღები კანონქვემდებარე აქტებით (რომელიც ჩამოთვლილია კანონის გარდამავალ დებულებებში, მაგალითად: რისკის მართვის გეგმა, უსაფრთხოების პასპორტები და პრევენციისა და რეაგირების ღონისძიებებზე ზედამხედველობის ინსტრუქციები).

მთავრობის ოთხი დადგენილება უზრუნველყოფს კატასტროფის მართვის მოქმედებების მხარდასაჭერი ღონისძიებების კონკრეტულ აღწერას. ეს დადგენილებებია: №68 საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის შესახებ, №69 საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ, №158 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების შესახებ და №154 უსაფრთხოების დეკლარაციის შესახებ. კატასტროფის მართვაში მონაწილე სახელმწიფო და არასახელმწიფო პირების ფუნქციების და პასუხისმგებლობების განმსაზღვრელი ყველაზე ბოლო საკანონმდებლო აქტია პრეზიდენტის 2008 წლის №15 ბრძანებულება „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“. ბრძანებულებაში განსაზღვრულია კატასტროფაზე რეაგირების მართვისა და კოორდინირების 17 სფერო. იგი პასუხისმგებლობას ანიჭებს სახელმწიფო უწყებებს.

2014 წლის 13 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს დადგენილება №345 „განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების შერბილებისა (მიტიგაციის) და ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა<sup>39</sup> უფლებამოსილებით აღჭურვილ სახელმწიფო სააგენტოებს/სამინისტროებს საგანგებო სიტუაციის მართვის და კოორდინირების 17 სახის ფუნქციის იურიდიული ბაზით უზრუნველყოფს. კატასტროფაზე რეაგირების მართვის საერთო ფუნქციას საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი ასრულებს, რომელსაც, სამინისტროების, მათი დაქვემდებარებული უწყებების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთიან სისტემასთან ერთად, ცენტრალური ადგილი უკავია ცენტრალურ თუ რეგიონულ დონეზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკითხში.

2008 წლის შემდეგ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, როგორც ერთადერთ არასახელმწიფო ინსტიტუციას, ბუნებრივი სტიქიური და ტექნოგენური გადაუდებელი სიტუაციების სახელმწიფო ეროვნული გეგმის კონკრეტული ამოცანების შესრულება დაევალა (პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს 415-ე ბრძანებულების საფუძველზე). საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში გადაუდებელი სიტუაციების ზონებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახდენს გადაუდებელი სიტუაციების შედეგების ლიკვიდირების საქმიანობათა კოორდინირებას. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე ორგანიზაციას გადაუდებელ სიტუაციებში დაჭრილთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, საზოგადოება ამგვარ სიტუაციებში აწყოფს სავალდებულო საავადმყოფოს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ასევე წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამხმარე ორგანიზაციას, რომელიც ახდენს საგანგებო სიტუაციებში საკვებისა და წყლის მიწოდებას.

დანაჩენი 12 ფუნქცია გადანაწილებულია 9 სამინისტროს შორის: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (ევაკუაცია), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (ტრანსპორტირება, მშენებლობა და ინფრასტრუქტურის დაცვა), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სამედიცინო დახმარება), საგარეო საქმეთა სამინისტრო (პროტოკოლი და საერთაშორისო დახმარება), გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (ტყის ხანძრის ჩაქრობა და ქიმიური, ბიოლოგიური, ბირთვული და რადიაციული საფრთხეებისგან დაცვა), ენერგეტიკის სამინისტრო (ელექტროენერჯის მიწოდება), სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ცხოველების და მცენარეების დაცვა, წყლის და საკვების მიწოდება), კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (კულტურული მემკვიდრეობის დაცვა). შესაბამის სამინისტროებში არსებობს ზემოხსენებული ფუნქციური სფეროების შესაბამისად დაჯგუფებული რეაგირების კონკრეტული დარგობრივი გეგმები. ზოგიერთი გეგმის შინაარსი კონფიდენციალურია და მხოლოდ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის არის ხელმისაწვდომი. ასეთი გეგმები არ გააჩნია ორ სამინისტროს. გარდა ამისა, რეაგირების გეგმების შედარებისას აღმოჩნდა, რომ გეგმების შემუშავება სტრუქტურის და შინაარსის თვალსაზრისით განსხვავებულად განხორციელდა.

უახლესი პოლიტიკური და საკონსტიტუციო ცვლილებებისა და საპრეზიდენტო რესპუბლიკის საპარლამენტო რესპუბლიკით ცვლის შედეგად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა უფრო გამლიერდა და მას სრული აღმასრულებელი ძალაუფლება მიენიჭა. ეს

ცვლილება აისახა ზოგადად ქვეყნის კანონმდებლობაზე და პრეზიდენტის რიგი ფუნქციები პრემიერ-მინისტრს გადაეცა.

კატასტროფისათვის მზადყოფნის თვალსაზრისით, ასოციაციის ხელშეკრულება განსაზღვრავს კატასტროფის რისკის მართვის კუთხით თანამშრომლობის კონკრეტულ ღონისძიებებს, რაც შეიძლება მოიცავდეს საკონტაქტო დეტალების გაცვლას და რეგულარულ განახლებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დიალოგის განგრძობადობა და შესაძლებელი იყოს 24-საათიან რეჟიმში ერთმანეთთან დაკავშირება; ურთიერთდახმარების ხელშეწყობას გადაუდებელი აუცილებლობის დროს, მიზანშეწონილობის მიხედვით და საკმარისი რესურსების არსებობის გათვალისწინებით; წინასწარი გაფრთხილებებისა და განახლებული ინფორმაციის 24-საათიან რეჟიმში გაცვლას ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროკავშირსა და საქართველოზე; აღნიშნული ასევე ითვალისწინებს დახმარების თხოვნასა და შეთავაზებას; ინფორმაციის გაცვლას მხარეების მიერ საგანგებო სიტუაციების დროს მესამე ქვეყნისათვის გაწეული დახმარებების შესახებ, იქ, სადაც მოქმედებს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმები; დახმარების მოთხოვნის/გაწევის პროცესში მასპინძელი ქვეყნის დახმარების ფარგლებში თანამშრომლობას; ექსპერტების მიწვევას სამოქალაქო დაცვის საკითხებზე გამართულ კონკრეტულ ტექნიკურ სემინარებსა და სიმპოზიუმებზე; დამკვირვებლების ინდივიდუალურ მიწვევას ევროკავშირისა და/ან საქართველოს მიერ ორგანიზებულ კონკრეტულ წვრთნებსა და ტრენინგებზე და თანამშრომლობის გაღრმავებას სამოქალაქო დაცვის არსებული შესაძლებლობების ყველაზე ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

### **3. ინსტიტუციური ჩარჩო და კოორდინაცია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს**

საქართველოს კონსტიტუციის ახალი მოდელის მიღება უსაფრთხოების სექტორის გარკვეულ ცვლილებებს მოითხოვდა, მათ შორის, ახალი ინსტიტუტების შექმნას და სამთავრობო სისტემაში ურთიერთქმედების შესაბამისი შესაძლებლობებისა და მექანიზმების შემუშავებას. მთავრობის 2014 წ. 6 იანვრის №38 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში შეიქმნა **სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო**.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მიზანია როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ დონეზე ნებისმიერი საფრთხის განსაზღვრა, მისი თავიდან აცილება და საკოორდინაციო ფუნქციის შესრულება. საბჭოს ფუნქციებში შედის: შიდა და გარე საფრთხეების შეფასება; უსაფრთხოებასთან პირდაპირ დაკავშირებული შიდა და გარე პოლიტიკის საკითხები; სახელმწიფოს სტრატეგია საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების სფეროებთან დაკავშირებით; კოლექტიური უსაფრთხოების სისტემასთან საქართველოს თანამშრომლობის წინადადებების შემუშავება; ქვეყნის შიდა და გარე საფრთხეების აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და ნეიტრალიზებისთვის საჭირო ნაბიჯების სრულყოფა და პრევენტაცია; მძიმე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა შედეგების თავიდან აცილებისთვის საჭირო წინადადებების შემუშავება და, პირველ რიგში, კრიზისების მართვა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.

ამჟამად ამ საბჭოს ჰყავს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი **ეროვნული უშიშროების საბჭოს** მსგავსი შემადგენლობა, მიზნები და უფლებამოსილება. მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ ამ ორი საბჭოს ფუნქციათა დამთხვევის საკითხი მოგვარებულია და მათი

ფუნქციები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდა რამდენიმე საკანონმდებლო აქტის გადასინჯვისა და შესწორების შედეგად, რის საფუძველზეც ეროვნული უშიშროების საბჭოს დარჩა სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. ახალი საბჭოს შექმნა ნაკარნახები იყო 2013 წ. 17 ნოემბერს ძალაში შესული საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომლებიც პრეზიდენტის ძალაუფლებას პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ ამცირებს.

ამჟამად არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს **საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული სისტემა** კატასტროფის მასშტაბის შესაბამისი 3 საფეხურისგან შედგება:

- ადგილობრივი მცირემასშტაბიანი კატასტროფა: მუნიციპალიტეტისა და მისი საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი დეპარტამენტის/ერთეულის პასუხისმგებლობაა. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებობს საგანგებო სიტუაციებისთვის გამოყოფილი თანხები (მუნიციპალიტეტის რეაგირებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 2%) „მოულოდნელი მოვლენებისთვის“, რომელიც სასწრაფო მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის გამოიყენება. ამკარაა, რომ გამოყოფილი თანხები ძალიან შეზღუდულია და ჩვეულებრივ სრულიად არასაკმარისია მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის;
- კატასტროფა, რომელიც სცდება მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს, რეგიონული ხელისუფლების პასუხისმგებლობად იქცევა. იგი ქმნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ადგილობრივ სამუშაო ჯგუფს, რომელიც რეაგირების მართვასა და კოორდინირებაზე აგებს პასუხს.
- სახელმწიფო მასშტაბის კატასტროფა ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

საოპერაციო დონეზე კრიზისის მართვის უზრუნველყოფას **საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის** მეშვეობით შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს. დეპარტამენტის ძირითად ფუნქციებს შორისაა: საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უწყებათშორისი კოორდინირება; სამოქალაქო თავდაცვის გეგმის შემუშავება ცენტრალურ დონეზე; სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულება მშვიდობისა და საომარი მოქმედებების დროს; ეროვნული რეაგირების გეგმის შემუშავება; მუნიციპალური დონის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება საგანგებო მდგომარეობის მუნიციპალური გეგმების შემუშავების, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელებისა და საგანგებო სიტუაციების უფრო ეფექტიანი მართვისთვის მზადებისთვის; გადაუდებელი სიტუაციების რეგიონული მართვის სამსახურების, მოხალისეებისა და სკოლის მასწავლებლების გადამზადების ორგანიზება; საერთაშორისო სამაშველო ძალების და ჰუმანიტარული დახმარების მიღების ღონისძიებების განხორციელება და მათი ხმელეთზე გავრცელების უზრუნველყოფა; საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობის ორგანიზება.

ამჟამად საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი დეცენტრალიზებულია **მუნიციპალურ დონეზე**. ადგილობრივი დეპარტამენტები მუნიციპალიტეტებს ექვემდებარებიან და რეგიონული ან მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. საგანგებო სიტუაციების მართვის რიგ დეპარტამენტებს არასაკმარისი ან მოძველებული ტექნიკური საშუალებები აქვთ, მათ შორის - სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა. ასევე შეზღუდულია პროფესიული ზრდის შესაძლებლობა როგორც მაშველებისთვის (რეგიონულ დონეზე), ისე მეხანძრეებისთვის (მუნიციპალურ დონეზე), მათ ესაჭიროებათ პროფესიული

სწავლება, ასევე პირველადი დახმარების აღმოჩენაში. პრევენციულ და შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით მათი ინფორმირების დონე დაბალია. ამასთან, თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი უკეთ არის აღჭურვილი მანქანებითა და ტექნიკური საშუალებებით და დაკომპლექტებულია 1170 თანამშრომლით. ახალი კანონის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (ამჟამად საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი) მუნიციპალიტეტებიდან საკუთარ ტერიტორიულ ერთეულებში 4000 მეხანძრეს/მაშველს შეითავსებს. სერიოზულ საორგანიზაციო საკითხებთან ერთად, ამისათვის აუცილებელი იქნება მეხანძრეების მეხანძრე/მაშველებად გადამზადება.

**საქართველოს ეროვნული რეაგირების გეგმა (2008)** განსაზღვრავს ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების ფუნქციებს და მისი განხორციელება შესაბამის ეროვნულ უწყებებს შორის თანამშრომლობას უზრუნველყოფს. ცენტრალურ დონეზე გეგმა ორსაფეხურიან სტრუქტურას განსაზღვრავს, რომელიც მოიცავს: საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიას და კრიზისების მართვის უწყებათშორის ოპერატიულ ცენტრს, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ბაზაზე იქმნება. თუ პირველი საგანგებო სიტუაციების დროს გადაწყვეტილების მიმღებ უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს, მეორე საოპერაციო დონეზე ფუნქციონირებს და რეკომენდაციებს აწვდის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს. ოპერატიულ ცენტრს საგანგებო სიტუაციების შემდგომი ზარალის შეფასება ავალია, თუმცა არ არის აღნიშნული, რა მეთოდოლოგიას იყენებს. გეგმაში მოხსენიებულია საქართველოს არასამთავრობო ცენტრის ფუნქცია, რომელსაც საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაცია გაუწევს კოორდინირებას. აღნიშნული გეგმის განმახორციელებელ ძირითად პასუხისმგებელ ორგანოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტია განსაზღვრული. საქართველოს დარგობრივი სამინისტროების ფუნქციას გეგმის განხორციელების მხარდამჭერა წარმოადგენს. თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ფუნქციად საძიებო-სამაშველო სამუშაოები მიიჩნევა. გეგმის განსახორციელებლად სულ 17 ფუნქცია სახელდება, რომლებიც ძირითადად დარგობრივი სამინისტროების ფუნქციების ირგვლივ არის სტრუქტურირებული. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციით, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული გეგმა მომდევნო თვეების მანძილზე შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებით განახლდება, რადგან არსებული გეგმა უკვე მოძველებულია.

2012 წელს აღდგა **კატასტროფის მართვის ჯგუფი** და ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც გაეროს გაუთვალისწინებელ სიტუაციებზე რეაგირების განახლებული გეგმის შემუშავებისთვის შეხვედრების წყება ჩაატარეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაწილეობით. გაეროს მუდმივი კოორდინატორის და გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინირების აღმატის რეგიონალურ ოფისთან (UNOCHA) თანამშრომლობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა გაუთვალისწინებელ სიტუაციებზე რეაგირების უწყებათშორის დაგეგმვასთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომი პროექტის ფარგლებში გაიმართა კონსულტაციები რეგიონალური ჰუმანიტარული გუნდის და ტექნიკური სამუშაო ჯგუფის წევრობით დაინტერესებული ორგანიზაციების ფართო ჯგუფთან. შედეგად შეიქმნა გაუთვალისწინებელ სიტუაციებზე რეაგირების უწყებათშორისი გეგმა.

ეროვნული რეაგირების სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია **112 სამსახური**, რომელიც არის საკუთარი ბიუჯეტის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება. ის მდებარეობს თბილისში, თუმცა მოქმედებს მთელი ქვეყანის მასშტაბით, მათ შორის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მის მომსახურებაში შედის სასწრაფო სამედიცინო დახმარების, პოლიციისა და სახანძრო სამსახურები. სამსახური დაკომპლექტებულია მომზადებული კადრებით და ტექნიკური საშუალებებით, რისი მეშვეობითაც ხორციელდება საგზაო მოძრაობის კონტროლი, ინფორმაციის მიღება ადგილზე, პირდაპირ, ონლაინრეჟიმში და სასწრაფო დახმარების მანქანებისა და სახანძრო ბრიგადების გაშვება-გადაადგილება.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2008 წ. ხელმოწერილი **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული რეაგირების გეგმის** შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების დროს **სოფლის მეურნეობის სამინისტრო** მცენარეთა და ცხოველთა დაცვაზეა პასუხისმგებელი. ამავე დროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული რეაგირების გეგმა საიდუმლო დოკუმენტად ითვლება, რის გამოც იგი საინფორმაციო/საკოორდინაციო მიზნებისთვის გამოუსადეგარი ხდება. სამინისტრო ერთი თვის მანძილზე 225,000 ადამიანისთვის სამყოფი საკვების და წყლის მარაგს ინახავს. თუმცა, დღიურ რაციონს, სავარაუდოდ, განახლება სჭირდება, რადგან ზრდასრული ადამიანისთვის გათვალისწინებული წყლის დღიური ნორმა 3 ლიტრს შეადგენს (ზაფხულში, როდესაც ტემპერატურა ზოგჯერ 40°C აღწევს, მზეზე გამართულ ბანაკში და ა.შ. აშკარად არ არის საკმარისი), რაც მხოლოდ სასმელი რაოდენობაა და არ არის განკუთვნილი საჭმლის მომზადების, დაბანის, რეცხვის და ა.შ. საჭიროებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს თანამშრომლები საქართველოს ძირითად საფრთხედ გაუდაბნობებს ასახელებენ, არ არსებობს იმის დამამატაცივებელი საბუთი, რომ შესაბამისი სამინისტრო ან მთავრობა ამ საკითხზე სისტემატურად მუშაობენ.

2008 წლის შემდეგ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, როგორც ერთადერთ არასახელმწიფო ინსტიტუციას, ბუნებრივი სტიქიური და ტექნოგენური გადაუდებელი სიტუაციების სახელმწიფო ეროვნული გეგმის კონკრეტული ამოცანების შესრულება დაევალა (პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს 415-ე ბრძანებულების საფუძველზე). საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში გადაუდებელი სიტუაციების ზონებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახდენს გადაუდებელი სიტუაციების შედეგების ლიკვიდირების საქმიანობათა კოორდინირებას. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე ორგანიზაციას გადაუდებელ სიტუაციებში დაჭრილთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, საზოგადოება ამგვარ სიტუაციებში აწყოებს საველე საავადმყოფოს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ასევე წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამხმარე ორგანიზაციას, რომელიც ახდენს საგანგებო სიტუაციებში საკვებისა და წყლის მიწოდებას.

#### **4. კომპეტენცია, ინსტრუმენტები და რესურსები საგანგებო რეაგირებისთვის**

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების არსებული ეროვნული სისტემის შესაბამისად, საქართველოში არსებობს სამეტაპიანი საგანგებო რეაგირების ძალები:

- მუნიციპალიტეტების სახანძრო-სამაშველო ერთეულები (ახალი კანონით გადადიან დეპარტამენტის დაქვემდებარებაში);
- რეგიონული რეაგირების სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხს აგებს რეგიონში საგანგებო მდგომარეობის მართვასა და კოორდინირებაზე (ახალი კანონით გადადიან დეპარტამენტის დაქვემდებარებაში);
- საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, რომელსაც ცენტრალურ დონეზე ქვეყნის მასშტაბის კატასტროფებზე რეაგირების მართვა და კოორდინირება ევალება.

შეფასებამ გამოავლინა ცენტრალური და ადგილობრივი საგანგებო სამსახურების განსხვავებული შესაძლებლობები, მათგან უკანასკნელი მუნიციპალიტეტს ექვემდებარება და რეგიონული და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან ფინანსდება. საგანგებო სიტუაციების მართვის რიგ დეპარტამენტებს არასაკმარისი ან მოძველებული ტექნიკური საშუალებები აქვთ, მათ შორის სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა, შეზღუდული აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა, როგორც მაშველებს, ისე მეხანძრეებს, რომელთაც ესაჭიროებათ პროფესიული სწავლება, ასევე პირველადი დახმარების აღმოჩენაშიც, დაბალი აქვთ პრევენციულ და შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმირების დონე. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრალურ დეპარტამენტს, იგი უკეთ არის აღჭურვილი მანქანებითა და ტექნიკური საშუალებებით და დაკომპლექტებულია 211 თანამშრომლით.

შსს-ის აკადემიაში არის სახანძრო-სამაშველო ფაკულტეტი, სადაც ხდება პროფესიონალი მეხანძრე-მაშველების მომზადება და სერტიფიცირება სპეციალური პროფესიული მომზადების პროგრამებით.

#### 4.1. თემის მოხალისეთა ჯგუფები

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით არასამთავრობო ორგანიზაციებმა და წითელმა ჯვარმა ჩამოაყალიბეს თემის მოხალისეთა ჯგუფები საქართველოს საკმაოდ ბევრ თემში. ისინი სათანადოდ აღჭურვეს და ჩაუტარეს ტრენინგები. ჯგუფები შედგება დაახლოებით 20 ადამიანისგან, რომლებსაც მხარს უჭერენ ადგილობრივი ხელისუფლება და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი. როგორც თემის დონეზე მომხდარი კატასტროფების პირველი მოპასუხეები, ეს გუნდები პირველები ახდენდენ ლოკალიზირებულ შემთხვევებზე რეაგირებას როგორც დამოუკიდებლად, ისე პროფესიონალური რეაგირების ორგანიზაციების მხარდაჭერით.

#### 4.2. სატელიტური გამოსახულების ინტერპრეტაცია და ანალიზი

სხვადასხვა უწყება იყენებს GIS რუკებს შეფასებისა და ანალიზისთვის. მათ შორისაა შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გეოფიზიკის ინსტიტუტი და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი, რომლებიც ასევე ქმნიან GIS რუკებს. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა ასევე დაგვიდასტურა GIS რუკების გამოყენება, რომლებსაც საფრთხეებისა და რისკების რამდენიმე ფენა აქვს. სამოქალაქო-სამხედრო ოპერაციების ცენტრი იყენებს სატელიტურ გამოსახულებებს და GIS რუკებს სიტუაციის მონიტორინგისა და ანალიზისთვის. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში არის ორი განყოფილება, რომლებიც პროგრამებში

GIS რუკების გამოყენებასა და ოპერატიული მართვის სამსახურის მხარდაჭერაზე აგებს პასუხს.

#### **4.3. რეაგირების გეგმები და გაუთვალისწინებელი სიტუაციების დაგეგმვა**

გაუთვალისწინებელი სიტუაციების დაგეგმვა და დაგეგმვის ხარისხი განსხვავებულია ცენტრალური დონის სხვადასხვა სექტორში. მონახულებულ რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე ასეთი რამ არ არსებობს. მზადება დამყარებულია ისტორიულ ინფორმაციაზე. მაგალითად, წყლის არხების წმენდა იმ ტერიტორიებზე, სადაც ხშირია წყალდიდობა, არ არის სავალდებულო და ჩვეულებრივ მხოლოდ წყალდიდობის შემდგომ ხდება. გარდა ამისა, №153 სამთავრობო დადგენილების თანახმად, რისკისა და საგანგებო სიტუაციების შეფასების ინსტრუქციას იღებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

რეაგირების გეგმები არსებობს მუნიციპალურ დონეზე, ასევე სკოლებში (სამოქალაქო თავდაცვისა და ევაკუაციის გეგმა), თუმცა არ ხდება ამ გეგმების რეგულარული განახლება და ყველა ადგილზე სისტემატიურად არ ტარდება მოდელირებული სწავლებები. სინამდვილეში, გაუთვალისწინებელი სიტუაციების დაგეგმვა და სასკოლო მომზადების ღონისძიებები, მათ შორის სწავლება და მოდელირებული სავარჯიშოები, უფრო აქტიურად მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული მუნიციპალიტეტი შეირჩევა კონკრეტული საპილოტე პროექტის განსახორციელებლად. მაგალითად, „ოქსფამისა“ და მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებით ჩატარდა მოდელირებული საგანგებო სიტუაციების სწავლება თემის დონეზე და სკოლებში.

იგივე ითქმის იმ მუნიციპალიტეტებსა და თემებზე, სადაც კატასროფისათვის მზადების და კატასტროფებზე რეაგირების ღონისძიებები ხორციელდება პროექტების ფარგლებში, რომლებიც მხარს უჭერს თემის/სკოლების მიერ გაუთვალისწინებელი სიტუაციების დაგეგმვას და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის მზადებას. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტსა და კახეთში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საპილოტე პროექტი დაეხმარა დაინტერესებულ მხარეებს - სკოლებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, მაშველებს და ადგილობრივ თემებს გაუთვალისწინებელი სიტუაციების დაგეგმვის ღონისძიებებისა და მოდელირებული სწავლებების ჩატარებაში.

#### **4.4. სამოქალაქო-სამხედრო კოორდინაცია**

სამხედრო ძალების ჩართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის რეკომენდაციის და პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება. დღევანდელი მდგომარეობით, სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს ფარგლებში არსებობს ჰუმანიტარულ საკითხთა, სამოქალაქო და სამხედრო კოორდინაციის განყოფილება, რომელსაც ზედამხედველობას უწევს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. არსებობს კონკრეტული ურთიერთობა ნატოსთან, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის დროს სამოქალაქო-სამხედრო კოორდინაციასთან დაკავშირებით. ზოგიერთ შემთხვევაში, მოდელირებულ სწავლებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი სამხედრო ძალები („ვიკინგი 14“, ნატოს კატასტროფაზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი (NATO EADRCC) და ა.შ.).

#### 4.5. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ღონისძიებები

ეროვნული რეაგირების გეგმის შესაბამისად, სამედიცინო დახმარების ღონისძიებებზე პასუხისმგებლობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკისრება. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დარგობრივ გეგმას შეიმუშავებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო სამთავრობო დადგენილებით გამოიყოფა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სპეციალური სარეზერვო ფონდი. 250 მოქმედი საავადმყოფოს 85% კერძოა, ძირითადად ახლად აშენებული ან რეაბილიტირებული. საგანგებო მდგომარეობის დროს კერძო საავადმყოფოები სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადიან, ასევე - დაკავშირებული სამსახურებიც, მაგალითად, სისხლის ბანკი და ადგილების განაწილება ხდება ინტენსიურ, თერაპიულ და ზოგად განყოფილებებში. საგანგებო სიტუაციების დროს მედიკამენტები უფასოდ გაიცემა და მათი საფასური სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კოორდინაციას უწევს საავადმყოფოების მიერ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების პერიოდულ განახლებას. საავადმყოფოებში ასევე რეგულარულად ტარდება სამინისტროს ორგანიზებული სწავლება.

ამჟამად სასწრაფო დახმარების სამსახურები კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაშია. მოხდა მთლიანად სახელმწიფოს მიერ მართულ სასწრაფო დახმარების მომსახურებაზე გადასვლა, რაც თანაბარ ხელმისაწვდომობას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სათანადო ხარისხს უზრუნველყოფს. სასწრაფო დახმარების გამოძახება, მიმართვა და პაციენტების საავადმყოფოში გადაყვანა ეფექტიანად ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში (24/7) 112 სამსახურის საშუალებით. მთლიანი პროცესი სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამებით იმართება, რაც პაციენტის უახლოეს საავადმყოფოში გადაყვანას უმოკლეს დროში უზრუნველყოფს.

საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ასევე მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვს, განსაკუთრებით - ეპიდემიების შემთხვევაში. იგი ჯანდაცვის საერთაშორისო რეგულაციების მოთხოვნების ფარგლებში მოქმედებს და პასუხისმგებელია ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობასა და ბიოუსაფრთხოებაზე. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მონაწილეობს სანიტარიული და ჰიგიენური მოთხოვნების დაწესებაში (მაგალითად, სკოლებისთვის), თუმცა მას არ გააჩნია სკოლების პირდაპირი კურირების ფუნქცია. ჯანდაცვის რეგიონული ცენტრების ფუნქციას ჯანდაცვასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის, ვაქცინაციის მონაცემების და ა.შ ანგარიშები წარმოადგენს, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული რეგიონული რესურსცენტრების ამოცანაა სკოლების სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლი.

ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით, კერძოდ, სხვა საკითხებთან ერთად მითითებულია რეგულაციები გადამდები დაავადებების შესახებ, რომელთან კანონმდებლობის დაახლოებაც ევალება საქართველოს: გადაწყვეტილება ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისა და გადამდებ დაავადებათა კონტროლის მიზნით ევროპულ თანამეგობრობაში ქსელის შექმნის თაობაზე, გადაწყვეტილება შემთხვევათა განმარტებების ევროპული თანამეგობრობის ქსელისთვის გადამდებ დაავადებათა თაობაზე ანგარიშების წარდგენის შესახებ,

გადაწყვეტილება გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისათვის ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების სისტემის შესახებ.

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად მუშაობს თავის პორტფოლიოში რეპროდუქციულ ჯანმრთელობაში პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის ინტეგრირებაზე (MISP). MISP წარმოადგენს სიცოცხლის გადარჩენის ღონისძიებების პრიორიტეტულ ნაკრებს, რომელიც უნდა ამოქმედდეს ჰუმანიტარული კრიზისის დროს. იგი წარმოადგენს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის საწყის პროგრამას და მასზე უნდა დაეფუძნოს სრულყოფილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის მომსახურება კრიზისისა და აღდგენითი ღონისძიებების დროს. MISP-ის მეშვეობით ხდება სიცოცხლის გადარჩენა და დაავადებების, ტრავმების პრევენცია, განსაკუთრებით ქალებსა და გოგონებში. MISP-ის უგულებელყოფას ჰუმანიტარული კრიზის დროს მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს, როგორცაა: დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, სექსუალური ძალადობა და თანამდევი ტრავმა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელება, არასასურველი ორსულობა და არაუსაფრთხო აბორტები, აივ-ინფექციის შესაძლებელი გავრცელება.

#### 4.6. ადრეული გაფრთხილების სისტემები (72/48/24)

საქართველოში წინასწარი გაფრთხილების მიმართ არ არსებობს სისტემატიზებული მიდგომა, თუმცა გარკვეულ უწყებებს აქვთ საკუთარი ადრეული გაფრთხილების სისტემა. საჭიროა ერთიანი და სტანდარტიზებული წინასწარი გაფრთხილების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ეფექტიანი პრევენციული/მზადების ღონისძიებების დროული წამოწყების წინაპირობად განიხილება.

ასევე გამოიკვეთა ადრეული გაფრთხილების სისტემის სიცხესთან დაკავშირებით ამოქმედების საჭიროება, განსაკუთრებით თბილისში, სადაც საქართველოს წითელ ჯვარს მოხალისეების მეშვეობით შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ინფორმაციის გავრცელებაში, განსაკუთრებით, თემის დონეზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი რეგულარულად იღებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან (სეისმური უსაფრთხოების ცენტრი, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო, სამინისტროები და ა.შ.). არ არსებობს კონკრეტული რეგულაციები, თუ როგორ, საიდან, რა სიხშირით და ფორმატით უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული ინფორმაცია. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი რეგიონულ ხელისუფლებას აწვდის ინფორმაციას შესაძლო საფრთხეების შესახებ, რომლებიც კატასტროფად შეიძლება გადაიქცეს; რეგიონულ ხელისუფლებას ევალუება მუნიციპალიტეტების ინფორმირება და ხელმძღვანელობის მზადყოფნის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტებს მოსახლეობაში განგაშის ატეხვა და მზადებისა და რეაგირების ღონისძიებების წამოწყება ევალუებათ. ადრეული გაფრთხილება გადაიცემა ეროვნული სატელევიზიო არხით და ეროვნული რადიოკომუნიკაციის ქსელის გამოყენებით. ასევე საპატრულო პოლიციის მანქანების ხმამაღლა მოლაპარაკე საშუალებებით.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური ახდენს წინასწარ შეტყობინებას, ოღონდ შეზღუდული ტექნიკური და ადამიანური რესურსებით. მოქმედი სადგურებისა და სპეციალური რადარის სისტემების

ნაკლებობის გამო ატმოსფეროს ზედა ნაწილის გაზომვები არ ხორციელდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, არ ხდება წინასწარი გაფრთხილების ინფორმაციის სისტემატური მიღება წყალდიდობებისა და გვალვების შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო მიწებს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აგრეთვე დაგვიდასტურა, რომ არ ხდება საშუალო თუ გრძელვადიანი წინასწარი გაფრთხილების მიღება კლიმატის რისკის წარმოქმნისა და კლიმატური ტენდენციების შესახებ.

სასაზღვრო საწარმოო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში შეიქმნა მტკვრის აუზის საერთაშორისო წინასწარი გაფრთხილების ცენტრები. საქართველოში ეს ცენტრი გარემოს ეროვნულ სააგენტოში/გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მდებარეობს. სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებთან დაიდო ხელშეკრულებები „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და შერბილების საკითხებში თანამშრომლობის“ თაობაზე, რომელიც მოიცავს სასაზღვრო შემთხვევების თავიდან აცილებისა და რეაგირების საკითხებს.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციით, წინასწარი გაფრთხილების მიმართ საჭიროა ერთიანი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ჩვეულებრივ და საგანგებო რეჟიმში.

#### **4.7. ინფორმაციის მართვის, მონიტორინგის და შეფასების სისტემები**

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში არსებობს მთავრობასთან დაკავშირებული შიდა ანგარიშგების პროცედურების ჯაჭვი. ამგვარი პროცედურები საერთო ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და სხვა სამინისტროებშიც არსებობს. სამწუხაროდ, არ არსებობს ინფორმაციის მართვის საერთო სისტემა ან ქსელი, რომელიც ინფორმაციის მოპოვების, შენახვისა და გაზიარების დროს მონაწილე პირების მიერ შეთანხმებული სტანდარტებისა და ფორმატის გამოყენებას უზრუნველყოფდა. ინფორმაციის მართვის სტანდარტული პროცედურებისა და ფორმატის, ასევე ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციების სტანდარტების შემუშავება ახლად შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად განიხილება.

#### **4.8. საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება**

საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებას მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება ითხოვს. მთავრობის რესტრუქტურისა, კატასტროფისათვის მზადებისა და მასზე რეაგირების ახალი კანონი და ახალი სტრუქტურების, მაგალითად, პრემიერ-მინისტრის აპარატის დაქვემდებარებაში არსებული კრიზისების მართვის ცენტრის შექმნა გვიჩვენებს, რომ, სავარაუდოდ, პრემიერ-მინისტრის აპარატი იქნება ის უწყება, რომელიც ზარალის საბოლოო შეფასებასა და ასევე საჭიროებების შეფასებას უზრუნველყოფს და საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მოთხოვნასთან დაკავშირებით მიიღებს გადაწყვეტილებას. ხელისუფლება მზადაა საერთაშორისო კატასტროფის შედეგების შემსუბუქების მიზნით დააკმაყოფილოს საერთაშორისო დონეზე მიღებული სტანდარტები და წესები, რაც ასახულია შესაბამის კანონმდებლობაში.

#### 4.9. კატასტროფის შემდგომი ზიანისა და ზარალის შეფასება

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ არსებობს კატასტროფის შემდგომი ზიანისა და ზარალის შეფასების ფორმალური პროცედურა. ჩვეულებრივ, მუნიციპალიტეტის დარგობრივი დეპარტამენტების (მაგ., სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ჯანდაცვის და ა.შ.) წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისია ჩადის კატასტროფის ადგილას და დაზიანებული ინფრასტრუქტურისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების საბაზრო ფასების საფუძველზე აფასებს ზარალს. საკომპენსაციო თანხა ზარალის ღირებულების სხვადასხვა პროცენტს შეადგენს. არსებობს ორი ფონდი, საიდანაც შესაძლებელია საკომპენსაციო თანხების გაცემა - პრეზიდენტის ფონდი და პრემიერ-მინისტრის ფონდი. არ არსებობს ლიმიტი ამ ფონდებიდან საკომპენსაციოდ მოთხოვნილი თანხების ოდენობაზე.

ასევე არ არსებობს პირველადი საჭიროების შეფასების მეთოდოლოგია სასწრაფოდ საჭირო ჰუმანიტარული დახმარების მასშტაბისა და შინაარსის განსაზღვრის მიზნით. სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის სისუსტე, ზარალისა და ზიანის შეფასების სისტემის სისუსტის კიდევ ერთ მიზეზად ითვლება. შეფასებაში აღნიშნულია, რომ ყველა მონაწილე თანხმდება ასეთი მეთოდოლოგიის საჭიროებაზე და იმაზე, რომ ამ საკითხში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა წამყვანი როლი უნდა შეასრულოს. ამავდროულად, შესაბამისმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა უნდა დანერგონ და სრულყოფნა ეფექტიანი სადაზღვევო სისტემა.

ამ კონტექსტში, კატასტროფის შემდგომი საჭიროებების ერთობლივი შეფასება, რომელიც 2010 წლის 19 ივლისს აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი სტიქიით გამოწვეული მოვლენების შემდგომ ჩატარდა, იმის საუკეთესო მაგალითია, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება იცვლება კატასტროფის შემდგომი საჭიროებების შეფასების შედარებითი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. ასეთი სისტემა ინფორაციას გაავრცელებს და უხელმძღვანელებს მთავრობის მოკლე და გრძელვადიანი რეაბილიტაციის გეგმების შემუშავებას.

2012 წლის 19 ივლისს ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ უეცარი წყალდიდობა და ქარიშხალი გამოიწვია, რამაც მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს და 8 მუნიციპალიტეტში სასტიკად დააზარალა ათასობით ოჯახი და მათი საოჯახო მეურნეობა.<sup>40</sup> ამ საშუალო სიმძიმის საფრთხემ არაპროპორციული სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფა გამოიწვია: დაზარალდა დაახლოებით 75 000 ადამიანი, ეკონომიკურმა ზარალმა კი 202 მლნ. ლარი (123 მლნ. აშშ დოლარი)<sup>41</sup> შეადგინა. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მსოფლიო ბანკისა და გაეროსგან ითხოვა მხარდაჭერა, რათა მომხდარიყო კატასტროფით გამოწვეული საჭიროებების ერთობლივი შეფასება მთავრობის ხელმძღვანელობით. აღნიშნული თხოვნის საპასუხოდ, გაეროს სააგენტოების, მსოფლიო ბანკისა და კატასტროფის რისკის შემცირებისა და აღდგენის გლობალური დაწესებულების (GFDRR) საერთაშორისო და ადგილობრივი კონსულტანტებისგან შემდგარმა ჯგუფმა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2012 წლის 06-დან 17 აგვისტომდე პერიოდში საჭიროებების ერთობლივი შეფასების მისია შეასრულა.

#### 4.10. აღდგენა და რეაბილიტაცია

საჭიროებების ერთობლივ შეფასებაზე დაყრდნობით შემუშავდა რეაბილიტაციის სისტემა, რომელიც 2013-2017 წლების პერიოდზე გაწერილი მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი პრიორიტეტული მიმართულებებისგან შედგებოდა. აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროგრამის წარმმართველი სტრატეგია ძირითადად მიმართული იყო სამთავრობო პრიორიტეტების განვითარებაზე. ეს პრიორიტეტები იყო სწრაფი ეკონომიკური ზრდა, უფრო მეტი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები და მოქალაქეთა სოციალური სტატუსის გაუმჯობესება. ამ სტრატეგიებს შორის განისაზღვრა ექვსი ძირითადი პრინციპი:

1. კატასტროფის შემდგომი აღდგენის გეგმების განხორციელებისას შესაძლებლობების მაქსიმალური ზრდა, უფრო სტაბილური, თანამედროვე და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის სექტორის შექმნისთვის;
2. კატასტროფის შედეგად დაზარალებული ბავშვების და ახალგაზრდებისთვის მაღალი ხარისხის განათლების, მათ შორის სასწავლო მასალებისა და განათლების უსაფრთხო ინფრასტრუქტურის უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. კატასტროფის შედეგად დაზარალებული, დაუცველი ჯგუფების, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთა და ქალთა დაცვის და მათი სრული რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
4. კატასტროფის შედეგად დაზარალებული ყველა პირისთვის თანამედროვე, მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების გაწევა;
5. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენა ეკონომიკური ზრდისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით;
6. ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და საქართველოს ბუნებრივი გარემოს დაცვის გზით ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებისდაგვარად მინიმუმამდე დაყვანა.

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ ზოგიერთ დარგობრივ სამინისტროს აქვს გეგმა გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის და ასევე ბიუჯეტი, რომელიც სარეაბილიტაციო დებულებას შეიცავს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, კანონმდებლობა რეაბილიტაციის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, რეაბილიტაცია არ ემყარება აღდგენისთვის აუცილებელ ფაქტობრივ საჭიროებებს, ვინაიდან არ არსებობს კატასტროფის შემდგომი საჭიროებების ერთიანი შეფასება. ხშირ შემთხვევაში ხელისუფლება ატარებს ზიანისა და ზარალის შეფასებას, ცენტრალური ხელისუფლებისგან მოითხოვს დაფინანსებას ამ ხარჯების დასაფარად და იმ შემთხვევაში, თუ ეს დაფინანსება სცდება საკომპენსაციო თანხების უბრალო განაწილებას, იგი განისაზღვრება, როგორც სარეაბილიტაციო პროგრამა. ამის მაგალითია ქარიშხლის შემდგომ სახურავების აღდგენა კახეთის რეგიონში (სადაც ჩატარდა საჭიროებების ერთობლივი შეფასება). მეორე მაგალითია კახეთის რეგიონში განხორციელებული (მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული) რეაბილიტაცია, რომლის ადგილობრივი განვითარების გეგმაში ინტეგრაცია არ განხორციელდა და რომლის შესახებაც არც რეგიონული და არც მუნიციპალური ხელისუფლება არ იყო ინფორმირებული.

რეაბილიტაციის/აღდგენის პოლიტიკის არაეფექტიანობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გარემოს/ტექნოლოგიური ხასიათის შემთხვევების შედეგად დაზარალებული ადამიანების მდგომარეობა (პოტენციური იძულებით გადაადგილებული პირები ან ეკომიგრანტები). ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში აღნიშნული ტიპის კატასტროფის შედეგად დაზარალებული 37,000 ოჯახია რეგისტრირებული (150,000 ადამიანი). ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საგანგებო კომისიამ სიღრმისეულად შეისწავლა დაზიანებული სახლები და ისინი ოთხ კატეგორიად დაყო: სრულად დანგრეული; ნაწილობრივ დანგრეული, რომლის აღდგენაც შეუძლებელია; შესაძლებელია აღდგენა, მაგრამ არ არის საკმარისი საცხოვრებელი რესურსები (მაგ., წყალი და ელექტროენერგია გადაჭრილია) და დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო მიწები.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში (2013) დეტალურად აღწერს საქართველოს ეკომიგრანტების მდგომარეობას ადამიანის უფლებათა კუთხით და განსაზღვრავს შემდეგ საკითხებს, რომლებიც მოითხოვს ხელისუფლების სასწრაფო რეაგირებას: „ეკომიგრანტების“ სტატუსის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ჩარჩოსა და იურიდიული დაცვის მექანიზმების არარსებობა; ეკომიგრანტების განსახლების შემდგომი ადაპტაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიის არარსებობა.<sup>42</sup> აღნიშნულ ანგარიშში ასევე მოცემულია რიგი რეკომენდაციებისა საქართველოში ეკომიგრანტების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომავალში იძულებით გადაადგილების თავიდან აცილების მიზნით.

## HFA5: რეკომენდაციები

1. განვითარდეს კატასტროფისათვის მზადების ეროვნული სტრატეგია და მოხდეს მისი ინტეგრირება განვითარების დარგობრივ, რეგიონულ და მუნიციპალურ გეგმებში. საჭიროების შემთხვევაში, განვითარების დაგეგმვის შესაძლებლობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდეს ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაში.
2. სრულად ამოქმედდეს ახლად შექმნილი კრიზისების მართვის ოპერატიული ცენტრი.
3. მოკლევადიანი გაფრთხილებისთვის შემუშავდეს წინასწარი გაფრთხილების კომპლექსური სისტემა მრავლობითი რისკფაქტორების შესახებ, შესაბამისად, განისაზღვროს სტანდარტული ოპერატიული პროცედურები და ჩატარდეს სათანადო სწავლება წინასწარი გაფრთხილების სისტემის თანამშრომლებისთვის. გაუმჯობესდეს იმ უწყებათა ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგნოზს სხვადასხვა სახის საფრთხის შესახებ (ჰიდრომეტეოროლოგიური, სეისმური, გარემოსთან დაკავშირებული, ბიოლოგიური, ქიმიური, რადიოლოგიური და ა.შ.) და გაძლიერდეს კოორდინაცია/კომუნიკაცია ამ სააგენტოებსა და სხვა სამთავრობო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.
4. ეროვნული რეაგირების გეგმის გადახედვის ამჟამინდელი პროცესი გამოყენებულ იქნეს იმ სამინისტროების როლებისა და პასუხისმგებლობების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა-გაძლიერებისთვის, რომლებიც გეგმის 17 ფუნქციაზე არიან პასუხისმგებელი. მოხდეს ეროვნული რეაგირების გეგმის და შესაბამისი დარგობრივი (სამინისტროების) გეგმების ყოველწლიური გადახედვა დ/ან შედგენა (მაგ.: გარემოს დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უწყებრივი გეგმა). თითოეულმა სამინისტრომ გამოცოს მინიმუმ ერთი წარმომადგენელი, როგორც კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებთან დაკავშირებული საკონტაქტო პირი, რომელსაც ექნება მკაფიოდ გაწერილი სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია-მოვალეობები.
5. განახლდეს გაეროს კატასტროფის მართვის ჯგუფის რეგულარული შეხვედრები, გაეროსა და ფართო ჰუმანიტარული საზოგადოების რეაგირების გეგმები მიესადაგოს ეროვნული რეაგირების გეგმას. რეგულარულად ჩატარდეს ფართომასშტაბიანი გამოსაცდელი სწავლებები/სიმულაციური სავარჯიშოები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, გაეროს, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე.
6. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დარგობრივ გეგმაში მოხდეს პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) ინტეგრირება.
7. შემუშავდეს ჯანდაცვის სექტორის კატასტროფის რისკის მართვის საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების სტრატეგია, მათ შორის გაიდლაინები/პროტოკოლები კატასტროფის დროს ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული საჯარო

განცხადებების თაობაზე და მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლად და მაღალი საფრთხის შემცველ რეგიონებში მცხოვრები თემების) რეგულარული ინფორმირების პროგრამა გადამდები დაავადებების, ჰიგიენის, წყლისა და სანიტარიის, ასევე საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული უსაფრთხო ქცევის წესების შესახებ. დაავადებების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების პრევენციის, ეპიდზედამხედველობის, მზადყოფნისა და რეაგირების სისტემის გასაძლიერებლად მოხდეს მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებთან თანამშრომლობის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე ფუნქცია-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა.

8. საფრთხეებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების სისტემის გასაძლიერებლად და საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საგანგებო მდგომარეობებზე ეფექტური რეაგირებისთვის დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა მჭიდრო ოპერატიული კავშირი დაამყაროს საერთაშორისო განგაშის, ზედამხედველობისა და რეაგირების სისტემასთან (შესაბამისი სტანდარტების და სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შემუშავება/განახლება, სწავლება და დანერგვა, შემთხვევების აღმოჩენისას რეაგირების და ეპიდაფეთქებაზე საპასუხო ღონისძიებების გატარების მეთოდოლოგიის შემუშავება, პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების/სექტორის ეფექტური საკოორდინაციო მექანიზმების შექმნა).
9. მოხდეს საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი დეპარტამენტებისა და ხელისუფლების გადამზადება და მათი ტექნიკური მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე რისკის შეფასებაზე დაყრდნობით ადგილობრივი რეაგირების გეგმის მომზადებაში. უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი რისკების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება და გამოყენება. უზრუნველყოფილ იქნეს საავადმყოფოების, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ კატასტროფისათვის მზადებისა და გაუთვალისწინებელი სიტუაციების გეგმების შემუშავება და გამოცდა.
10. განვითარდეს მეხანძრეთა/მაშველთა აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები რეგულარული სწავლებებით და ტექნიკისა და აპარატურის დროული განახლებით.
11. განისაზღვროს გეგმები პირველადი დახმარების ნივთების სწრაფად მიღებისთვის ან საჭიროებისამებრ შეიქმნას ცენტრალური/რეგიონული საგანგებო მარაგები.
12. გაძლიერდეს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტების შესაძლებლობები ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების დროს ლოჯისტიკისა და საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაში. გაძლიერდეს კატასტროფის მართვის საინფორმაციო სისტემები, რომლებიც მონაცემთა მიღების, შენახვისა და გაზიარების საერთაშორისო სტანდარტებს უზრუნველყოფს; დაიხვეწოს საჭიროებების შეფასების უწყებათაშორისი კოორდინირებული მექანიზმები.
13. დაიწყოს მზადება საერთაშორისო დახმარების ოპერაციებში (მაგ.: საერთაშორისო ძებნისა და გადარჩენის მრჩეველთა ჯგუფი-INSARAG) გასაწევრიანებლად. დაიხვეწოს კატასტროფებზე რეაგირების საკოორდინაციო საერთაშორისო მექანიზმები (UNDAC,

OSOCC, MCOF, კლასტერული სისტემა) და მოხდეს ადგილობრივი სტანდარტებისა და ნორმების საერთაშორისო ჰუმანიტარულ სტანდარტებთან (მაგ.: ჰუმანიტარული ქარტია და ჰუმანიტარული დახმარების მინიმალური სტანდარტები) შესაბამისობაში მოყვანა.

14. დაინერგოს კატასტროფის შემდგომი საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია რეაბილიტაციის (გრძელვადიანი აღდგენის) სისტემის ჩამოსაყალიბებლად და განხორციელდეს ამ პროცესის მონაწილე შესაბამისი დარგობრივი პერსონალის გადამზადება. მოხდეს ბიზნესის უწყვეტობის, აღდგენისა და რეაბილიტაციის საკითხების ჩართვა საგანგებო სიტუაციების მართვის, პოლიტიკის და სტრატეგიების შემუშავების მთლიან პროცესში და უზრუნველყოფილ იქნეს მათი განხილვის აუცილებლობა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

## გამოყენებული ლიტერატურა და განმარტებები

- <sup>1</sup> საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება კატასტროფის რისკის შემცირების გლობალური პლატფორმის მეოთხე სესიაზე, 19-23 მაისი 2013, ჟენევა, იხ.: <http://www.preventionweb.net/globalplatform/2013/programme/statements>
- <sup>2</sup> კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების შეფასების ინიციატივა (CADRI), სააგენტოებს შორის პარტნიორობა, სადაც შედიან UNDP, UNOCHA, UNICEF, WFP, FAO და WHO. უზრუნველყოფს კატასტროფის რისკის შემცირების კუთხით (მათ შორის, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადება) გაეროს მუდმივი კოორდინატორის, გაეროს სააგენტოთა ჯგუფის და სხვა საკოორდინაციო მექანიზმების შესაძლებლობათა განვითარებას.
- <sup>3</sup> CADRI-ის შესახებ ინფორმაცია იხილეთ: [www.cadri.net](http://www.cadri.net)
- <sup>4</sup> საქართველოს ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2011.
- <sup>5</sup> გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმოხილვა, UNECE 2009
- <sup>6</sup> იქვე, გვ. 134
- <sup>7</sup> საქართველოს ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2011
- <sup>8</sup> იქვე, გვ. 88-92
- <sup>9</sup> საქართველოში კლიმატის ცვლილების მეორე ეროვნული შეტყობინება.
- <sup>10</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, 2013 [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/english/nad/pres-relizi\\_2013\\_ENG.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/english/nad/pres-relizi_2013_ENG.pdf)
- <sup>11</sup> მსოფლიო ბანკი, საქართველოს მიმოხილვა, იხ.: <http://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>
- <sup>12</sup> საჭიროებათა ერთობლივი შეფასება, ძლიერი სეტყვა და წყალდიდობები, საქართველო, 2012.
- <sup>13</sup> ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, 2012.
- <sup>14</sup> მსოფლიო ბანკი, საქართველოს მიმოხილვა.
- <sup>15</sup> საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება კატასტროფის რისკის შემცირების გლობალური პლატფორმის მეოთხე სესიაზე, 19-23 მაისი 2013, ჟენევა, იხ.: <http://www.preventionweb.net/globalplatform/2013/programme/statements>
- <sup>16</sup> ციტირებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დებულებიდან, პირველი პუნქტი.
- <sup>17</sup> გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტი ნებართვებს გასცემს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, გარემოზე სოციალური ზეგავლენის შეფასების და გარემოს დაცვის სამინისტროდან მიღებული სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ NEA-ს სპეციალისტები უზრუნველყოფენ სათანადო რეკომენდაციებისა და კომენტარების წარმოდგენას, რომელიც მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სამინისტროს კომპეტენციების ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილებისთვის (სპეციალური შემთხვევების დამტკიცება ან უარის თქმა).
- <sup>18</sup> დირექტივა 2001/42/EC-ის გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ შემდეგი დებულებები: ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა, მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომლითაც პროექტები დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და პროცედურების შემუშავებას, რათა გადაწყდეს რომელი პროექტები საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, იმ ინფორმაციის შემადგენლობის განსაზღვრა, რომლის წარმოდგენაც მოეთხოვება დეველოპერს, გარემოს დაცვის უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცედურების განსაზღვრა. დამატებით შემდეგი დირექტივების დებულებებიც უნდა იყოს გათვალისწინებული: დირექტივა 2003/4/EC საზოგადოების გარემოსდაცვითი ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ, დირექტივა 2003/35/EC, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში; დირექტივა 2004/35/EC გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას.
- <sup>19</sup> საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება დაუახლოოს ეროვნული კანონმდებლობა 2000/60/EC დირექტივის „წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად“ შემდეგ დებულებებს: ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა; მდინარის აუზის უბნების განსაზღვრა და ადმინისტრაციული მექანიზმების დაწესება საერთაშორისო მდინარეების, ტბებისა და სანაპირო წყლებისათვის; მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი; წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების ჩამოყალიბება; მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება, საზოგადოებასთან კონსულტაციები

და ამ გეგმების გამოქვეყნება. წყალთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ასევე მოიცავს წყალდიდობის რისკის შეფასებას და მართვას, ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდას, ადამიანების მიერ მოხმარებული წყლის ხარისხის მონიტორინგს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვას, საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავებას.

<sup>20</sup> გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმოხილვა, UNECE 2009

<sup>21</sup> საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“.

[www.nsc.gov.ge/res/docs/2014060915592973398.pdf](http://www.nsc.gov.ge/res/docs/2014060915592973398.pdf)

<sup>22</sup> რეგიონული განვითარება 2013, არსებული სიტუაციის, ხარვეზებისა და პრიორიტეტების მოკლე მიმოხილვა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:

<http://static.mrdi.gov.ge/52b1ba050cf27286d7af38dc.pdf>

<sup>23</sup> სტრატეგიის თანახმად, 2015 წლისთვის საქართველოს მთავრობა: ა) განავითარებს ადრეული გაფრთხილების სისტემას, რომელიც იძულებს არ მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ქიმიური და ბირთვული საფრთხეების ემთხვევაში; ბ) შემოიღებს შესაბამის სტანდარტულ ოპერატიულ პროცედურებს; გ) მოახდენს გლობალური და რეგიონალური ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მუდმივ მონიტორინგს; დ) მოახდენს საჭირო ვაქცინების იდენტიფიცირებას და მომარაგებას; ე) განახორციელებს ადექვატური საკომუნიკაციო კამპანიას; ვ) განახორციელებს მონიტორინგს და რეაგირების ღონისძიებების გაუმჯობესებას.

<sup>24</sup> საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგია (2011-2015). [www.mindbank.info/item/2932](http://www.mindbank.info/item/2932)

<sup>25</sup> მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური მოწყობის არსებულ პირობებში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია კვლავ გამოწვევად რჩება, არსებობს სექტორული კოორდინაციის მექანიზმის წარმატებული მაგალითი მეტყვევების პლატფორმის სახით, რომლის შემაღენლობაში შედის მთავრობას დაქვემდებარებული და პარლამენტის მიერ დამტკიცებული 6 სამუშაო ჯგუფი.

<sup>26</sup> ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს დებულება.

<sup>27</sup> მიგრაციული კრიზისების ოპერაციული ჩარჩო (MCOF) წარმოადგენს პრაქტიკულ, ოპერატიულ და ინსტიტუციურ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გააუმჯობესოს მხარდაჭერა წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორების მიმართ კატასტროფებისათვის მზადებისა და რეაგირების საკითხებში. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ბმულიდან:

<https://www.iom.int/cms/mcof>

<sup>28</sup> გეოპორტალზე წვდომა შესაძლებელია ბმულიდან: <http://drm.cenn.org/index.php/en/>

<sup>29</sup> ატლასის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://drm.cenn.org/index.php/en/background-information/paper-atlas>

<sup>30</sup> ტრენინგ პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საგანგებო სიტუაციები, კლასიფიკაცია და პარამეტრები; სამოქალაქო თავდაცვის სისტემა, „უსაფრთხო ზონები“ და მოსახლეობის ინფორმირება საგანგებო სიტუაციების დროს; სკოლებში არსებული საევაკუაციო გეგმების შესწავლა/ანალიზი და მათი გამოყენება საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუაციისთვის; ევაკუაციის წესების შესწავლა და ევაკუაციის ორგანიზება, კოლექტიური თავდაცვის ზომების მიღება (თავშესაფარი), ინდივიდუალური თავდაცვის ზომების მიღება; სხვადასხვა საგანგებო სიტუაციებში ქვევის წესები/პირველადი რეაგირება; განგაშის სისტემის მექანიზმი და პრინციპები; რადიო სადგურების ფუნქციონირება და ინფორმაციის გაცვლა კანონიერად მიღებული ფორმებით; პირველადი დახმარების აღმოჩენა, სამედიცინო ტრიაჟი და სამედიცინო დახმარების მოთხოვნა. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად დანიშნული პირების სპეციალური მომზადება ხდება ასევე შემდეგი მიმართულებით: ა) იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სამოქალაქო თავდაცვა; გ) პირველადი სამედიცინო დახმარება.

<sup>31</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2014-2020 წლების სტრატეგია

<sup>32</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=119&lang=eng](http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=119&lang=eng)

<sup>33</sup> [www.tas.ge](http://www.tas.ge)

<sup>34</sup> ეროვნული ანგარიში ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის განხორციელების შესახებ (2011-2013)

[http://www.preventionweb.net/files/28745\\_geo\\_NationalHFAprogrss\\_2011-13.pdf](http://www.preventionweb.net/files/28745_geo_NationalHFAprogrss_2011-13.pdf)

<sup>35</sup> დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტრატეგია.

[ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=126&lang=geo](http://ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=126&lang=geo)

<sup>36</sup> ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012.

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1350.pdf>

<sup>37</sup> 2011 წლიდან ის ბავშვები, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში და ისინიც, რომლებიც შემდგომში მოხვდნენ სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ, დააბრუნეს საკუთარ ოჯახებში ან მოათავსეს მიმღებ ოჯახებში. თუკი შეუძლებელი იყო ბავშვების საკუთარ ან მიმღებ ოჯახში დაბრუნება/მოათავსება, ასეთ

---

შემთხვევებში ისინი მოათავსეს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, სადაც 8-10 ბავშვზე მეტი არ არის, და რომლებმაც შეცვალა დიდი ზომის სახელმწიფო ბავშვთა სახლები. ამჟამად მცირე საოჯახო ტიპის სახლებში დაახლოებით 350 ბავშვი ცხოვრობს.

<sup>38</sup> ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>

<sup>39</sup> საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკის ობიექტების და ბუნებრივი გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება (საქართველოს კანონი ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ).

<sup>40</sup> კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები: გურჯაანი, ლაგოდეხი და თელავი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები: ახალციხე, ადიგენი, ასპინძა და ვალე; მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფ. ბულაჩაური.

<sup>41</sup> მსოფლიო ბანკის კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის შესახებ ქვეყნის ანგარიშის პროგნოზის შესაბამისად, შემდგომი 38 წლის მანძილზე საქართველოში მოსალოდნელია საშუალო ტემპერატურის მატება (დას. საქართველოში 3.5°C-ით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში \_ 4.1°C-ით), ნალექების შემცირება, ტენიანობის ცვლილების ზრდა და წყალდიდობების ალბათობის და ხანგრძლივობის ზრდა.

<sup>42</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში (2013) <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1322.pdf>